

ლიტერატურული გაზეთი

№7 (311) 15 - 28 აპრილი 2022

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ანდრო ბუაჩიძე

ნათია გიორგაძე

ტრამვაი — სახელად „ნარსული“

ოთხნი ვიყავით, ჰო, ოთხნი, ერთი გოგონაც გვახლდა, ფრანკფურტში კალმოსნების საერთო ჯგუფს რომ გამოვეყავით და გერმანიის სხვა ქალაქებისკენ გავუტიეთ. ფრანკფურტი საერთაშორისო შეხვედრებისა და გამოფენების მეგაპოლისია და იქ იმართებოდა ქართული წიგნის გამოფენა. სხვა ქალაქებისკენ გავუტიეთ... მანამდე ერთ მაღალსართულიან სასტუმროში ვცხოვრობდით და მხოლოდ ვესტიბიულში ვხვდებოდით ერთმანეთს. უცნაური განცდა მქონდა: ის ადამიანები, ვისაც ვიცნობდი, აქ ერთად შეგროვილიყვნენ და ეს ერთად თავმოყრა უჩვეულო გრძნობას აღმიძრავდა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ისინი ერთმანეთს ასე კარგად იცნობდნენ, ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ საქმიანი სახეებით ასე ერთად იფუთფუთებდნენ და ეცოდინებოდათ, რისთვის იყვნენ აქ ჩამოსულნი. სასტუმროსგან მოშორებით ფართო ეზო თუ მოედანი იყო მასიურ და განიერ შენობებს შორის მოქცეული. ამ მოედანზე სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობდნენ განსხვავებული ასაკის ადგილობრივი გერმანელები და სხვა უცხოელები; შეიძლება ითქვას, რომ გარშემო სრული ქაოსი ბრუნავდა, ოღონდ ეს ქაოსი ჩემ გარდა არავის უკვირდა. აქ როგორც ამბობდნენ, საგამოფენო სივრცე ერთ ტერიტორიაზე უყრიდა თავს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ადამიანებს. რა უნდოდათ მათ, რისთვის ჩამოვიდნენ? ალბათ ერთმანეთის გაცნობა სურდათ, მაგრამ ამ ხალხმრავლობაში ეს სურვილი დაკარგეს, ჰო, დაკარგეს და ახლა ინერციით მოძრაობდნენ. ეს ჩემი შთაბეჭდილება იყო და მე მჯეროდა ჩემი შთაბეჭდილების.

II-III

VIII



პოეზია
 დათო მალრაძე
 ბადრი სულაძე
 რევაზ ტაკიძე
 ზურაბ ლობჯანიძე
 თამარ არდიშვილი
 დალილა ბედიანიძე

პროზა
 კოკა წულაია
 ხათუნა როგავა

ჩანაწერები
 მიხო მოსულიშვილი

რეცენზია
 გვანცა გუბელაძე
 ნანა აბულაძეზე
 ნანა აბულაძე

ნინო
 სადღობელაშვილზე
 ვალერი ოთხოზორია
 ივა ფეზუაშვილზე

ნინო

დასაწყისი პირველ გვერდზე

ფრანკფურტში ფართო და ხალხმრავალი ქუჩები სერავდა ერთმანეთს, მე სასტუმროს მეცხრამეტე სართულიდან შუაღამისას დავეყურებდი უნაპირო ქალაქს და ვხედავდი, რომ მას ეღვიძა და არ აპირებდა დაძინებას. მინდოდა, განმეჭვრიტა ამ ქალაქის არსი, მზერით ვიხელთებდი მის მოძრაობას, ნათებას, სინათლის ზიგზაგებს, მაგრამ მაინც ვერანაირ განწყობას ვერ ვიქმნიდი, მხოლოდ სიუცხოვეს ვგრძობდი. ასე რომ, დღე და ღამე ერთმანეთს ჰგავდა. ღამითაც ისევე იგრძნობოდა ქალაქის მავისცემა, როგორც დღისით. საგამოფენო სივრცის უზარმაზარ ლაბირინთში მწერებრით მოძრაობდნენ ადამიანები, აქ ერთი ადამიანი ან ერთი წიგნი თავისი სიმცირის გამო ყოველგვარ აზრს კარგავდა. მნიშვნელოვანი იყო არა ადამიანი, არამედ მასა, არა ადამიანთა სახეები და მათზე აღბეჭდილი გრიმასები, არამედ ამ ადამიანების ზურგები. შენც იმით დინებას მიჰყვებოდი და ისინი იმავს გეუბნებოდნენ, რასაც გეტყობდნენ მათივე სახეები. ისინი გეუბნებოდნენ, საით უნდა წასულიყავი და შენც მიდიოდი. სხვადასხვა სართულზე მოწყობილ პავილიონებში ერთდროულად მიმდინარეობდა ავტორების გაცნობა და ნაწარმოებების კითხვა. მსმენელები ნაუცბათევად განყოფილ სკამებზე ისხდნენ, კედლები სხვადასხვა ზომის ეკრანებით იყო აღჭურვილი, მასურებლები იყენებდნენ აუდიო და ვიდეო სისტემებს, დარბაზები მკრთალი შუქით ბრწყინავდა, რაც თითქოს ინტელექტუალურ ინტერესს და გემოს აღუძრავდა ყველას. პავილიონები... ყოველივე ეს თითქოს რიტუალი იყო, რომელიც უნდა აღსრულებულიყო, რადგან საერთო წესრიგის ნაწილად აღიქმებოდა. ხალხმრავლობის გარეშე არაფერს აზრი არ ჰქონდა, მოკლე მონაკვეთზე უამრავ ადამიანს უნდა ეტრიალა, რაც თავისებურ აზრს სძენდა ყველაფერს. მზრუნავი მასა შენობის გარეთაც და შიგნითაც უწყვეტ დინამიკას ქმნიდა და ეს იყო მთავარი. ეს დინამიკა ინტიმის სრულ უნიფიცირებას ახდენდა და ასეც უნდა ყოფილიყო. ინტიმი, შეყოვნება, დაფიქრება, განჭვრეტა, გასხენება არ იყო სასურველი, სასურველი იყო მუდმივი ბრუნვა, რომელიც იმაზე მეტყველებდა, რომ მწერალიც „ჰომო ფაბერიკა“, მუდმივმოქმედი კბილანებიანი წრიული ბრტყელი რგოლია, რომელმაც ნელა უნდა დაფქვას რეალობა, ნაწარმოებად აქციოს და საგამოფენო პავილიონებში ნელ-ნელა დაანაწილოს. ადამიანები კულტურის უზარმაზარ რეზერვუარებზე დაძვრებოდნენ და სარჩოს ეძებდნენ. ეს რეალობის ნაფქვაკვი მათი სულიერი საზრდო იყო, მათი მოსახელთებელი სუბსტრატი. ამ გიგანტურ ლაბირინთში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ერთ სივრცეში ირეოდნენ ფოტორეპორტიორები, მექანიკოსები, პროდიუსერები, დიზაინერები, მწერლები, თარჯიმნები, მენეჯერები, ტელეჟურნალისტები და სხვები. და ისიც უნდა ითქვას, რომ მართალია „ლიტერატურულ პროდუქციას“ მთავარ მასალად მიიჩნევენ და ყველა მის გარშემო იყო შემოკრებილი, მწერალი მაინც არ ითვლებოდა მთავარ ფიგურად, ის ერთ-ერთი მაკაემირებული რგოლი გახლდათ „წარმოებითი ურთიერთობისა“. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ დღეს მწერლობა ეკონომიკას დაქვემდებარებული კულტურის მოქმედი კომპონენტია. კულტურამ უნდა იტრიალოს, როგორც მექანიზმი, რომელიც არ უნდა გაჩერდეს, რადგან თუ გაჩერდა, ადამიანები სხვადასხვა სივრცით წერტილებში დარჩებიან უფუქციოდ გაფანტულები. რაკილა არსებობდნენ ადრე მწერლები და, ზოგადად, არსებობდა მწერლობა, არსებობს დღესაც და მას თავისი მკაცრად შემოწერილი ადგილი აქვს ცხოვრების რომელიმე უბანზე მერჩენილი და ამ უბნის შიგნით ბაქტერიებივით ირევიან კალმოსნები. მათი პროფესია ძველია, მაგრამ დღესაც რამდენადმე ინარჩუნებს მნიშვნელობას და ამაზე ცხადად ღაღადებენ ხალხით სავსე პავილიონები...

მე და გვარამს რომელიმე პავილიონში ერთად ვეკონდა აუდიტორიასთან შეხვედრა დანიშნული. ჩვენ ხალხის მღვრიე ნაკადს შევერიეთ და კიბეს შევეყვით. თავდახვე მივხვდით, რომ პავილიონს იოლად ვერ მივაგნებდით. შემოდგომის მზიანი დღე იყო და სინათლით სავსე დარბაზებში მიღეთის ხალხი ირეოდა. კიბეზე ზევას გა-

დელია შეგვხვდა, ის ყოველ წელს დადიოდა ამ ქალაქში და ვისკით გაბიჟინებულ სახეზე ირგვლივ მოფუთფუთე ადამიანების მიმართ ირონიული განურჩევლობა ჰქონდა გამოხატული. გვარამმა თავის ძველ ნაცნობს პავილიონის ნომერი დაუსახელა და, როცა შეიტყო, სად უნდა მივსულიყავით, დააყოლა, შენ კარგი ვისკი გექნება გადანახული. გადელიამ ჰაერში ხელი აიქნია, რაც იმას ნიშნავდა, გამომყევითო და ჩვენც სწრაფი ნაბიჯით გავეყვით. მან სხვადასხვა მიმართულებით მოძრაი ბრბო გაკვეთა და ერთ კარს მიაღგა. ამ კარის მიღმა გრძელი, ვიწრო დერეფანი იყო, დერეფნის მარჯვენა კონის ხვეულე კიბე ჩაზიარეთ და იქ გადელიამ პატარა კარადის კარი შეხსნა, ვისკის გაბერილი ბოთლი გად-

აბნეულს მობილური ტელეფონის მეშვეობით უკვალავდნენ გზას და შესატყვისი დახმარების განხვეით საქმე გვარდებოდა. წლების წინ ჩავლილი ეს მოგზაურობა ჩემთვის დროში მოგზაურობა იყო და ამიტომაც, როგორც უკვე ვთქვი, ყველაფერი ერთი დეტალის მიზეზით გამახსენდა. დიუსელდორფში ჩასვლისთანავე მე, გვარამი, დიანა და შეთე მშვირები ვიყავით, ამიტომ რესტორნის საძებნელად გავემართეთ. რესტორნების მეტი რა არის, მაგრამ ქესატობის გამო შედარებით „იფ საკუჭნაოს“ ვეძებდით და მივაგენით კიდევ. ეს თურქული რესტორანი იყო. პირდაპირ ქუჩაში დაჩრდილეთ მაგიდასთან. მე არ მტოვებდა იმის განცდა, რომ თბილისიდან ასეთ შორეულ წერტილში ზოგჯერ რაღაც ძალიან

დით. მეძინებოდა. ბებია გამუდმებით მალვიძებდა და მეუბნებოდა, რომ მალე შინ ვიქნებოდით... ორბელიანის მოედანზე უნდა ჩავსულიყავით. აქ უკვე ექვს ნომერ ავტობუსს ველოდით. ღამის ნათურები ენთო და ჩვენ შინსკენ, ამაღლების ქუჩისკენ მივდიოდით, სადაც ძალზე მყუდრო ბინა გველოდა. სიზმარშიც არაერთხელ მინახავს, როგორ ავდივარ ჩემს სახლთან, ვდგები ფანჯრებთან და გაკვირვებული ვფიქრობ, რომ აქ უკვე სხვა ცხოვრობს, მაგრამ მეც ვცხოვრობ, აუცილებლად უნდა გადავლახო უხერხული ზღურბლი და შინ შევიდე... ჰო, აი, ასე მოულოდნელად შემოუხვია ქუჩაზე დიუსელდორფის ორვაგონიანმა ტრამვაიმ და მე ვიგრძენი — ვილაცისთვის, რომელიმე პატარა ბიჭუნასთვის, რომე-

ანდრო ბუაჩიძე

ტრამვაი — სახელად „წარსული“



მოილო, სითხე მომცრო სირჩებში ჩამოასხა და გამოგვიწოდა. მე და გვარამმა დავლიეთ და წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ თითოც შემოგვთავაზა. უარი არ გვთქვამს, ისიც დავლიეთ და წამოვედით, კვლავ მუდმივად მზრუნავ მასაში ავითქვიფეთ და პავილიონის საძებნელად გამოვეშურეთ.

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ პავილიონსაც მივაგენით და უკვე დავგვიანებულები ავტორების დაბალ მაგიდებს მივუსხედით. დავგვიანებამ გაკვირვება გამოიწვია, უნდა გამოენვია კიდევ, ვინაიდან ჩემს თავზე ჩემი მოზრდილი ბანერი ეკიდა, სადაც ისეთი კაცის სახე მქონდა, რომელიც არსად არ იგვიანებს და, თუ იგვიანებს, ეს მხოლოდ მანევრია.

ეს წლების წინ ჩავლილი მოგზაურობა ერთი დეტალის გამო გამახსენდა. კალმოსნების ოთხეული: მე, გვარამი, დიანა და შეთე ფრანკფურტიდან დიუსელდორფში გავემგზავრეთ. ჩვენი შეხვედრები პუბლიკასთან იქ უნდა გაგრძელებულიყო. მატარებლით მგზავრობა დამქანცველი გამოდგა. ვაგონები მიქროდა მცირე დაბა-ქალაქებისა და ტრამალების გასწვრივ, მიქროდა და ირნეოდა, მიქროდა და სასიამოვნო გრძნობით გვაგვსებდა: არ ვიცოდით, საიდან მოვდარიოდი, სად ვიყავით და საით მივდიოდით. ეს მგზავრობა თვითონ ცხოვრებას ჰგავდა. ჩვენ კარგად არ ვიცოდით გზა, მაგრამ „კულტურის ინდუსტრიამ“, რომელიც ყოველივეს უძღვებოდა, იცოდა, საით უნდა წავსულიყავით და თუ „გადაცდომას“ (ანუ გზის ანგევის) ექნებოდა ადგილი, გზ-

ნაცნობი და ახლობელი იელვებს და ღრმად შთაგებეჭდებდა. ასე ხდებოდა ყოველწამიერად — ხან რა შეარხევდა და ხან რა ჩემში დაძირულ ასოციაციების უხილავ ჯაჭვს. მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოდ მაშინ მოხდა ეს, როცა უკვე სუფრასთან მსხდომებმა შევნიშნეთ, როგორ აინთო დიუსელდორფის იმ მყუდრო ქუჩაზე საღამოს მკრთალი ნათურები. ამ ნათურების ანთების შემდეგ საუბარს შევეყვით, მერე კი ვდღმდით და შევნიშნე, როგორ შემოუხვია ქუჩაზე ტრამვაიმ; ორვაგონიანი იყო, ფერადი შუქით განათებული და მაშინ ვიგრძენი, რომ უცხო სამყაროში ვიყავი, მაგრამ რაღაც ახლობლური აქაც ხდებოდა. ქვეყნიერების ამ შორეულ წერტილში ადამიანები მგზავრობდნენ ჩემთვის ძვირფასი ტრამვით, ისინი მორჩილად ისხდნენ სკამებზე, ტრამვაი მძიმედ მიექანებოდა თავისი განუყურელი ზარის ზრიალით, ვილაც ალბათ შინ ბრუნდებოდა, მიჰქონდა აბგამი გამოკრული თავისი პანია საჩრისაბადებელი, ალბათ დალილი იყო, მაგრამ ჰქონდა თავმისადრეკი და იმ თავმისადრეკისკენ მიდიოდა, შინ მიდიოდა. ტრამვაი სახლს ჰგავდა, მოძრაე სახლს და მე, ჩემს კერას მოშორებული, სასიამოვნო გრძნობით ვივსებოდი. მაგონდებოდა „ვორონცოვი“, ფართო მოედანი, ტრამვაის გაჩერება. ეს იყო ჩემი ძალიან შორეული მოგონება. მე უფროსებს ავყავდი ტრამვაიში, რომელიც მშრალ ხიდს გადავივლიდა დგანდგარითა და ზრიალით, მერე კი ორბელიანის მოედნისკენ უხვევდა. ალექსანდრეს ბალი სიბნელეში ჩანოლილიყო, სტუმრად ნამყოფნი ღამით შინ ვბრუნდებო-

ლიც ახლა ამ ტრამვაიში იჯდა და უფროსებს შინ მიჰყავდათ, ეს ტრამვაი უკვე სახლი იყო. ამდენი წლის შემდეგ თბილისიდან, ორბელიანის მოედნიდან ასე შორს მე მიხვდით, რომ ტრამვაის შემოხვევა ჩემი ცხოვრების მთავარი შთაბეჭდილება გახდა; ვიგრძენი, რომ ევროპის ეპიცენტრში ამდენ აურზაურსა და ხდომილებებს მიღმა ეს შთაბეჭდილება ყველასთვის უმნიშვნელო ჩანდა, მაგრამ არ იყო უმნიშვნელო ჩემთვის. ამ შთაბეჭდილებასთან იყო დაკავშირებული ძალიან ბევრი რამ, მითუმეტეს ახლა, როცა უკვე ხანმოხრობა გავხედე წარსულს და გავიფიქრე, რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი, რატომ ვბრუნდებოდი უკვე სხვა დროს ბროსეს ქუჩიდან მე, ბებია და ბაბუა... ძნელადის ქუჩას გადავკვედი დით და იტალიურ ეზოში შევდიოდით. იქ ყოველთვის სიცარიელე იყო, ზაფხულშიც და ზამთარშიც, კაცივითი არ ჩანდა ეზოში, იმ ეზოსაც გადავკვედი დით და რკინის კიბეზე ავდიოდით, სადაც ტკბილი ფუნთუშელების მათობიდან სუნი იდგა. კიბის გასწვრივ, საცხოპში თეთრხალათიანი მცხოვრებლები ირგებოდნენ და მე ყოველთვის მაკვირვებდა მათი გარჯა, რადგან უკვე ჩამოხველებულზე ისინი მაინც განაგრძობდნენ ფუნთუშების ცხობას...

ახლა ვიჯექი დიუსელდორფში საღამოსანს ჩემს კალმოსან მეგობრებთან ერთად, რომლებიც მდარე ვისკით იბრუყებოდნენ და ვფიქრობდი, რამდენი რამეა ადამიანი... კი, მოგონებაც, რაღაც ამბავიც, მაგრამ ამასთან ერთად მასხოვრობაში ჩამქრალი უამრავი ნათურა, რომელიც შენდაუნებლით შეიძლება უეცრად აინთოს

და რაღაც ისეთი მელოდია შემატოს შენს არსებას, რომელიც ცხოვრების აზრის ტოლფასია. რამდენ რამეს ინახავს ადამიანის მახსოვრობა, იქნებ ადამიანი მთელი თავისი არსებით მახსოვრობა და მეტი არაფერი. ოღონდ ეს მახსოვრობა შეგრძნებებისგან შედგება და ეს შეგრძნებები უსასრულოა. და როცა ადამიანები ქრებიან, შეგრძნებებიც წყვეტენ ნათებას. სად წავიდნენ ეს ადამიანები, ბებია და ბაბუა, ვისთან ერთადაც მე შინ ვბრუნდებოდი? და რა ხდებოდა მერე, როცა უკვე შინ დავბრუნდებოდი? რატომ აღარ მახსოვს დეტალები, წერილობრივები, იქნებ სჯობდა, რომ მხსომეზობოდა? იქნებ ეს ყოველივე ჩემს ცხოვრებაში არ მომხდარა და სხვის ცხოვრებაში ხდებოდა? რატომ გამახსენა დიუსელდორფის ამ პატარა ქუჩამ და ამ ქუჩაზე ტრამვაის უეცარმა შემოხვევამ ბავშვობის უკვე ძალიან შორეული, დავიწყებული ლანდშაფტი?

მომდევნო პერიოდშიც არ მოვშორებივარ ორბელიანის მოედანს, თითქოს ეს მოედანი დროის სხვა გამონაშუქში მოხვდა და ჩემს ბედისწერულ ადგილსამყოფლად გადაიქცა. ისევ სოლოლაკში ვიყავი, დადიანის ქუჩაზე ვმუშაობდი და რედაქციიდან ორბელიანის მოედნის ორბიტაში ვხვდებოდი. მოედანი კლოაკა იყო, აქ დაეთრეოდნენ ბინძური მეძავეები, ლოთები, კურტნის მუშები, მაკლერები, ათასი ჯურის ხელოსნები, ჯიბიკრები. მოედანი XX საუკუნის ოთხმოციანი წლებშიც და ადრეც კლოაკა იყო, ერთი საუკუნით ადრე კი აქ ფინანსური გაფხვილდა ზაზა კვიციანიშვილს შორის ტფილისელი ბანკოვანები დასერილობდნენ — მაიკო ორბელიანი და ეკატერინე ჭავჭავაძე. ტატო ბარათაშვილის სახლიდან მკაფიოდ ჩანდა ეს სათვალსიერო ადგილ-სანახები. ტატო ალბათ შორიდან უმზერდა ამ მოედანზე მოსიერნი ფიგურებს და შორიდანაც შეეძლო უშეცდომოდ მათი გამოცნობა.

ტატო თვითონაც სერიოზულად ორბელიანების მოედანზე, ზოგჯერ სხვებთან და მეტყველებდა კი განმარტობით. ორბელიანი უზნის ქვედა ბაჭანზე მოწყობილი იყო ყაბახი, სასაპარეზო ადგილი, სადაც იმართებოდა სხვადასხვა საცხენოსნო შეჯიბრებები, ჭიდაობა და მშვილდოსნობა. და აი, ამ ყაბახზე სერიოზულად ბარათაშვილი, როცა ქალებთან მთარძივე ყაფლან ორბელიანს მოჰპირა თვითონ.

ამგუარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე. ყაფლანი ყელს იღერებდა და მღეროდა. ქალები იხიბლებოდნენ. იხიბლებოდა ყველა. „თავსა უფლად ზურვინ ჰგონებთო“ — ამბობდნენ კისკისით ქალები. ეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი იყო, სადაც ის ამბობდა, რომ უფალი ადამიანთაგან არავინ იყო, სიყვარული საბოლოოდ ყველას დაიმონებდა. იქვე იყო ტატოს განუყრელი „მრავალ დროების მონამე“ მტკვარი და ვეება მთვარეც: თვითონ ცის მთვარეც მონივრებით ღრუბელთ ეფარა, როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდნენ და მას კი არა!

ჰოდა, ასე საამოდ რომ მიმოდოდა ძვირფასი ტატო, ყაბახს გამოსცდა, მთვარეს თვლი გაუშტურა და გზაბნეული სასაფლაოზე აღმოჩნდა. ეს ლურჯი მონასტრის მიმდებარე ადგილები იყო, ეგრეთწოდებული გაბანთხევი, გაბანთხელების მამული. ახლანდელი ვერის ბაღის ადგილას ადრე ხომ ვერის ძველი სასაფლაო იყო. მარადისობასთან შეხება ტატოს სხვათაგანად აღელვებდა, ამიტომ თავის მეგობარ მიხეილ თუმანიშვილს მისწერა: „გუშინ ერთ-ერთ ამგვარ საღამოს ავედი სახეტილოდ მოსკოვის საგუშაგოსკენ. უცებ სასაფლაოზე აღმოვჩნდი. უნდა გამოგეტყველო, ცოტა შეეშოთო, როცა თვალი მოვავლე ამ უდაბურებას: ღამის თერთმეტი საათია, არცერთი სული. ირგვლივ მარადიული სიცოცხლეა. მთვარე საფლაოებს მკრთალად ანათებს, როგორც მზაუბარი ღამეში მიცვალებულისა. წყნარად და ნელა მოღელავს მტკვარი, თითქოს ემინა დაარღვიოს მყუდროება ამ მტკუნვარე ქვეყნისა...“

გამოვფხიზლდი. დიუსელდორფში ვარ. კიდევ ერთხელ შემოუხვია ტრამვაიმ და დგანდვარით გაუყვია გზას. კიდევ ამეშალა წარმოსახვა. ჩემი ამფსონები, ჩემი მოკალმენი თუ თანამეინახენი უკვე რომინით მიყურებენ, რადგან ხედავენ, რომ ტრამვაი

შემოუხვევს, რომელიც პირდაპირ ჩემში შემოდის და ჩემი წარსულის წარჩენებს აფხიზლებს. არა, ეს რაღაც სხვა არის, მოგონებები კი არ არის, ეს მე ვარ, ეს არის ის, რისგანაც მე შევდგები: ხმები, შუქ-ჩრდილები, სინათლის ხარისხები, ადამიანთა სახეები, რომლებიც სამუდამოდ ჩარჩნენ ჩემში, გათენებები და დაღამებები, ხედი ფანჯრიდან, ვერანდა, მთვარე ქედზე, წვიმის შრიალი გაშლილ სივრცეში, ძველი ეზოს გახსენება და კატის შემკრთალი გამოხედვა — ფოსფორიანი თვლები, უფროსები — მამჩემი და დედაჩემი, სხვა ადამიანები, რომლებიც მომიხლოვდნენ და დამშორდნენ... უკვე მერამდენედ შემოუხვია ტრამვაიმ, მერამდენედ გაისმა ნაცნობი ზარ-ზანზალაკების ზრიალი. ყვითელი სინათლე, რომელიც ვაგონებშია დაგროვილი, ჩემეულია, ჩემი არსების ნაწილია და მეც ბოლომდე მავსებს.

ახლა უკვე სხვები მახსენდება — ჩემი ბოჰემური მეგობრები და თანამშრომლები. რედაქციიდან გამოსულები საღამოს ჩავდივართ ორბელიანის მოედანზე, შევდივართ სახინკლეში. ყოველივე ეს ხდება ოცი თუ ოცდაათი წლის წინ. ეს ადამიანები აღარ არიან ამ ქვეყანაზე, მაგრამ ახლაც ყოველწამიერად შემოდინ ჩემში და ადგის ინაცვლებენ ჩემს არსებაში. ჩავდივართ ორბელიანის მოედანზე კუთხის სახინკლეში. ზუსტად აქ ჩამოუხვევს ტრამვაი. ნითელი ტრამვაი შემონერს წრეს, მერე კი შემოუხვევს დგანდვარით და ზრიალით სახინკლის მაღალ მიწის ტიხართან, დგანდვარებს ტიხარი, იატაკი, მთელი შენობა, ლუდის კათხებში ქაფი ირწყვავს, ყველანი ვზრიალებთ და ვირეკლებით ტრამვაის ფანჯრის მიწებში, ტრამვაიში მსხდომნი კი სახინკლის მიწის ტიხარში ირეკლებიან. ზოგჯერ მე და თენგიზი ვართ სახინკლეში, ზოგჯერ მე, ნოე და გოგი, ზოგჯერ ყველა ერთად ან სხვები, ზოგჯერ ვსხედვართ და ზოგჯერ ფეხზე ვდგავართ. აქ დასაჯდომი ადგილებიც არის და ფეხზე დასადგომიც. და როდესაც შემოუხვევს გრუხუხითა და ზრიალით ტრამვაი, ნებისთი უნებლიეთ მის ფანჯრებში ვიყურებით. ასე იყო, ასე არის ჩემს მახსოვრობაში, მაგრამ სად წავიდნენ ეს ადამიანები, რომლებიც დუმდნენ ან ლაპარაკობდნენ, იდგნენ ან ისხდნენ, სვამდნენ და შეზარხოშებულები იხსენებდნენ უკვე განვლილ ცხოვრებას? უკვე ოცი, ოცდაათი ან იქნებ მეტი წელიც არის გასული, რაც ისინი აღარსად შემხვედრიან, მე მათ ვიცნობდი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ რომ ეს ნაცნობობაც სრულიად პირობითი რამ იყო, ვინაიდან რაც ისინი გაქრნენ, თითქოს ეს ნაცნობობაც მიილია. ანდა რა არის ნაცნობობა, ჩვენ ხომ შემთხვევით შევხვდით ცხოვრების რომელიღაც გზაჯვარედინზე და ასევე შემთხვევით გავიყარეთ ამავე ცხოვრების გზაგასაყარზე?

ხშირად ისე ხდებოდა, რომ მე მარტო შევდიოდი ამ ლუდხანაში. მიყვარდა წვიმაში ჯდომა და იმის მოლოდინი, თუ როგორ ჩაიგრიხინებდა ტრამვაი. გენიალური ვლადისლავ ხოდასევიჩის ლექსი მაგონდება, რომელიც თვითონვე ვთარგმნე. ეს ლექსი ხოდასევიჩმა ბერლინში დაწერა. აქ არის ემიგრაციული სიცივე და სიმარტოვე და არის ავტოპორტრეტი, რომელიც ძალზე ოსტატურად დახატა შტრიხებით პოეტმა. ხოდასევიჩი კაფე-ბარში ზის, ზამთრის სუსხიანი საღამოა, გროგს და კონიას წრუპავს... უეცრად ტრამვაი შემოუხვევს და კაფე-ბარის გასწვრივ ჩაიგრიხინებს. ხოდასევიჩი ტრამვას გამოსახულებას მიწის ტიხარში მიღმა ხედავს, პოეტი გარესამყაროს უზარმაზარ აკვარიუმად მოიაზრებს: ქუჩის პირას მდგარი ცაცხვები წყალში დგანან, ვაგონში მსხდომი და სხვა მოძრავი მგზავრები კი თითქოს თევზები არიან. ზოგი გახვეებულია და უეცრად გახსლტვება, ზოგი ნელა მოძრავია, მთავარი კი ის არის, რომ ვაგონის ფანჯრებში კაფე-ბარში მჯდომი პოეტის მავიდა აირეკლება და უეცრად არეკლილი მაგიდის ზემოთ ხოდასევიჩი ამჩნევს თავისივე ნანამები სახის ანარეკლს, თავი თითქოს მოკვეთილია და ჰაერში გამოკიდული. და ეს არის სწორედ ავტოპორტრეტი — ნატანჯი, დალილი, საფოქრალითა და სანუხარით დაღრღნილი პოეტის თავი, რომელსაც ის ზიზლით უმზერს. ალბათ სარკეში არაერთხელ ამოზიდულა ხოდასევიჩის თვალწინ საკუთარი სახე, ცხოვრებისაგან მიყენებული ნაჭდევებით, რომელთა ხილვა მას ტკივილს ჰგვრის. ასეა. თავისი ნამდვილი სახის განჭვ-

რეტა ყველას უშიძის. ტრამვაის ფანჯარაში კი სწორედ ეს სახე აირეკლა — ცოდვილი, შეშლილი, გაბზარული სახე, რომელიც ქვეცნობიერში მუდმივად მოძრავ ლტოლვეებს და დანალექებს აღბეჭდავს. ამ სახის ხილვას ხოდასევიჩი გაურბის, მაგრამ ეს სახე იზიდავს კიდევ მას, რადგან სურს, რომ საკუთარი არსების სიღრმეში ჩაიხედოს:

იქ გახრწნილი ღამის ანახსლტეს ვამჩნევ უცხო მინაზე, მეტი რა გინდა, ზედ აღუბეჭდავს ვაგონის ფანჯრებს უცბად გამკრთალი ჩემი მავიდა.

სხვათა ყოფაში შეჭრილს უნებურ, მაფხიზლებს ზიზლი, თვალს ფართოდ ვახელ, ვხედავ მოკვეთილს და აღსრულებულს, ღამეში ჩაფლულ

ჩემს თავს და სახეს...
 ისევ დიუსელდორფის ქუჩაზე კაფე-ბარში ვსხედვართ მე და ჩემი თანამგზავრი კალმოსნები. როგორც ვთქვი, ორი კაცია და ერთი ქალი. ისინი უკვე გაიბრუყუნენ იაფფასიანი ვისკით და ახლა ნამგზავრებს ეძინებათ. მეინახენი მტოვებენ და მიდიან, მე ყავას ვსვამ და ტრამვას ხელახალ გამოჩენას მოველი, მსურს გაუთავებელი მოგზაურობა წარსულის ნელთბილ ტალღებში...

სად არიან ის ადამიანები, რომლებიც წლების წინ ჩემთან ერთად იყვნენ, სად წავიდნენ? მე მახსენდება მათი მოძრაობა, მათი მიმოხრა, მიმიკა. ორბელიანის მოედანზე მიხედვოდა ყოფნა მრავალი წელი. ამ მოედნის სიახლოვეს ვეძებდი სარჩო-საბადებელს, აქ იყო ის უზადრუკი რედაქციები, კორპორაციები, ინსტიტუტები თუ მუზეუმები, მძიმე დღეში ჩავარდნილი ქვეყნის უპოვარი ადამიანები თავს რომ ვაფარებდით. და ეს დიდხანს გაგრძელდა. მანამდეც ორბელიანის მოედანი იყო ფსკერი, რომელზეც უსულგულოდ ვტივტივებდი. მაგრამ სად წავიდნენ ის ადამიანები, რომლებიც ჩემთან ერთად იყვნენ და მერე სამუდამოდ დატოვეს აქაურობა? სად წავიდა ნუკრი? ჩვენ ხომ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ამ მოედანზე რომელიღაც მტანჯველი და დამამცირებელი სამსახურის მერე? სად წავიდა რობინზონა, სად წავიდნენ გოდერძი და რეზო? სად წავიდნენ ავითო და ტარიელი? სად წავიდნენ თენგო, იურა და ზეზვა, ვისთან ერთადაც ორბელიანის მოედანზე ვტრიალებდი ხშირად? სად წავიდა ვაჟა ნიბლაძე? მოულოდნელად დამიძახა მოედანზე მოხეტიალეს და რაღაც მკითხა და ჩვენ შევედით სქელი მიწებისაგან აწყობილ ეგრეთ წოდებულ კაფე-ბარში, რომელიც ჩვეულებრივ „ზაბეგალოვკა“ იყო და დიდხანს ვსაუბრობდით იმ ხელნაწერზე, რომელიც უნდა შეიმონახულიყო, მაგრამ დაიკარგა. სად წავიდა ზურა, რომელთან ერთადაც ამავე მიწებით შეკონინებულ ლუდხანაში დავყავი საკმაოდ დიდხანს. ზურა იცინოდა, მე კი ისეთ რამეს ვუყვებოდი, რასაც მხოლოდ ის გაიგებდა და მას ესმოდა და იცინოდა...

ყველაზე ხშირად მე და ნუკრი ვხვდებოდით მოედანზე. 90-იანი წლების ბოლო იყო და ამ დაფხავებულ ქვეყანაში მოპოვებული გროშებით ვცდილობდით დარდის გაქარწყლებას. ზოგჯერ მშრალ ხიდზე გადავდიოდით, იქ, სადაც მაკლერები იდგნენ, მერე მარცხნივ ჩაუფხვევდით. იქ სახლიდან გამოტანილი რეკლამები და ანტიკვარები იყიდებოდა. რაღა არ ყვარა ქვეყნიწლებზე: ფირსაკრავის ნემსები, სტალინის სურათები, დაჟანგებული ჩინ-მედლები, შანდლები, ბროლის ჭალები... ცოტა ქვემოთ, მტკვრის სანაპიროზე, ღია ცის ქვეშ ფეხზე დასადგომი სასაუზმე იყო, ვიდევით და ვლაპარაკობდით. ამასობაში ნათურებიც ინთებოდა. გაზაფხულის მოახლოებისას მომეტებული ხალისი გვქონდა.

ერთ ასეთ საღამოს, მახსოვს, ვილაღებოდა დურ ძველ თბილისელებს სუფრა პირდაპირ ქვის ფართო მოაჯირზე გაეშალათ. უკვე გვარიანად იყვნენ შეზარხოშებული, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მერე ნიძლავი დადეს, მტკვარზე რკინის კიბით ჩავიდნენ, გაიხადეს და ერთმანეთის გვერდგვერდ შეცურეს მდინარეში, მიცურავდნენ და საბოლოოდ გაღმა ნაპირს მიაღწიეს. მათი მეინახენი და ჩვენ ვოიყავს ერთად გაყურებდით. ნუკრი იცინოდა, ნეტავ რაზე

დანიძლავდნენო?.. რატომღაც დამამახსოვრდა ის საღამო, უკვე შეღამებული იყო, მაგრამ ჰაერში გაზაფხულის ნათელი იდგა...

მერეც უკვე, მოგვიანებითაც ორბელიანის მოედანზე მიწვედა ყოფნა. უკვე სხვა რედაქციაში ვმუშაობდი. ეს რედაქცია ხიდის ქუჩაზე იყო, ესე იგი, იქ, სადაც ადრე ტრამვაი რეკვდა და დაზრიალებდა. აქეთობას, ანუ ვორონცოვიდან მომავალი სწორედ ამ ქუჩის ჩამთავრებისას ჩამოუხვევდა ხოლმე ალექსანდრეს ბაღისკენ. ამ ადგილას აფთიაქი იყო, მერე კი კაფე-ბარი გახსნეს.


დრო გავიდა. ლიანდაგი აყარეს. ტრამვაი გაქრა.

რედაქცია მესამე სართულზე მოეწყო. ვიდრე რედაქციამდე მიხვიდოდი, ძველმანებით გადახერგილი ლაბირინთი უნდა გაგველო. აქ ლტოლვილები ცხოვრობდნენ. დერეფანში ერთი დიდი კაცა დაიზღაზნებოდა. მოკლე ჩართვისას, როცა ელექტროკვანძებიდან ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა, კაცა ფრთხილად და გარბოდა. დერეფანში ნახარშის მქისე სუნი იდგა. მე აქ თითქმის ყოველდღე დავდიოდი, გადამაღული გასაღებით ვაღებდი რედაქციის კარს, შევდიოდი მტვირნიან, მაკულატურით სავსე ოთახებში. აქ ეყარა ძველი ხელნაწერები, გაუსაღებელი ლიტერატურული ჟურნალები, გატყეხილი ჭიქები და საფერფლები...

ტრამვაი აღარ მოძრაობდა. სხვა დრო დადგა.

ფანჯრიდან სამების ტაძარი ჩანდა და მე კი ამ კლოაკის სულისხმით გაბეზრებული გაყურებდი ქალაქის იმ ნაწილს, სადაც ჩამავალი მზის გადმოტყორცნილი შუქი ირეკლებოდა. ქალაქიდან შორეული ხმებიც აღწევდა და მე ვგრძობდი, რომ დრო გავიდა და ნაილო ბევრი რამე, რაც ჩემთვის დაუვიწყარი იყო და ვგრძობდი იმასაც, რომ იგივე დრო არ გაჩერდებოდა და კიდევ ბევრ რამეს ნაილებდა.

გამოვფხიზლდი და მიმოვიხედე. მარტო-მარტო ვიჯექი დიუსელდორფის ჩამობნელებულ ქუჩაზე კაფე-ბარში. არამცთუ ჩემიანები აღარ იყვნენ ჩემ სიახლოვეს, არამედ მთელი ქუჩა ცარიელი იყო. ის-ის იყო ნაშობგომას ვაპირებდი, რომ ტრამვაიმ კიდევ ერთხელ ჩამოგრიხინა ზაითით და ზრიალით მიძინებულ ქუჩაზე, ელექტრონათელი გამოსცა და მალე თვალსაც მიეფარა. ნაშობგომე და ნაშობგომე. ვინრო ქუჩები ისე გავიარე, რომ კაციმვილი არ შემხვედრო, მერე, როგორც იქნა, „ბისმარკს-რასეზე“ გავედი და სასტუმრო „ბისმარკს“ მივადექი. შევიცარს ეძინა. კარგახანს ვაკაკუნე და ბოლოს ვილაღე კარი გამიღო. გასაღები ავიღე და ჩემი ნომრისკენ გავემართე. კარის შეღებისას ვიგრძენი, რომ არანორმალურად დალილი ვიყავი. დავნექი, მალე ჩამეძინა და უცნაური სიზმარი ვნახე: მე და ჩემი სამუდამოდ დაკარგული მეგობრები ორბელიანის მოედანზე სახინკლეში ერთად ვიყავით შეკრებილები. იყო ღრიანცელი, ხმაური, გადალაპარაკება, სიცილი და ხორხოცი. ჩემი წასული მეგობრები სხვადასხვა მაგიდასთან იდგნენ, სირჩებს და კათხებს იყუდებდნენ და ხორხოცობდნენ. მე მათ გაკვირვებული ვუმზერდი და ხმას ვერ ვიღებდი. მერე რომელიღაცამ ხმამაღლა წამოიძახა: „ტრამვაი, მალე ტრამვაი ჩამოვიღის!“ ამის თქმა იყო და შორიანხლოს ტკაცანი გაისმა, გაისმა გრგვინვა-გრიალი, ჯერ შორიანხლოს გამოჩნდა გაბრწყინებული ვაგონები, მერე კი ტრამვაი მოგვიახლოვდა და საზეიმო სვლით ძალიან ნელა ჩაიარა კაფე-ბარის წინ. ჩემს მეგობრებს ელექტრონათელმა გადაუარა აგზნებულ, აფიტირებულ სახეებზე, უფრო აღაგზნო და გაახვივოსნა ისინი. მათი სახეები ტრამვასი ფანჯრებში ირეკლებოდა და მერე ქრებოდა. მე თვალნათლივ ვხედავდი თითოეული მათგანის ანარეკლს. მერე ტრამვაი წავიდა და ჩემმა მეგობრებმაც სათითაოდ დაიწყეს გასვლა ჩანწლებული კაფე-ბარიდან. ისინი მიდიოდნენ ჩამოღამებული სივრცეში, მიდიოდნენ და მერე თანდათან ქრებოდნენ. მეც გაოგნებულმა დავტოვე უკვე დაცარიელებული ბარი, აქა-იქ გაფანტულ სილუეტებს გავედევნე, მაგრამ ეს დევნა ამაო გამოდგა. ვისაც მივუახლოვდი, ყველა გაქრა, ბოლოს კი მეც გავეჩრდი ცარიელ და სავსე მთვარით განათებულ ორბელიანის მოედანზე.



გაიქეცი ბაბილონიდან!

— ალო, არ ისმის, წყდება შენი ხმა, ინტერნეტი ცუდად მუშაობს, ხარვეზით იჭერს, მაცადა, გავალ... თან ყაყანია, შეკრებაზე ვარ, ყველა თავისას ერეკება და ცუდად მესმის, აი, გავედი... აუ, აქაც რა ამბავია, სთქვი რამე, მგონი, უკეთ ისმის, რისი თქმა გინდა, ითიშება, იქნებ მოასწრო... — გაიქეცი, გაიქეცი ბაბილონიდან!

პოლიტიკოსი სიტყვებს ეძებს და ცოცხალ სიტყვას ნილაბივით მოარგებს ლოგოსს, მერე ლალატობს და თეატრის რეკვიზიტის ფუნქციას აძლევს, გასცევთ, როგორც ბორდელში მეძავს და მერე უკვე სუნთქვადაკარგულ სიტყვათა ცხედრებს გაუნოდებს პოლიტიკოსთა ახალ თაობას მრავალჯერადი მოხმარებისთვის.

პოლიტიკაში მოკლული სიტყვა სუნთქვას განაგრძობს პოეზიაში.

მე იმ ქალაქიდან ვარ, სადაც მიმიწოდებ ხოხობი გაიტაცა და ქალაქის მერმა ბიუჯეტი.

სად პატივცემულ მოქალაქეებს აქვთ ვრცელი CV-ი და არა აქვთ ბიოგრაფიის ერთი, თუნდაც კოჭლი სტრიქონი.

სადაც თავს იმით ინონებენ, რომ მოსაწონსაც ინუნებენ.

აქ, ბაბილონი დაავინყდათ, რომ სამშობლოსთან ვერ გექნება ტკბილი რომანი,

რომ სამშობლოს სიყვარული განწირულია ცალმხრივობისთვის, რადგან ოდესმე თუ მოიცალა და სიყვარულზე გიპასუხა სიყვარულითვე, მასაც ცალმხრივად ეყვარება შენი საფლავი.

უპატ.ცემობა! — ბაბილონის ერთადერთი ღირებულება... მაგრამ ისიც ცალმხრივ ეფექტით, რადგან ქალაქის ძველი მკვიდრები ვალდებული ვართ, რომ მათ ჩვენდამი უპატ.ცემობას ვუპასუხოთ პატივისცემით. — გაიქეცი ბაბილონიდან!

თუ ყველაფერი დაშვებულია, — აკრძალულია თავისუფლება.

ამერიკული ოცნება იშვა, როცა ვესტერნის ფინალურ კადრში ორფრთიან კართან შერიფი დასვეს, როგორც წერტილი, ამბობებული სტრიქონის ბოლოს.

რაც ფრიდრიხ ნიცშე ღმერთს მოუკვდა, — თვითონ ჩათვალა, რომ ღმერთი მოკვდა. ასე მიეცა დასაბამი ახალ ეპოქას, სადაც დაბალმა ჩათვალა, რომ სიმაღლე მოკვდა და სალიერი მიესალმა მაესტროს სიკვდილს.

society — მოსახლეობის ის ნაწილია, განსაცდელისას ვინც ღირსებას შეინარჩუნებს. მოაქვთ გმირების პორტრეტები საპროტესტოდ ალგზნებულ მასებს. მოაქვთ გმირების პორტრეტები, როგორც ძახილი... მოაქვთ გმირების პორტრეტები, როგორც სამხილი...

მოაქვთ გმირების პორტრეტები, როგორც მახვილი... და ერთადერთი სამიზნეა — society. — გაიქეცი ბაბილონიდან!

...უკრაინა ცეცხლის ალშია და რუსეთი დასავლეთს უტეხს... და ვიდრე ევროსაჯარისო ფორმირებაში საკუთარ სქესში გაერკვევიან, ორთავიანი არწივის მზერა ვაითუ მისწვდეს დასავლეთსაც, აღმოსავლეთსაც.

— გაიქეცი, გაიქეცი ბაბილონიდან, როგორც მაშინ, მიმართე ნოეს, ფეხზე სადგომი ერთი ბილეთი თუკი დარჩა, მიაშურე ნოეს კანოეს. დღეს სამყაროში ერთადერთი მოქმედი პორტი — არარატია.

დროის ბორკილი, — მაჯის საათი Tissot-იც რომ მოვიხსნა და შორს მოვისროლო, ეპოქა ხომ არ შეიცვლება...

ანდა საით უნდა გავიქეცი, ირგვლივ ყველგან ბაბილონია... — არა, მე ვრჩები ბაბილონიში, როგორც მეხანძრე, ერთ ზეშვს ხომ მაინც გავარიდებ უღმერთობის ელვარე ხანძარს, რომ მერე იქნებ, ბაბილონის მოქალაქენი დავესიზმროთ კეთილ სიზმარში.


P.S. ოთხი ბგერა მალერის კარზე

ნაცნობმა მითხრა, რომ გუსტავ მალერს სიმფონიისთვის უნდაო თემა, — „გადარჩენისთვის“... ძალიან მალე დავწერე, თემა ვიგულე ჩემად.

ლიბრეტო ვანდე გზავნილს საფოსტოს, მომესმა პეტრეს ძახილი: — რაბი! ...ვადარებ წყალზე წასულ აპოსტოლს კომპოზიტორის ბინისკენ ნაბიჯს.

ოთხნოტიანი ინტრო და: — ანტრე! — გთხოვთ, რომ აცნობოთ მაესტრო მალერს, გარეთ ცივა და ცოტათი მამტვრევს, თქვენის ნებართვით, რაიმეს დავლევ.

...აკორდით მითხრა სიტყვა ორიოდ... და სულის სიმებს შეახო ხელი, მე კი ვარსკვლავთა ცაზე ორიონს ვუცქერ და ვხდები ნაწილი მთელის.



ზურაბ

შამთხვეპითობა?..

უცნაურია! — უიმედობა მხოლოდ ჩვენთან ძოვს და ჩვენ გვენდობა?.. რით ველარ მორჩა... და ვერ მოძოვა... თუ კაიფობს და ჩვენით ერთობა?.. უიმედობა თუ უბედობა!.. არ გვინერია მალღით შენდობა???

ყველა თავის თავზე ზრუნავს, ყველა თავის თავზე ფიქრობს, დედამინაც მიტომ ზრუნავს, გულის დარდი რომ ჩაიქროს... ერთი შენ ხარ, ჩემო ზურა, უიმედო ყოფა გიპყრობს... გაიცინე... გეყოს ურვა, ნუ ახარებ ეჭვის მიკრობს...

გული მიკვდება, სული მელევა... დღის სინათლეში ღამე მერევა... გული მიკვდება, სული მელევა... ეს მოსაწყენი ყოფა მერევა... გული მიკვდება, სული მელევა...

დღეის იფიქროს დღეისამ... ხვალ უკვე გვიან იქნება... დრო ფრთებს გაშლის და შეისხამს, ვერსად წაუვალთ მის ნებას... თუ ჩვენგან მიდის და ქრება, მაშ, ვინ გვათეთრებს ბოლომდე?.. დარდი! — დროის სვლას რომ ყველა... თვალბეში უცქერს მოლოდინს...

ეს მოსაწყენი სიბერე, სიზმარს რომ ემგვანება... გასავლელ შარას იბევრებს... მილოლავს ნება-ნება... აღარც არაფერს განიცდის, არც არაფერი ახსოვს... სად მიდის, ისიც არ იცის, წარკვეთილი აქვს სასო...

მოკვდები, სხვა რა იქნება, სხვას რას ველოდო აწი... შავ მინად გარდავიქმნები ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ, თუ... ზეცა სრული დიდებით გადამემლება თვალწინ?.. არ ვიცი — მწარე ფიქრები გულზე მათოვს და მანვიმს...

წლები თავისას შვრება, აუდაბურებს ყოფას... სიცოცხლის წყარო შრება, ჰგავს პირდაფრენილ ქოფაკს... ყმუილით, ყფით, ღრენით, კუდის ქიცინით, მანჭვით...



აი, ცხოვრება ჩვენი —
ყელზე მობმული ჯაჭვით...

სნორ გზას ვადგავარ?...
ეს ღმერთმა იცის...
მე?
მოკუნტრუშე
აღარ ვარ კვიცი...
ძლივსლა მივბობლავ
უიმედო
და ქანცგაცილილი...
ისიც არ ვიცი,
თუ რამდენი
დამრჩა მანძილი...

პატარას დიდად ვაჩვენებთ,
ხოლო დიდს ისე პატარად...
რომ ველარ გვამჩნევს გამჩენი,
ლხენით ივსება სატანა...
სიცრუეს მართლად ვასაღებთ,
სიმართლეს — კაი ტყუილად...
არ ვეძებთ წინსვლის გასაღებს,
დრომ ჩვენს წინ ჩაიშხუილა!..

დრომ გამოისხა ფრთები,
მიჰქრის, მიჰქრის და მიჰქრის...
მისი ნავარდით ვტკბები,
მისი ჭვრეტით და ფიქრით...
აჰა, ბავშვობა ჩემი
უფრო ნელ ქროლვას ითხოვს...
ცხოვრებისაგან გვემილს
მარტო გულს? გულსაც მითბობს...
სიჭაბუკე და ყრმობა
მინაზე მდგარი ხარობს...
ქალი, სუფრა და ძმობა
ცხოვრების წმინდა წყარო...
და, ჰა, სიბერის ჩრდილი
დროის სვლას ადგას ქედად...
მწარე ნალველი დილით,
ლამე — სიკვდილის დედა...

მომენატრა ღების ცა,
მოჟღურტულე, ბიბინა...
ბიჭმა ძმობა შეჰფიცა,
ვარსკვლავებთან ირბინა...
ოჰ, რამდენი ფიქრი და,
ოჰ, რამდენი ოცნება...
დრო მას მერე დამძიმდა,
მინას ადგას ბორცვებად...
მომენატრა ღების ცა,
მოჭექილი, უძირო...
როგორ მინდა ერთი ცდაც...
ცას ბავშვივით ვუტყვირო...

აქ არ ტოვებ არაფერს?...
ნეტავ იქით რა მიგაქვს!..
გადაუფრენ ქარაფებს,
ვითომ მართლა რამე გაქვს...
ვითომ სადღაც იჩქარი...
ვითომ მართლა გელიან...
მარტოდ ყოფნა, მითხარი —
მართლა ასე ძნელია?!..

წინ და უკან,
წინ და უკან...
თუ მყარ წრეზე ტრიალი?...
იმ გუშინდელ აზრს რა უყავ,
დღეს სხვა ფიქრი რიალებს...
რად ვერ ჰპოვე დასაყრდენი,
ჰგონებ ვინმე დაგიცავს?...
ასე, ვერც იქ დასახლები...
ვერც იქ ჰპოვებ საფიცარს...

მინიატურები და ორსტროფიანები
ციკლიდან „აჰ და იჰ“

როცა კაცია უსმენო,
ანუ ასე ვთქვათ — უყურო,
აზრი არა აქვს — უსმინო,
აზრი არა აქვს — უყურო.

ველარ ვიტან ამ სუსხს, ამ ქარს,
ვეგრძნობ, ზამთარიც მე ვერ მიტანს,
ან მე გადავიტან ზამთარს,
ან ზამთარი გადამიტანს...

რაც დრო გადის, მეტი უნდა დაინანო,
თუ არ გინდა, უარესი მოხდეს,
მხოლოდ ერთხელ შეიძლება, დაიბადო,
მხოლოდ ერთხელ ეცადე, რომ მოკვდე...

ვალსები ვენის, სკამები ვენის,
ქვირფასი განცდა ბავშვობის ჩვენის,
წავიდნენ, გაქრნენ, როგორც თანმდევი,
მოგონებათა დიდ ფოთოლცვენის...

ოჯახის ჭაპანს თითქოს ვენევი,
ჯანმრთელ ცხოვრებას თითქოს ვენევი,
აღარც ვსვამ და აღარც თუთუნს ვენევი,
დრო ისე გარბის — ველარ ვენევი...

ადამიანი ეჩვევა
ცხოვრების გზათა ხვეულებს,
სიცოცხლე ყველას ეძლევა,
სიბერე — მხოლოდ რჩეულებს.

მისაქციელის სალამოები,
„Подмосковные“-ს თუ არ მერჩივნოს,
მაშინ ტყვე ვიყო ამოების
და ხელში ყანნი აღარ მეჭიროს...

თუკი გაჰყვები გაკვალულ ბილიკს,
მაშინ ელოდე მეგობართ ქილიკს...
მაგრამ ბილიკი თუ შენ გაკვალე,
სადღაც ბილიკის ბოლოს ჩაგკლავენ...

სიკვდილი არის იმდენად ახლო,
სჯობს, რომ სიცოცხლეს ხელი არ ახლო...

ცხოვრება გრძელი ნარდია,
მე კი ვთამაშობ მოკლეს,
ამიტომ თუ რამ კარგია,
ჩემში ჩაკვდა ან მოკლეს.

ყველგან სახლში თუ ქუჩაში,
შაში და ბუმი აქვს,
გქონდეთ ეგ თქვენი ღუშაში,
მე ვიმყოფინებ იაქვს...

ბავშვობიდანვე ღელვით და თრთოლვით,
მოლოდინში ვარ ზღაპრული დილის,
რომ ფეხზე ამდგარს დამხვდება თოვლი
და დავინახავ სულ სხვაგვარ თბილისს.

ეხლა დრო დგება ქარების ქროლვის,
სარკმლიდან ვხედავ ყმანვილთ გართობას,
მადლობელი ვარ დღევანდელ თოვლის,
ის მე მახსენებს ჩემს ლალ ბავშვობას.

ვინც გაუძლებს მაგ იას
და იისფერს მაგ იის,
ემონება მაგას,
ტყვეა მისი მაგიის.

ვარდმა თუ არ ივარდა,
ალბათ ცუდად რგულია,
გულმა თუ არ იდარდა,
მაშინ ის რა გულია...



ყველაზე მორცხვი იაა,
ჩრდილშია მისი ადგილი,
მაგრამ თუ გული ღიაა,
იის პოვნა ადვილი.

მარტოსული და ეული,
როგორც ზღაპრული ფერია,
ფერთაც გამორჩეული,
ია ხომ იისფერია...

შემსრულებლისთვის მუსიცირება,
მეტად საჭირო, ცალკე დარგია,
ისევე, როგორც დისტანცირება
ვირუსების დროს მართლაც კარგია.

გთხოვთ, დამიჯეროთ, სიტყვას გპირდებით,
ამ თემას ვუძღვნი დღეს ჩემს კაფიას,
ქალბთან ამგვარ დისტანცირებით
დავლუპავთ ქართულ დემოგრაფიას...

ჩვენი მესხი მირჩენია,
თუმცა დიდი არის მესი,
ასეთი აზრი მეწვია
უორიგინალურესი...

შემომანვა გულზე სევდა,
დამენამა ორთავ თვალი,
ერთი გოგო გამახსენდა
ნააბიტურიენტალი...

სულს სწყურია საზღვარი,
როგორც უსაზღვროებას.
გალაკტიონი

მზის მკრთალი შუქი ფერებს აბაცებს
და ზარმაცდება ტანიც სნეული,
მთვარეულივით ძლივს მოზარბაცებს
სული სხეულში გამომწყვდეული...

იმედის ნაკადს მეტად შეივსებს,
რომ გაანელოს დარდი წყეული,
შეეგებება ახალ დაისებს
სული სხეულში გამომწყვდეული.

„გურიაში მივალ, მარა
სულმა წინ-წინ გეიპარა“.
ხალხური

სალამო ხანს, ანდა დილით,
დარჩენოდა ღიად ოდა,
რომ სჯეროდა, სული კბილით
ვერსად გაეპარებოდა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ, კანტი-კუნტად,
ვარაუდი ჩემი კმარა,
ანზორის სულს აქ რა უნდა,
გურიაში გეიპარა...

ვაიტაზია

კაცი, რომელიც აქ განისვენებს,
არ გეწყინოთ და...
თქვენგან ისვენებს...

შორით მოსული და ისევ იმ დაბრუნებული ნათელი — ლია

სულ ბუნდოვან და შორით მოსულ ნათელშია ხოლმე, თუმცა ამას თავიდან ვერ ხვდები.

ვერ ხვდები, რომ იმ თავისი ნათლით გშველის, ცხოვრებას გაადვილებს და გაგრძობინებს, რომ შენკენაა სამყარო.

შენკენაა სამყარო მისით და არა თავისთავად.

და შენც ითხოვ სამყაროსგან... და რაკი ითხოვ, ზოგი რამ გეძლევა კიდევ, რაც მართლა გეკუთვნის...

და ამ სამყაროს საჩუქრებით ის ხარობს შენზე მეტად...

...და ბოლოს, როცა იმ ბუნდოვან და შორით მოსულ ნათელს თან წაყვება, მაშინ-ღა ხვდები, რომ, თურმე, მისით გწყალობდა სამყარო.

...და იმისი კუბოს სახურავზე დაცემული პირველი გორახების საშინელი ხმებით დამფრთხალი და აფორიაქებული ფიქრობ, რომ სამყარო ზურგს გაქცევს თითქოს...

...და შეშინებულს და დაზარალებულს არავისი დანახვა აღარ გინდა, რადგან ბოლოს-ღა მიხვდები, რომ სამყარო აღარ იქნება შენკენ და შენც აღარაფერს ითხოვ უკვე... სულ აღარაფერს...

მარტოოდენ იმ ბუნდოვან და შორეულ ნათელს თუ დაელოდები...

რადგან ერთხელაც, თუნდაც მარტის სულ ბოლო დღეს, ის სამუდამოდ წავა და იმ თავისი წასვლით შენც გაგაიადვილებს სულ ბოლო მოგზაურობას, საიდანაც უკან ვეღარ ბრუნდებიან ხოლმე...

ბოდიშს ვიხდი ამ არეულ-დარეული ნაწერისთვის, მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ:

დედაჩემი აქ აღარ არის...

სიღნაღი. ზამთარი

სრულიად უბატონო ქიზიყის სანისლო-საპორტო დედაქალაქი ალაზნის ველზე ჩამონოლილი ნისლის ზღვასთან — აუშვეებენ სიღნაღელები თავიანთ ნისლის იახტებს და გაცურავენ ხოლმე ამ ნისლში ოცნებებზე სათევზაოდ...

„ალესილი კეპები“, ჯანიკა ჯაფარიძე და სხვები...

2013 წელს „ბი-ბი-სი — ორმა“ კრიმინალური სერიალი გაუშვა თავისი თეორიის, სახელად „ალესილი კეპები“, სადაც თომას შელის მთავარ როლს ირლანდიელი მსახიობი კილიან მერფი თამაშობს. ეს სერიალი გვიამბობს სმოლ ჰიტის ერთ-ერთ ბანდაზე, რომელიც ქალაქ ბირმინგემში მოქმედებდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. მათ ძალაუფლება მოიპოვეს ძარცვით, ძალადობით, რეკრეტი, უკანონო ბუკმეკერებით და აზარტული თამაშების კონტროლით. ამ ბანდის წევრები იმით განსხვავდებოდნენ სხვებისგან, რომ პენიანად იცვამდნენ: სპეციალური ქურთუკები იქმნებოდა, გახამებული პერანგები მანუფეტებით, საათის ძენკვიანი ფილტვები, აბრეშუმის ყელსახვევები, მოღერი შარვლები, ტყავის ფეხსაცმელები და ნანვეტებული, რვა-ნაჭრისანი კეპები.

„ალესილი კეპები“ იმიტომ ერქვათ, რომ ქულების კარტუზებში იკრებდნენ ერთჯერადი სამართლებების პირებს მთელ სივრცეზე და ამნარი კეპებს მოულოდნელ იარაღად იყენებდნენ მონინალმდეგესთან: პირდაპირ შუბლში ან თვალეში დაუნდობლად ურტყამდნენ კარტუზებს და ან სამუდამოდ აბრმავებდნენ, ანდა შუბლს ისე მაინც გადაუსხნიდნენ, რომ მტერს თვალეში ჩასადიოდა სისხლი და დროებით ბრმავდებოდა...

ჰოდა, ამ გადახსნილ შუბლზე და მთელ ამ ამბავზე ერთი ან უცხოეთში გადახვენილი, კანონგარეშე კაცის, მაგრამ ჩემი ახლობლის ნაამბობი გამახსენდა, რამდენიმე წლის წინ რომ ჩავიხსენებ:

„ნუხელ, დიდი ხვეწნა-დამუნათების და საიდან-აღარ-შეგმის მერე, ბანკის გასაძარცვად წამიყვანა ჯანიკამ — ჩემუბნელი მაგარი იყო ერთი, გვარად ზედგენიძე. მაგარი რატომ და, მე უბანში მოსიარულე ამბად მომისმენია, თითებშუა დამალული პირის საპარსის შუაზე გადატყეპილი სამა-

რთების პირით („ბრიტვა“) როგორ გადაუსხნა შუბლი ერთ ვილაც, რბილად რომ ვთქვა, ვერცთუ მოკეთეს და ისე კი ნამდვილ ახვარს. და თავად კიდევ, ჯანიკასთან სალაპარაკოდ ჩამომდგარს და ჩამბირყავებელს იმის მარჯვენა ხელის თითებში თვალმოუკრავად გადამალული ერთჯერადი სამართებლის პირიც რამდენჯერმე დამინახავს, ოღონდ თითქოს...

არადა, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოსთვის ეს ჩემუბნელი ჯანიკა რომელიღაც ჰუმანიტარული დარგის პროფესორს მიაგავდა ჩაცმულობითაც და ლაპარაკითაც.

გაგიკვირდებოდა და საქართველოში მეექვსედ შემოსულ თემურ ლენგს რომ ცხრაზმისხვეის ერისთავი ჯანიკა ზედგენიძე ებრძოდა 1400 წელს, აი, იმისი მერამდნე შთამომავალი იყო, არ ვიცი, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ეპიზოდებს სულ ზეპირად გეტყვოდა:

„ხოლო ლანგ-თემურ მიადგა ციხესა ტფილისისასა. და განამარგეს ციხე, რამეთუ იდგნენ რაოდენნიმე ქართველნი შინა-

ისეთ ამბავში, რომ — ფულია რა, დიდიც რამეო...


ეს ჯანიკა კიდევ თავისი განუყრელი ყავარჯნით დამდგარა და სწორედაც რომ ყავარჯნის აქეთ-იქით გაშვებით აძლევთ მითითებებს, უხმოდ — შენ ისიც წამოიღე, ბიჯო, ისიც... შენ კიდევ, აი, ის კარი გამოხურე...

ვუყურებ ამდენ დასტებს, სულ დოლარისას და, მეთქი — ვაიმე, ჩემო სააგარაკო სახლო ნუცუბიძის პლატოს გადაღმა, სადაც ტრაკში, შენამც კი აშენდებოდე, თუ, ჯანიკა, ძმაო, ეხლა ცოტა ფულს მეც მიწინააღმდეგ-მეთქი.

თან მეშინია, რომ — აბა, მე ამით როგორ ვიყიდი შიფერს და ცემენტს, დანომრილები იქნება, გამოიგებენ და ეგრევე გამოაფრთხალებენ ადგილობრივად...

არა, რა, მოდი, არ გინდა ეს ფულიო — უკმაყოფილოდ შუბლშეკრული ჯანიკა მეუბნება.

უჰ, როგორ მენყინა! ვაიმე, ჩემო აგარაკო, შენამც კი აშენდებოდე...



მიხი მოსულიშვილი დარდისას გეტყვი

გან ციხესა. და მოადგნენ გარე, აღილო ციხე და გალაგნები ციხისა და გარემო სიმაგრენი ყოველნივე ქართლისანი, და შეაყენა შიგან სპანი თუისნი და თუისად იყრა. შეაყენა შიგან კაცნი ხორასნელნი და თუით აღიყრა, და ნარვიდა და დადგა მუხრანს. და რაოდენნიცა ნახეს სპათა მისთა ეკლესიანი, ანუ მენობანი, ყოველნივე მოაოხრნეს.

მაშინ რომელნიმე ქართველთაგანნიცა მოუვიდეს. აღიყრა და მიადგა ადგილსა ჯანიკეისასა, რომელი იყო მთავარი ქართლისა, ჩადგა და დაუსწო მოოხრება, და ვერლარა დაუდგა ჯანიკა და მოუვიდა იგიცა. და დადგა ხანსა რაოდენსამე ლანგ-თემურ, და მოაოხრა სრულიად საქართველო, და ენება ხელთ-გდება მეფისა გიორგისა და ვერ შეუძლო შეპყრობა მისი“.

ჰოდა, კაცი რომ ამხელა მონაკვეთებს ზეპირად ამბობს სულ, ძველქართული სიტყვების მშვენიერი გამოთქმით და აი, მთლად იმისი, იმ მთხუთმეტე საუკუნის ცხრაზმისხვეის ერისთავის, ჯანიკა ზედგენიძის შთამომავალია, ბანკის გამოსატანად კი არა, ჯოჯოხეთშიც ნაპყვები და ხელის თითებში სამართებლის შუაზე გადატყეპილი პირს მალავს თუ არა, რა შენი საქმეა?!

ჰოდა, ჩემი „ნივით“ შევედი ბანკის ეზოში. დარაჯმა გაგიღო კარი, ეგეც ჯანიკეას კაცია.

ვერ ჯანიკა და იმისი ორი კაცი გადავიდნენ, დარაჯს ერთი-ორი მოადეს სიფათში, ხელეები შეუკრეს თოკით, პირში ჩვარი ჩასჩარეს და მიაგვეს თავის სადარაჯო ოთახში. მერე შევიდნენ შენობაში...

ვზივარ ახლა „ატანდაზე“, ვინმე თუ გამოჩნდა, რომ დაუსტყვიო რა და ვფიქრობ, რომ — ხომ მაინც გადამიყვანა ამ ჯანიკამ თავის ჭკუაზე და საციხო საქმეზე წამომიყვანა, და ჯანდაბას ჩემი თავი, ფული მაინც ვიშოვნო, თუ გამიმართლებს-მეთქი.

და მეც შევაჭერი შენობაში. დაუსწრით პარკეტზე დოლარების დასტები და კიდევ ამატებენ სეიფებიდან ჯანიკეას ამფსონები, მიღრეცილ-მოღრეცილი და ცალყბად ჩაცნებული სახეებით,

რალაცა საბუთების შეკვრა ამოიღო რომელიღაც უჯრიდან ჯანიკეამ — აჰა, ეს ნაილე, ძმაო, ეს უფრო გამოგადგებო... და „ატანდაზე“ გადიო, რა, რომ დაფშტვი-ნო, თუ ვინმე მოდისო...

და ისევ მაგრად მეწყინა — თავად დოლარის დასტები მიაქვს და მე რალაცა საბუთებს მატანს...

ჯანდაბას, ნავიღებ მაინც-მეთქი. ჩავიდე ჯიბეში და წამოვედი ჩემი მანქანისკენ.

და რას ვხედავ — მისდგომიან ამ ჩემ მანქანას და საჯართედ სჭრიან „ბარგალეებით“ სპეცტანსაცმლიანი მუშები და თავზე კიდევ პატრული ადგათ, რომ — აბა, დროზეო...

ვახ, შენი! თურმე, როგორც ჩასაბარებელი მანქანა, ისე გაუფორმებია ჯანიკეას ხალხს ჩემი მანქანა და რალაც ხმა მეუბნება, ვილაცის — რა გინდა, ძმაო, ნინკე „ნივას“ ჩაგახუტებენო!.. რატომ მომცემენ-მეთქი? შენ ხომ ამ ბანკის ფილიალში მუშაობო.

მე კიდევ წარმოდგენა არა მაქვს, რომელ ფილიალში ვმუშაობ...

და თუ ვმუშაობ, მაშინ ჩემი მიცემული გამოდის ეს საქმე ჯანიკეასთვის და მე ახალ „ნივას“ ვინლა მომამავეს?! მომცემენ კი არა, ამასაც დაეკარგავ, აგერ, სუ დამიჭრეს უკვე...

ვდგავარ გაოგნებული, ამეებს ვდარდობ და... გამეღვიძა და ეჰ — შინ კი არა, ჯანდაბაში ვარ სადაღაც ევროპაში და სულ სხვა ხმები აქვს ამ პატარა ქალაქს, რატუშის მოედანზე დიდი საათი აქვთ და იმისი რეკვის ხმა მესმის...

ეს ჩემუბნელი ჯანიკა ზედგენიძე კიდევ ხომ კაი ხნის გარდაცვლილია უკვე... არადა, სიზმარში არ ვიცოდი ეს ამბავი: იქ ცოცხალი იყო და მეუბნებოდა — ახალი ამბები მაქვს შენთვის, ადრინდელზე უფრო მაგრები. არც ეხლა მინდა შენი არაფერი, მოუყვიე მი შენ ძმაცაცს, იმან დანეროს და თქვენ იგულავეთ ამ ამბებზე, ძმაო...

მინანერი: ალბათ, ჯანიკა ზედგენიძე სადაღაც მალლიდან დაგვეყურებს და ხედავს, იმის მოყოლილზე კი არა, დასიზმრებულზე როგორ „ვეგულაობთ“ უცხოეთში ჩემი ახლობელი და აქ კიდევ მე. ეს სიზმარიც ხომ ცხოვრებაა მაინც, დაუნდობელი და შეტევაზე გადმოსული — თუ გადაურჩი, სევდასა და ადგილობრივებს, ისიც დროებით და მალევე გაქრება, წავა, გადაიკარგება და სულ ეგ არის ხოლმე...

არაგვის ხეობა ხელისგულზე

„Write as though your soul is leaving you.“ Michael Stranger Comersoul

ამ მოცარტის სმენისას აქ ხომ აღარ ვარ და სად ვარ, თუ ვიცოდე რა... მაგრამ სადაც ვარ, ჩვენი თუ სხვა გალაქტიკების ნაირ-ნაირ პლანეტებში დაფიქრნავ, მთის მწვერვალებს დატრიალებ ციდან თუ ოკ-

ეანის ფსკერზე ვყვინთავ ფერად-ფერადი თევზების საცქერად, ყველგან მაგრად ვარ, კატისებრთა ოჯახის რომელიღაც წარმომადგენლის მოქნილობით და სისხარტით, სულ წავარდ-წავარდ.

ეს ბეთჰოვენი კიდევ არ მოგასვენებს, უსმენ, უსმენ და აგაღვლოს უნდა — წავა, წავა წყნარად ვითომ და უცებ — ბუ-ბუ-უჰ! — ეგრევე მოუხვევს და შეეფეთება იმ მოსახვევში რამე ფათერაკია თუ რაც არის და — ვახ, რა ხდება ნეტო — ამეებს სანამ გააფიქრებ, მღელვარება უფრო მატულობს და მატულობს, და თან რა უძალიანმაგრესად მართლა, როგორ ძალის ყნოსვით პოულობს ესეთ ფათერაკი მოსახვევებს, გამოაგნებელია პირდაპირ...

ჰოდა, ერთხელაც, მოცარტის მერე ვუსმენ ამ ბეთჰოვენსაც, რა უნდა ამალელოს ისეთი, რომ ამ ჩემს არეულ-დარეულ ცხოვრებაში არ შემხვედროდეს-მეთქი.

წავიდა, წავიდა წყნარად და უცებ — ბუ-ბუ-უჰ! — და რას ვხედავ ჩემს მარჯვენა ხელისგულზე:

ნეკა თითის ქვემოდას ხომ არაგვი მოდის და მარცხენა შენაკადი, მათურა რომ უერთდება ზემოდან, მანდ არის ჩალრმავება და განყვეტილი მყესების კვანძია. არანაირი ქირურგიული ჩარევა არ შევლისო და წლებია, მაქვს ასე.

აი, სწორედ მანდ ჩამოვვარდი ერთი კლდიდან 1987 წელს, მთლად კისრის მოტეხით ვერა, მაგრამ ბევრი არც არაფერი დამაკლდა, მეშვედე მალის კომპრესიული მოტეხილობა იყო, მარჯვენა ხელისაც და შუბლზე, მარცხენა მხარეს ასო-ბგერა „ა“ მენერა.

დანარჩენი ჭრილობები სულ ხომ გავკერეო, ნიკაპზეო, ლოყაზეო, მეორე ლოყაზეო და ბოლოს ეს შუბლისა რომ დამრჩა, მაშინ მივხვდი, ეს რამდენიც გინდა მეკერაო — ქირურგმა აუხსნა ჩემიანება მერე — მაინც „ა“ ეწერებოდაო — და ზუსტად ესე მოხდა...

მერე გამოხდა ხანი, დრომ და ჟამმა მომიმატა სევდა და დარდი, და ისე მომიმატა, რომ ამ ჩემს მარჯვენა ხელისგულზე დაიხატა არაგვის ხეობის რუკა...

რალა დასამალია და, ეს ცოტა ისეთი რთული ამბავია, რომ ხელზე დახატული რუკა ძნელად და იშვიათად კი გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ თუ დაინახე, ძალიან რამეა — მთელი არაგვის ხეობა დაგაქვს თან და დახედავ, როცა გინდა, რომ აბა, ნისლები სად-რას მიიჩქარიან, შემოდგომამ როგორ დააფარაგა მთის კალთები, საითკენ წვიმს და ზემოთ ხომ არა თოვს უკვე და ასე შემდეგ...

თუ თქვენც, ბეთჰოვენის მოსმენისას, რომელიმე ადგილის რუკა მოგეჩვენებათ ხელისგულზე, მაშინ იცოდეთ, რომ ეს მართლა იმ ადგილის რუკაა, რომელიც ძალიან თქვენია — ისე თქვენი, ისე, რომ სულ თან დაგყვებათ...

აი, ვერე იცის ბეთჰოვენმა — ვისთვის სხვანაირად და ჩემთვის კი მოცარტის მერე, რასაკვირველია...

ბიჭურ ბადრიშვილისა და იმისი ქალიშვილისა

შუაფხოელი ხევისბერის, ბიჭურ ბადრიშვილის ქალიშვილია თეკლე ბებო...

იქაური ხევისბერები ლალის იახსრის ხატის ყმანი არიან ხოლმე და იმათზე თუ დავინყე მოყოლა, თანაც თუშ-ფშავ-ხევესურეთის ხევისბერებზე გადავდებ, დამთავრებული ამბავია, ჩემი გამჩრებელი კაციშვილი აღარაა დედამინის ზურგზე და ამიტომ მოკლედ გეტყვი —

იმ ბიჭურ ბადრიშვილისა, ეს ლექსი რომ გამოთქვა:

*პურადსა ჰკითხეს: პურადო,
პურადობისა რა გერგო?
„ნეტაი ჩემი სასახლე
შუა-შარაზე ამეგო,
გაყინულ ცეცხლით გამეთბო,
მშიერი პურით გამეძლო,
ამდენა ცოდვის მოქმედსა
სულ იმით მაინც მამეგო!“*

დიახ, სწორედ ამ ხევისბერის ღირსეული შვილია თეკლე ბებო და ამაზე ძალიან ცოტა თუ მიყვარს ამ ქვეყანაზე, რადგან: სამშობლოა ეს ჩემთვის და იმიტომ.

სწორედ დაგელაპარაკება და იმიტომ. ნამდვილი ქართული თანაც და იმიტომ...

...და კიდევ ათასი ასეთი „იმიტომ“ დამგროვებია 1986 წლიდან, რაც ამ დიდებულ ქალბატონს ვიცნობ და იმიტომ.

ჰოდა, რა პასუხს გაცემდი ამას და ამისთანებს, ამ ქვეყანას მეც რომ ვურევდე ეგრე, გარედან ავად ჩადარაჯებული მტრის ნებაზე? ვერც ვერაფერს და ჩემი განაჩენიც ეგ იქნებოდა...

მაშინ ეგრე ლაღად კი ველარ ვიქნებოდი თეკლე ბებოსთან, უკან შებრუნებული ქუდით, ძირს დაუნარცხებლად და სულ ნავარდ-ნავარდით, როგორც რომელიმე უძალიანმაგრესი კომპოზიტორის მოსმენისას...

ნუსხის...

ნუსხელის, ჟამსა მას მწუხრისასა და წუხილისასაც, თურმე, რაილაც მომდევნო ახალი კრებული გამოცემა ერთ ვინმე პოეტს, გრძელი სიტყვა რომ უფრო გრძლად ითქმის, აი, ეგეთების დამთხვევებს და ერთობ დაგემოვნებითა და ძალიან მონადინებული გამოთქმით ამბობდა სათაურს: „მიუწვდომლობით განუდგომელი გულეები“.

მე კიდევ ვეკითხებოდი — ვის გულსაც მისწვდნენ, ყველა განდგომილია-მეთქი?..

რა არის, რომ ამ ჩემ სიზმრებშიც ვერ გისწავლიათ ნიგნისთვის სათაურის დარქმევა რა...

და არა მხოლოდ პოეტებს, სხვათა შორის...

პიტერ ო'ტულის მიზიდულობის კანონი

რაზე მეტყველებს გაქცეული მზერის, ანუ პიტერ ო'ტულის მიზიდულობის კანონი? რომ ამ გადარეულ ირლანდიელს, არაფერი ალენ დელონი და გადაპრანჭული ეს არაა, უფრო პირუკუ, მოუწესრიგებელი და დაუდევარია, მაგრამ მაინც შინაგანი ძალა აქვს რაღაც უხილავი, უამრავ ხალხში რომ იდგეს, ჯერ ამას შეხედავ...

რალა იდგეს, 2013 წლის 14 დეკემბერს,

81 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ მე მაინც ისე ვილაპარაკებ, როგორც ცოცხალზე... ჰოდა, წავა-წამოვა, ბევრ მაგარ როლს ითამაშებს — ლორენს არაბი გინდა, ჰენრი მეორე პლანტაგენეტი, დონ კიხოტი და მიგელ დე სერვანტესი, არტურ კონან დოილი თუ ტიბერიუსი, იმპერატორი ავგუსტუსი თუ პრიამოსი, რომის პაპი პავლე მესამე და სხვა და სხვა...

როგორც საუკეთესო მსახიობი მამაკაცი, ყველაზე ხშირად იქნება წარდგენილი „ოსკარზე“ და ბოლოს კინოში შეტანილი დამსახურებისთვის ძლივს მიიღებს...

ალკოჰოლთან ბრძოლაში სიკვდილის პირამდეც მივა, რამდენიმე ოპერაცია დასჭირდება და ძლივს რომ ააწყობენ ექიმები და სცენაზე თუ კამერის წინ დადგომას შეძლებს — ხომ ვითომ სახედანაოჭებული მოხუცია უკვე და ვითომ „უჰ, რას ჰგავს!“ და — მაინც ამას უყურებ პირველ კატის თვალებში, რომ — აბა, ერთი რას ამბობს და როგორ თამაშობს...

და ერთხელაც ენტონი ჰოპკინსს რომ გადაეყრება, ვისთანაც ერთად ლოთობდა ხოლმე და მერე ამან სმას თავი დაანება, აი, ზუსტად ამას ეტყვის: „ამბობენ, რომ უკვე შარავანდედი გაქვს თავის გარშემო, ისე კი არა, როგორც ჩვენ, ცოდვილებს...“

...და ეს გაქცეული მზერის, ანუ პიტერ ო'ტულის მიზიდულობის კანონი რომ მხოლოდ მსახიობებში კი არა, დანარჩენი პროფესიის ადამიანებშიც წარმატებით მუშაობს, იოლად მიხვდებით, თუკი დაუპყვინდებით, ბევრ ხალხში როცა ხართ, უფრო ვისკენ გაგვირბით ხოლმე მზერა — ლამაზი ქალების გარდა, რასაკვირველია...

ნუ დავტორავთ ჩვენს სულს

სეისმური აქტივობის რუკაზე, რომელიც კავკასიის რეგიონში ფიქსირდება, კარგად ჩანს, რომ არაბეთის ფილა (გეოლოგიაში „ფილა“ მიწის ქვეშ არსებული დიდი და მყარი ერთეულია) ყოველ წელს 2-3 სანტიმეტრით მოდის კავკასიონისკენ. ჩრდილოეთიდან მას ხვდება ევრაზიის ფილა და ეს მიბჯენით რქენა-შეჯახება მიწის ქვეშ ინვესარასტაბილურობას ამ რეგიონში — ყველაზე უარესი სპიტაკის მიწისძვრაა 1989 წელს და ჩვენთანაც მომხდარი მიწისძვრები, თუნდაც რაჭის მიწისძვრა 1991 წელს, რომლის მაგნიტუდა იყო 6.9, ხოლო ინტენსივობა ეპიცენტრში — 9 ბალი. ამ მიწისძვრის ჰიპოცენტრი იყო ღრმაკეროვანი (17 კმ.) და მისი ეფექტი დედამიწის ზედაპირზე 8-9 ბალით განისაზღვრა. ამ მიწისძვრამ დაახლოებით 46,000 შენობა შეინარა 114-270 ადამიანი. ზარალი მამოინდელი კურსით 100 მილიონ მანეთს აჭარბებდა. განმეორებითი ბიძგები რამდენიმე თვე გრძელდებოდა, მათ შორის ყველაზე ძლიერი 1992 წლის 23 ოქტომბერს, ბარისახოში დაფიქსირდა, მაგნიტუდით 6.4.

აი, სწორედ ამიტომ არ შეიძლება გიგანტური ჰესების მშენებლობა ჩვენთან, ნამოხვანჰესის კასკადი იქნება თუ სხვები...

ანდა დაძინებული მენყრებისთვის ძირის გამოცლა გზის გასაყვანად თუ ახალი კორპუსების ასაშენებლად და ასე შემდეგ...

მილიონჯერ უთხრეს სახელმწიფო სტრუქტურების სპეციალისტებმა, რომ თუ მაინც დამაინც ჰესები უნდა და ენერგოდამოუკიდებლობას იმიზეზებენ, მაშინ აშენონ მხოლოდ და მხოლოდ მცირე ჰესები, რომელიც არ დატბორავს სოფლებს და არც სამომრეობე ექნებათ იმდენად დიდი... რადგან:

ის სოფელი, ის სახლი, ის მინდორ-ველები და კლდე-ღრე, ის საფლავები, ის სალოცავები, რაც გიგანტური ჰესების ამენებისას უნდა დაიტბოროს, იგივე ჩვენი სულია და — ნუ დავტბორავთ ჩვენ სულებს...

სათავისისთავისოდ როგორ უნდა გამოულოცო საკუთარ თავს

„საბაროდ გადმამავალთა ამბავს ეკითხავდი წეროთა, — რა წერილობას გაგვინვეს, თოვლზე ამბავი ვწეროთა?“ ვაჟა-ფშაველა — „ბახტრიონი“, 1892 ვაჟა-ფშაველას ვერია იტყვის ამას... დიახ, სწორედ ეგრე არის დანაბარები და შემოთვლილი...

ჰოდა, ეგ შენი თოვლზე დასანერი ამბები შენთვის შეინახე, არც ფურცელზე თუ მონიტორზე ნაწვლანები მაჩვენო...

შენ ქვაზე ამოკვეთილი სიტყვებით წამაკითხე შენი დანერილები, თუ შეგიძლია...

თუ არა და, თავი დაანებე წყლის ნაყვას და რაც შენი საქმე არაა, ჩამოეხსენი, ბოლო-ბოლო...

როდემდე უნდა აკლდე იქ — მკვდრებსა და აქ — ცოცხლებს?!

როცა გაგვიმართლავს სოფელი... იშვიათად, მაგრამ მაინც

ნაოპერაციებზე ხომ უფრო, ტკივილებზე რომ დაგავინყოს და ისედაც, კაი ხნის შინიდან გაუსვლელზე ამ კოვიდ-პანდემიის გამო, კაი წიგნის მოძებნაა ხოლმე ძნელი და ამ ცხელი ივლისის ერთ დღესაც ძალიან გამომართლა:

20 ივლისის დღით, 11 საათისკენ დავინყე ზურაბ სამადაშვილის ეს რომანი — „მოსალოდნელი მოულოდნელობანი“, გამოცემული 2015 წელს „საბას“ ელექტრონული წიგნების საიტზე და „საბას“ ლაურეატი მომდევნო, 2016 წელს, ნაყიდი ოთხ ლარად, ელექტრონულ ფორმატში... არსებობს ამ წიგნის ქალაქის ვერსიაც, გამოცემული დათო აბულაძის გამოცემლობაში „გლოსა“, დათოს კიდევ კარგი წიგნების შერჩევა არ ეშლება ხოლმე, როგორც ნსი...

მაინც ძველი თაობა ვარ, მონიტორზე და რიდერზე სამი გვერდი თუ წავიკითხე, ისიც ძლივს და...

სადღაც სამი საათისკენ ვშლი მომდევნო გვერდს, ვშლი და აღარ იშლება — ბოლოში ჩავსულვარ და ვერ გამიგია, 235 გვერდიანი რომანი წამიკითხავს ოთხ საათში, თან შესვენებაც მომიწია, რომ ჭამის დრო იყო პირველზე, ზედაც ნამღების დაღევს...

აი, მართლა მაგარი წიგნია-მეთქი, რაკი ესე შეუნელებელი ინტერესით წამაკითხა თავი...

ფინალს ცოტა მკვეთრს ველოდი, მაგრამ ესეც „მოსალოდნელი მოულოდნელობების“ თემაშია, რომ ამ ბიჭმა, მომღერალმა, დაურეკოს თუ არა იმ გოგოს, ნატას...

ეგ ნატაც ცოდოა, ამ ნატაზე მოძალადე ის დამპალი ბექაც, ბატონი დავითიც, თავისი „სასტავიანად“ და, საერთოდ, ყველა ცოდო ვართ, ცოდვა რომ დავგვეცეგე და — ცხოვრებაც ეგაა.

აქ რომ სიცარიელე დახატა ავტორმა, რომელშიც ეს პერსონაჟები არიან, ისე ვერსად. ვითომ რაღაცას აკეთებენ და სიცარიელეს ვერ გასცდენიან, რაც დახვეწილი ირონიაა ამ ცხოვრებაზე და თან ცოდვა სდევთ ბედისწერულად.

ამ წიგნში წერის სტილია ვითომ იოლი და ამ დროს — ურთულესია ესე წერა. ცნობიერების ნაკადებია ტექსტში ხოლმე იოლად მონვდილი, ადრე რთულად იცოდა ხოლმე ზურამ და აქ — აღარ.

სიღრმე კიდევ ისაა, რომ რაღაცა მოგვეშალა მთელ ქვეყნიერებას, განა პოლიტიკითა და მსგავსი რამეებით, არა — ჩვენივე თავების გამო... გამოვაცარიელეთ ეს ცხოვრება და რასაც ვაკეთებთ, სიცარიელეშია სულ...

ამაზე მაგარი რალა უნდა ეთქვა ავტორს, არ ვიცი...

ეს წიგნი გასაგები იქნება ნებისმიერ ქვეყანაში და უნდა ითარგმნოს სხვა ენებზეც...

და თან რო გადასაღებიცაა კინოდ? მაგარი ფილმი გამოვა ამისგან და პიესაც. ესეც განსაკუთრებული ნიჭია, როცა მწერალი გრძნობს დრამატურგიას და ამ რომანსაც ეტყობა ეს, როგორც ამ ავტორის ნინა წიგნებს...

ჩემი თაობისაა ზურა სამადაშვილიც, მეტი წიგნები უნდა გვეწერა და ისეთი ცხოვრება იყო, რომ ვერა რა...

არადა, კაი მწერალი ცოტას კი წერს ხოლმე, მაგრამ ძალიანაც ხომ არა...

ბოლოს ისევ ის უნდა გავიმეორო, რითაც დავინყე:

მაინც ძველი თაობა ვარ, მონიტორზე და რიდერზე სამი გვერდი თუ წავიკითხე, ისიც ძლივს და...

ეს რა კარგი წიგნი გამოდგა და როგორ გამომართლა-მეთქი, ვვიქრობ...

ნახეთ, ეგებ თქვენც გაგამართლოთ... მინანერო:

ზურა სამადაშვილი ცოცხალი იყო, ეს

რომ დავენერე, ნაიკითხა და მაღლობაც მითხრა მაშინ, 2021 წლის ივლისს...

ეჰ, რა ვიცოდი, რომ ერთი თვის მერე, იმავე წლის 30 აგვისტოს მარადიულობის უკანმოუზბრუნებელ გზას გაუდგებოდა და ეს ბოლო წიგნი გამოდგებოდა მისთვის...

დაშვნილობა მაისტროსთან

1. რიგითი თანამოფანქრის გადასარჩენად...

„ახლახან მიხი მოსულოშვილის პიესა წავიკითხე აფხაზეთის ომზე. ხომ ვიცით, როგორც განვიცდილით აფხაზეთის ომს, მაგრამ ამ უაღრესად დიდმა პიესამ თავიდან კი არა, უფრო მეტადაც კი განმაცდევინა თითქოს უკვე განცდილი უბედურება; არადა, იქ რომ ვყოფილიყავი... მაშინ?..“

გურამ დოჩანაშვილი (ჯუმბერ თითმერიას ინტერვიუ გურამ დოჩანაშვილთან: „ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი“-სა არაფერი მწამს... ქრისტეშობისთვის, 1998 წ.; წიგნიდან: ჯუმბერ თითმერია „საუბრები“, გამომც. საარი, 2004, გვერდი 51).

გურამ დოჩანაშვილს ვაცილებთ, დარდით სავსე ოთახში გადმოღებული მაქვს იმისი ოთხტომეული, ხან ერთს ავიღებ, ხან მეორეს, გადავშლი, გადმოვშლი, ველარაფერს ვეკითხულობ, აღარ მეკითხება და ჯერ ხომ ეს მახსენდება:

ეჰ, რა კარგი გამოცემაა, მაგრამ მე მაგის მყიდველი ვერა ვარ-მეთქი და — ყიდვა არც გინდაო — და მაჩუქა ეს თავისი ოთხტომეული, ძვირფასი წარწერით... აკი, დიდი კანუდოსელი იყო თავდაც... ..და ესეც რომ, ესეც რომ არა ვთქვა, არ იქნება:

წიგნის „ვილაპარაკოთ. 33 ამბავი აფხაზეთზე“ იდეისა და კონცეფციის ავტორის, ირაკლი შამათავას, მიერ კიდევ ერთხელ გულდასმით რედაქტირებული და იქ წარმოდგენილი ჩემი მოთხრობის „არღარა ეყივლოს ქათამსა“ (1996) მიხედვით 1997 წელს დავენერე პიესა, სახელად „თეთრი ლაშქარი“, ტრაგიკომედია აფხაზეთის ომზე, ორ მოქმედებად, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, 1998 წლის მეცხრე ნომერში (დაიდგა 2005 წელს სოხუმის მზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში „თეთრი ტალღა“, რეჟისორი გიორგი რატიანი).

ეს პიესა წავიკითხა გურამ დოჩანაშვილს და ზემოთ წარმოდგენილი შეფასებაც მამინდელია...

მე ვინ ვიყავი, რომ ჩემი პიესა ეკითხა, დამწყები და რიგითი თანამოკალმე, უფრო კი თანამოფანქრე, რაკილა საშუელიანი ფანქარი მერჩია საწერად (ერთხელაც — სულ ფანქარი არაო და მოდიო, ხანდახან ამითაცო — და „პარკერის“ ფორმის მელნიანი კალამი მაჩუქა, მაგრამ მე მაინც ვერ ვიგუე და ისე ფანქარს მივუბრუნდი, თავისი საშუელითა და სიყვარულით). არადა, კითხულობდა, თურმე, და აი, ესეთი გამოწვევებით მოულოდნელ სიხარულს დაგვატეხდა ხოლმე თავს, მარტო მე კი არა, სხვა დამწყებ მწერლებსაც...

იმიტომაც დავარქვი ამ მცირე ჩანაწერს ის სათაური, რაც თავში წერია...

2. ნახვამდის, მაესტრო...

დამშვიდობება გურამ დოჩანაშვილთან, 6-7 აპრილი, 2021

იქ უფლის ზეციური საძოვრები და მივივ დიდი ნაძვებია...

იქ თქვენი მონატრებული ირაკლია... იქ ლუკა რაზიკაშვილსა და ნიკო ფიროსმანსაც ნახავთ... ისინი უკეთ გეტყვიან, ქართული იდენტობის ნიშნებს თავდაც რომ ატარებდით და ატარებთ...

და სხვებსაც ნახავთ... აქ თქვენი ძმები კეჟერაძეები, „სამოსელი პირველი“, „ვატერ(პო)ლო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, „ლოდი, ნასაყდრალი“ და სხვა, ჯერაც წასაკითხი ნაწარმოებებია... აქ თქვენი ფრთიანი გამოთქმებია, ყველას რომ პირზე გვაკვირებს, „წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ“ და „დედამინას სიყვარული ატრიალებს, დომენიკო“ და სხვები...

აქ თქვენი ნათელაა, ქეთო და თინათინა... და კიდევ მთელი თბილისი და მთელი საქართველოა...

ნახვამდის, მაესტრო!.. მომავალ შეხვედრამდე იქ, მალა და ზემოთ...



ნათია გიორგაძე

მზიდი კედლებივით მყარია ჩემი რწმენა და ვარდისფერი თათუნების მსუბუქ როკზე შეყვარებული, რადგანაც მეტროს გვირაბები გამოაზამთრებს ვირთხებს ამ წელსაც, აღარ მექნება საზრუნავი. სოფლის სახლიდან გამოყოლილებს წინ არ ვუძლოდი, მაგრამ ვერც შორს ჩამოვიტოვე, სად წამეყვანა? თეატრალურ სარდაფში ჭოლას „თავის“ მისცეს ბინა, სად ჭოლას „თავის“, სად ეს ვირთხები? და მივატოვე რუსთაველზე მანქანებს შორის და გადავკვეთე სკვერი ავტომაგისტრალივით. გამობდა ხანი, ტაქსი გაძვირდა, ჩავედი მეტროში, მეტროც გაძვირდა და ამოვივიარ ახლა მეტროდან, უცებ ეს ვირთხები, ჩემი ვირთხები, თითქოს სიმინდით სახსე ბეღელს უცარიელებზე მამას, ისე კარგად ცეკვავენ.

მთიდან დასაშვები შევუღმფრენივით ჰაერში უნდა გამოგვიდო. მე ბევრს ვენერვიულობ, ჩემი პროფესია ესაა, ფეხებზე დაკიდებას არსად არ მასწავლიდნენ. ვილაც ლაპარაკობს, ვილაცას უსმენენ და ვისაც უსმენენ, ის ეძებს გასაღებს: ცემენტი, სევენტიენ... ასე, ხომ მილიარდ მსგავსებას იპოვი, თუ კარგი ყური გაქვს, თუ ყურზე გიხდება საყურე. ასე იოლია, განაგო, რასაც ვერ გაიგებ და რასაც ვერაფერს მიხვდება. თუ წარბებს არ ასწევ იმდენად, რომ სიტყვის მასალად არ დარჩეს იმედი, რომ სასონარკვეთა არავის მოუტანს სიკეთეს. რა კარგად ახსენი ყოველი წერილმანი, მოვეუბი, მოვდუნდი, გავხდები წმინდანი, ვილოცებ თქვენზე და თქვენს ავან-ჩავანზე, მთავარი ის იყო, რომ ჭაში ჩავვარდი. არც ერთი სიტყვა არ გამანდო, ანუ არ დამალო არცერთი.

მარიამს

მე შენ ხელს არ გიშვებ, მე შენ ხელს ვერ გიშვებ, შენი ჩრდილი პატარაა, შუანელზე მესერს მისდევს, ჩემი — მესრის თავანს. სანამ დაიბადებოდი, ციდან მთვარე ჩამორიგდა ფარნებად, ვინაიდან თავკერძი და თავნება არ ვარ, ყველას დაფუჯერე, რა მეჭამა... რა მესვა... რა მეთქვა და რა — არა. ვითომ სულ არ ვიცოდი, რომ უფალი დიდია...

რომ არავინ წამართმევდა შენს თავს...

მჭიდროდ მადა კაბა, ავთავალსა და ფლიდიანს ახლოს არ მაკარებდნენ. ახლა ჩვენ რომ მივდივართ, ამ გზას ადრეც გავდიოდით, შენ — არ ვიცი, მე კი მახსოვს, როგორც ამონარიდი: ეს იქნება შენი სისხლი, ერთადერთი, რაც გინახავს, ეს იქნება... ხელს არ გიშვებ, ხელს ვერ გიშვებ...

ამას ხმამალა როგორ ვიტყვი, ხმადაბლა თქმასაც მოვერიდები, ან ეგებ სულაც გულში ჩავიმარხო, მარგალიტო, ჩემო კარის მეზობელო, ყოველთვის მოგიგონებ. რასაც მზემ გადახედა, ჯერ აყვავდა, მერე გამოშრა. რასაც მამალმერთმა გადახედა, შენსავით დაქვრივდა. მიწისძვრის მერე ფიქრმა უფრო დიდ მიწისძვრაზე იცის შიში, შიშის ქარმა იცის ქოლა, გაშლილ წიგნში ჩაიხედავს და მეგობარს უკარნახებს: „ობოლე“ ბაბუის ნაქონი თოფია. მერე სხვა იწყება, არაობოლოური, ბუხრის წინ სისხლის გუბე დგას, ისინი აქ არ არიან, მხოლოდ მე და შენ დავიტიროთ. მხოლოდ მე და შენ დავინახოთ გულისკოვზე ცრემლის ტყვია. პალტო ჩავაცვათ და დანარჩენი მხოლოდ ვიგულისხმოთ. შინ შემოდი, სტუმარო, სუფრას გავშლი, ჩიტის რძეს არ დავაკლებ. შინ შემოდი, სამტროდ თუ არ მოსულხარ, შინ შემოდი, სტუმარო... — შავი კაბა მოგიტანი, მკერავს შენთვის შეუკერავს.

სად ვცხოვრობოთ? რას ვსუნთქავთ? რაზე ვფიქრობთ? დილაობით წინ ვერაფერი დავვიდგება, მიწა თოვლია, თოვლი წყალია, წყალი მიდის და მოდის და ვერც სიყვარულს დააკვირდები, დილაობით სიყვარული სახსეა, თითქოს ცარიელი არასდროს ყოფილა, არც დალაბრებული, წადი და მოჰკითხე. მელას რომ უთხრეს, „თავი საით გიყოთო“ და მელამ რომ უთხრა: „საქათმისკენო“. წადი და მოჰკითხე. კეთილო კაცო, შენ ალაღინე საზღვარი, სადმე თუ დაირღვევა. შენ გამოყავი მღვდლები გზებზე სასიარულოდ და აიაზმის კულტის მსახურნიც, პირი დაალო გველემამა, დიდი მუცლიდან ამოყარა დიდწინაპრები, როგორც მეპურემ ცხელი შოთები, იქვე გულდადებით, მშიერთათვის. მე შენ გიყიდი ფერად ბუშტებს, ჰაერში გასაშვებ ფერად ბუშტებს, და სათამაშო რაკეტებსაც, თუმცა არ ვიცი, მათ ჰაერში როგორ გავუშვებთ?

კარგია, ყველას ესმის ჩვენი ხმა და მშვიდობიან გზას გვისურვებენ.

ვერ დავინახე, როგორ გამოვიდნენ ცეცხლში დამწვართა სულები კვამლიდან? რადგან ისინი თავიანთი ქცევების მიღმა, ხოლო მე ჩემი ნებისყოფის მიღმა ვიდექი. ვერ დავინახე ქალი, ჯობდაბეწვილი, თავჩაქინდრული, თვალეზამომშრალი როგორ ტიროდა? რადგან ის ქალიც თავისსავე თავს შევატოვე, რაც თავისთავად იოლია. გამობდა ხანი, ციდან ჩამოცვივდნენ ახალი თვითმფრინავები ახალი ცხედრებით და მინდვრის ყვავილები გადანვეს, როგორც თაფლოვანი სიტყვები, თუთა, თოლიგე და მარწკინალი. აივსება ყველა სამარე... და ღმერთიც კოლოში დაეტევა...

ეს მსოფლიო დაიქცევა, ეს მსოფლიო — სოფდაგარი, ჩვენ დავაქცევთ ჩვენი ქცევით, უტიფრობით, ცოდვა-ბრალით. ჩვენ ავუშვებთ ჯოჯოხეთში გამომწყვდეულ ყველა ტირანს, ჩვენ ვინც ვდგავართ ახლა ჩუმად, და არ ვდგავართ თავდაყირა. მერე გულმბედაფატრული, მერე ენებჩავარდნილი ამას ვიტყვით, ხოლო ამას, როცა ვიტყვით, თავს ჩაექინდრავთ:

რას მოათრევ, პატარა ბიჭო, ასე მწარედ რაზე სტირი? ნუთუ, დედა არ გაკოცებს? ნუთუ, გულში არ ჩაგიკრავს?

იქ დაგარტყამენ, სადაც არ ელი, როცა არ ელი სიკვდილს, კარგია, ხედავ, რომ რქასავით ადგას არილი, გაიშლება და გაიტოტება თოვლზე საცალფეხოდ. ქალები, მოხუცები, ბავშვები, რა მოსატანია დანარჩენი, მწვერვალს შედგომიან ჩემი ძმები, რადგან ამირანი ბოროტია, ხოლო მისი ცოლი მკვლეელი. — ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ცხოვრება მექნებოდა, გველის ხვრელში მაინც ვერ გავძვრები, ვარდი მაფენია გულზე, ვარდი ჩემი ეზოს გერბიანი ქაღალდია, გააგორე კამათელი, არ მიყვარს კამათლის გაგორება, არც კოჭის გაგორება, ახლა ომია ყველგან, თოვლში ჩამხობილი მებრძოლები სახეებს მალავენ, ნუ გრცხვენიათ, მკვდრებო, თქვენ არ იცოდით მინასთან შეზრდა...

რადგან მკვდარი და ცოცხალი შენთვის ერთია, რადგან მიწასთან გაასწორე ქალაქები, რადგან ამდენი სისხლი დაღვარე და მაინც შენი გამომეტყველება ღმერთისას არ ჰგავს, რას ფიქრობ იმ კაცზე, ტბის პირას ბაყაყს რომ ელაპარაკება? ან მის ოჯახზე, ტბაში ჩაშვებული ანკესის იმედად დარჩენილ ოჯახზე, ან იმ ბავშვებზე, ამ კაცის რომ არაა, ამკაცისმგვილირომელია? ხაზებით გამოყავით სიტყვები. დამარცვლეთ სიტყვები, დაშალეთ მარცვლები, რა ჰქმნის მარცვალს? — ამოსუნთქვა! ხორბლის მარცვალს? ხორბალი. კაცს? — კაცი კლავს და ღმერთი ჰქმნის. სოხუმი დაეცა, მარიუპოლს ვერ აიღებენ.

იყო ერთი მტრედი, ფრინველებს შორის გამორჩეული...



ბადრი
სულაძე

ანუ —
დავბრუნდეთ პირველყოფილ გრძნობებთან ახლოს,
რომ ცოცხალ ხარებს არ ავათალოთ
საშოლტე ტყავი, —
და არც კუნძული დავამძიმოთ სისხლიანი
ღრუბლის ქულებით...

ცხელა და მაინც ვსულიერდები,
რადგანაც, —
ზედა სართულიდან
ბავშვის ფეხების ტყაპუნის ისმის...

მინატკეპნილი იატაკის სევდას მიაგავს,
დაუსრულებლად ტურების რომ ისმის ჩხავილი...
და თავზე ვივლებ მონატრების ფერთა ნიაღვარს,
სპილენძის კასრში ნაგროვები
წვიმის წყალივით...
ამ ფიქრსაც ახლა ისე ცხადად მიეყვარა ტბასთან,
სულ ახლოსა ვგრძნობ

ნესტიანი შამბნარის სურნელს, —
გულს რომ ვუხსნიდი მომლოდინე ჭიშკართა მსგავსად,
ვით აღზევანში მარილისთვის
გაგზავნილ ურმებს...
თუმცა გზადაგზა ნიავე-ქარი მაინც მომძახის, —
იმ ათას ღამეს ერთი ღამის წამი გერჩიოს,
ღამედგანელილ უსასრულო დარდის სოხანის,
ვიცი, მორჩილი ვერ დავრჩები
სამიღვთიეროდ...
ცა რომ პატრონობს

ნასახლარზე დაყრილ ცივ ლოდებს,
მთვარის სხივებით ღამეს მოქსოვს შალის წინდებად, —
და მზე ჩიტად რომ დააჯდება საგვირგვინოზე,
თავმღვრიე წყალიც უსათუოდ
დაინმინდება...

როცა თოვლია და —
მნიფე ხურმებს
სახე მაინც უჩანთ ფიფქებს შორის, —
კიბის ჩამოტეხილ საფეხურზეც
თითქოს ღამე იდგეს ქრისტემობის;
ყველა ვარსკვლავი რომ ელვარებით
იმ ერთ ცისკრის ვარსკვლავს ეზომება...
მეც რომ ამ სიამით ველამდები, —
(როგორ არ გაკრიფეს მეზობლებმა...)
ნუთუ, სიცვიეში მიტოვებით,
მხოლოდ იმად ღირან ეს ხურმები,
მე და ჩემი ფიქრი — ცივ რტოების
ჯიბრით თბილ ბუხარს რომ
ვეხურხლებით...
ნუთუ მთვარეებულ ნატვრის ფურცლებს
ვარქმევ ნარინჯისფერ ფოლიანტებს...
უკვე მერამდენად გავისუსე
გარეთ ბელურების ფორიაქზე...
ბევრჯერ მზით გაცვეთილ ფოლიანტად
კვლავაც არაერთხელ ვიშვებოდი, —
ოღონდ შენ გიხილო თოვლის ნაცვლად
მნიფე ხურმებსა და
ფიქრებს შორის...

როცა ტკივილები სულსაც აწვებიან,
მერე რა მოხდა, თუ — დავმორჩილდი...
ღამე ხომ მოვტაცე ქუჩას ნაძვებიანს,
ღამე — ილღიაში ამოჩრილი...

სამუშაოდან დაბრუნებულ
დაღლილ მამაჩემს
დედაჩემისთვის
თან მოჰქონდა
თაიგულები, —
ძაფით შეკრული
ოხრაბუშის,
ქინძის და
კამის...

„ჩემო ტკბილო საქართველოოოოოო,
შენი ნახვა მენატრებააააა...“ —
ის ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა
და ეყრდნობოდა მთვარეულ ლობეს,
თან მოუსვენრად ინვალებდა
ღაბუა წარბებს...
მე კი ვბრაზობდი, —
სმენა თუ არა, რიდი მაინც
ხომ უნდა ჰქონდეს
ამ შუალამეს...
ვეკტავდი ფანჯრებს
იმ იმედით, რომ ხისტი ბგერები

ველარასოდეს მონვებოდა
ჩემს ყურთასმენას...
ის კი ჯიუტად გაჰყვიროდა
სულ ბოლო ხმაზე:
„ჩემო ტკბილო საქართველოოოოო,
შენი ნახვა მენატრებააააა...“

.....
შუალამეა...
ფართოდ ვაღებ დაკეტილ ფანჯრებს
და ვაკვირდები, ვინმე ხომ არ
ეყრდნობა ლობეს,
ხომ არ გაჰყვირის, ან ინვალებს
ღაბუა წარბებს...
მინდა, ვბრაზობდე, —
სმენა თუ არა, რიდი მაინც
ხომ უნდა ჰქონდეს
ამ შუალამეს...
მაგრამ სიჩუმე კომენდანტის
საათივით განელილია...
და მე გაჰყვირი
სულ ბოლო ხმაზე:
„ჩემო ტკბილო საქართველოოოოო,
შენი ნახვა მენატრებააააა...“

მე გავიქცევი
და გთხოვ, მწევარს ნუ დამადევნებ, —
შენი ყინულის
სასახლიდან მთაში გავრბივარ...
უმჯობესია,
გრძნეულ ღამეს უმალ დავნებდე,
ვიდრე კვლავ დავრჩე
ძველისძველი დარდის საკიდრად...
სანამ მთვარეულ
ვარსკვლავებზე ცეცხლს მოიკიდებს,
ალბათ, ცის თალი —
კვლავ გახდება მოსაკითხავი...
მერე მე თვითონ
გაგიკვალავ ჩემსკენ ბილიკებს,
მთაში გახიზნულ
უჩემობას როცა ისწავლი...

კარგა ხანია, რაც ადამის ვნავლობ ყალიბში, —
სხვის მოსაწონად ალბათ ვერც მე
ჩამოვყალიბდი...
ფიქრით გადაღლილს ვერ მშველიან
ვერც იმპულსები
და ლოკოკინას ნიჟარაში
მეც ვიყურსები...
არ მპატიობენ ამ სიჩუმეს და ამ სიმშვიდეს,
მაგრამ ხურტკმელი, სულ რომ სურდეს,
ხომ ვერ იშინდება...
კანი მსუსხავი ფოთლებითაც
ხშირად ავიწვი...
მკბენდა ძალივით — გატეხილი
ძვალი ლავინის...
სისხლს იქნებ სურდეს, ბოლო წვეთიც
ბარემ გამიმრეს,
მაგრამ ცაზე რომ კვლავ აწვალებს
ღამე კლავიშებს,
ვერ ჩაგროვდება რბილ ქსოვილში
დარდი ჩირქივით...
და ვერ დამამცრობს ირონია
მთვარის ქირქილის...
გულმა სხვის გამო თუმცა ბევრჯერ,
მიჯრით იჯავრა,
ლოკოკინას ხომ ისევ იცავს
მისი ნიჟარა...
სტილიზებული ფაიფურის
ფერს რომ მანახებს,
ცის გამო ტანზე ისევ ვიგლეჯ
სევდის არტახებს...
გაღვიძებულზე თვალს თუმცა
ნაჩვევად ვისრეს, —
იღვრება წვიმა, ონკანი რომ
დაგრჩება,
ისე...

ტელევიზორში უკრავს ორკესტრი
და ჩემს ოთახში კვლავ მოცარტის ჰანგი იშლება,
საოკიანე ხომალდების იალქანივით...
მე კი ხავერდის ცხელ ქსოვილზე მინებებული
და გათანგული ქალაქის სვავით, ვსუნთქავ უღონოდ,
როგორც ლიფსიტა ალუმინის გაჭეჭილ ფსკერზე
და ველოდები, იქნებ ჩამთვლიმოს, —
რომ გადავსახლდე იქ, პასტორალში,
სადაც მოცარტი იბადება გამჭვივრავლ
ჰაერის ჩქერში...
მერე კი, მზისგან გაცხელებულ ხავერდის მკერდში
დაჩეკილმა ემოციებმა, იქნებ შეძლონ და ისრიალონ
ლიფსიტებივით — მოკამკამე ცისფერ ლელუმი
და მომანიონ დაღლილ გულზე,
როგორც ქორალი — ჩიტების გუნდი
და ხეების მწვანე ორკესტრი, —
რომ გამოვფიზნულდე...

საწუთრომ თეთრი პერანგივით სუფთა ნისლებით
უკულმაც ბევრჯერ მატარა და მატარა — წალმით...
ხმა ჩამესმოდა: — ჭუჭყისგანაც თუ დაისვრები,
გადაირჩინე გული, როგორც ქათქათა სახლი...
თანდათან ხახვის კვლიც ვავლე, ყანაც ვარჩიე,
დედის ხელებით ქვაც ვამტვრიე შაქარყინულად...
და ეს ჭიდილიც, უსასრულო, აღარ მაშინებს, —
მონმენდილ ცაზე — გზაც რომ მალე
კვლავ გატყვიურდა...
რას გადიდგულდა ნეტავ ასე ღამის სახება,
საცრისოდენა თვალები რომ მიუგავს შეშლილს, —
მე ხომ შევძელი დაკეტილი კარის გაღება,
ხან რომ მძიმდება და ზურგს უკან
ვიხურავ ხენვით...
იქ, უღრან ტყეში, რახანია, ცხოვრობს ალქაჯი,
ხისტი ხელებით ისევ რომ თლის
ბედის ცივ მშვილდებს...
ჩემი სახლიდან მთვარე მოჩანს,
როგორც ზამთარში
შალის ძაფისგან მოქსოვილი
დედის სიმშვიდე...

ძველ მაგიდაზე ვაშლები დევს
ვარდისლოყება...
მაგრამ მე მაინც
იმ ვაშლების
დარდი მომყვება,
ბებიაჩემი
დასაჩირად
რომ
იმეტებდა...

როგორ განვიცდი,
როცა ათვლის წერტილებს ვკარგავთ, —
საწყის წერტილებს, როგორც პირველ გამოქვაბულებს,
სადაც ვცხოვრობდით ერთმანეთთან ძალიან ახლოს...
და რომ გვეგონა — ჩვენში მეფობს მხოლოდ სიკეთე,
ჩვენივე ნებით გადავსახლდით სულ სხვა პოლუსზე,
სადაც უსისხლო ბოროტებას ედგა კარავი...
და როგორც დედა, მენჯებიდან ამოვარდნილი,
რომ მივატოვეთ ყველა გრძნობა
პირველყოფილი, —
ხარებს ცოცხლადვე ავათალებ საშოლტე ტყავი,
ჩვენს ბალ-ვენახში უკითხავად რომ გადმოვიდნენ...
მომცრო კუნძულსაც შევესიეთ კაჟის თოფებით
და ერთიანად ამოვწყვიტეთ თეთრი კურდღლები
(სისხლით გაჟღენთილ ღრუბლის ქულებს
რომ დავამსგავსეთ),
როცა გავიგეთ იმ მეთევზის გარდაცვალება,
ვინც ეს კურდღლები მოაჯიმა მდინარის გაღმა...
როგორ განვიცდი,
როცა ათვლის წერტილებს ვკარგავთ, —
და როგორ მინდა, მეც ეს სიბნელე რომ გადავტეხო,
ცაცია ხელის ორ თითს შუა მომწყვედი
კურდღლის ძვალივით,
რომ მერე იქნებ კუზიანი ღამეც გვეგონოს, —
მენჯებიდან ამოვარდნილ დედასავით ძალიან კარგი,



თამარ
არდიშვილი

ჩემი ზღაპარი

ლამე ჩამჯდარა თვალის ბუდეში
პატარა ჩიტივით,
თითქოს რომ სძინავს
და სიზმარშიც
ფაფუკ ფრთას არხევს...
განსაცდელი გადაიქნევს
თავის მოსასხამს,
თავზე გადამატარებს
და ნერვიული ნაბიჯებით
დაადგება სველ, მანათობელ გზას,
შორს ჩემგან,
ცხელი ტალღა თავს გადამეველება...
ქვიშიან ნაპირთან კი მოხუცი ზის
იმ ჯოხით, ხეს რომ შეამტვრია,
იქნებ მოხუცი ღმერთია და
ჯოხი კი ზზის ტოტი,
ჩემს სულში რომ უნდა აყვავდეს...
თვალბუდეები,
ლამურებით სავსე თვალბუდეები
ციტ გაივსება,
დაუშრეტელი ცის ფერით...

ნანყვეტ-ნანყვეტი
ამოვიდა გრძნობა,
სადღაც რომ აპირებდა დალექვას
და ძალის-ძალ,
სიტყვად ამოვრწყი...
რადგან დუმილად გადაქცეულ
სიცოცხლეს ჩემსას
მინდა, მუნჯური შევასწავლო,
რომ ხელებით მაინც ამოთქვას
მომაკვდინებელ ცოდვათა დარი —
ტკივილის რეტი,
მზის სინათლესაც რომ აბრუებს
და უცნაურ ბუნდოვანებას
სძენს ფიქრს და გრძნობას
და ყოველი დღე
შეუმჩნეველი წვეთით გწყდება,
ვით ოფლის წვეთი,
რომ არა აქვს წონა და ფასი...

ლამეა მღვრიე, ყიამყრალი,
როცა შენ გძინავს — მეშინია
მიფათუროს სულში ხელეები
დაფარული მინური ხავსით...
და ეს სიშიშველე
მხოლოდ ფუჭი სამკაულია,
შიშმა ნაჭუჭი შემომავლო
მთრთოლვარე გარსის,
დრო მიქრის, როგორც მატარებელი,

დრო ყვირის, მძიმე ჯახა-ჯუხით
რკინის ვაგონთა...
და მაინც ვფიქრობ,
ხომ დავნდები, როცა იქნება,
დაინმინდება წვიმებისგან ნამღვრევი წყალი
და გაიგონებ კეთილხმოვნებას ჩემი სიცილის,
როგორც ზღაპარში
ჯადოსნური ჩანქერის ხმაურს...

და აჰა,
საკუთარ თავსაც შევეგეუე,
მთავარია, რომ
გამჭვირვალე არა ვარ!
ნაკუნ-ნაკუნ ავიკრიფე
და აღარ მინდა ტკივილი,
მინდა, ჩავეყურო
ამ გაბეზრებულ და
ძველ მურაბასავით
ჩამაქრებულ არსებობას...
სადღაც მზის სხივს
შეთამაშა პატარა ჩიტი,
ნებივრობს,
დახტის ტოტიდან ტოტზე,
ცა მსუყედ ცისფერია,
უფრო ლურჯი,
სველი ყვავილები
და მე ვიგულისხმები...

ჩემგან ნუ ნახვალ,
ჩრდილივით მარად თან გიგულე,
მარტოობისას ბუტბუტითაც გესაუბრები,
სიზმრებიდან ამოყოლებულ სრიალად დღეებს
ერთად ვეცადოთ, რომ ჩავჭიდოთ როგორმე ხელი...
ჩემგან ნუ ნახვალ,
დამნაშავე ვარ,
შენთან და სხვასთან და ყველასთან,
ასე მგონია,
დანაშაულის უჩინარი ხელადა დამაქვს
და ლოთივით მარად ვიყუდებ...

გზა შენამდე, როგორც ცისარტყელა,
გასინათლდა, გალიცილიცდა ისე...
ცხენზე გეჯექ, შევეყურებდი ნდომით
შენს დაჟანგულ კისერს,
მიხაროდა შენი მოძრაობა მგლური
და თვალბუდეში თბილად ჩანაცრული ბინდი...
როგორც ჩემს ალვაზე შემომჯდარი ორბი,
ისე გასცქეროდი მზიან ჰორიზონტებს...
ჩემი ოცნებები დამანიე, ღმერთო,
და სიცოცხლე, როგორც პირმჭვირვალე სარკე,
დამიყენე თვალწინ და ჩამაქვრე მერე...

ერთფეროვნების
შემარყვეველ აკომპანიმენტს
ველარ წვედება ჩემი გონება,
უფრო სწორად გული,
რომელიც ისე დაიმსხვრა,
რომ ხმა გამოსცა...
ყოფაში უნდა დავიმალე,
უნდა ჩავყვინთო
და ეს ხმა მარად ჩემთან დარჩება...

ჩემი ღვთისმშობელი

მე ჩემი ღვთისმშობელი მყავს,
ჩემებური;
თვალბუდეში თბილ ხელისგულს
დამაფარებს ხოლმე,
როცა მე გულის ფორიაქი არ მაძინებს...
ქრისტესთან მაინც უბრადა ვარ,
უფალო, ვამბობ და
კენჭივით
ძირს ეცემა ჩემი სიტყვა...
უფრო სწორად,
ჩამოხურული ხაფანგიდან
ვცდილობ ვინოდ შემოჭრილ
სინათლის ზოლთან ზიარებას —
ეს ჩემი ღვთისმშობელია,
რალაცნაირი, გაბუნდოვანებული
სინათლის ძახილის ნიშანი!

*
ჩემი ღვთისმშობელი მელოდება —
თბილი, უფსკერო თვალბუდე მოუპყრია
და მე ვინერ პირჯვარს
და ვცდილობ მასთან კავშირს
იდუმალი, დამწყდარი ძაფებით,
გულის ნიავე რომ ამიშლის ხოლმე
და წამით აინთება რალაც
(მოკლე ჩართვასავით)
და იმ წამიდან დავინახავ
და დამინახავს
ჩემი ღვთისმშობელი!

ვზივარ აივნის ზღურბლზე
და სიგარეტის ალისფერი წერტილი
წერვიულად დახტის ჩემს ხელში;
თითქოს მინდა, დავუსვა
ადევნებულ ტკივილის აჩრდილს
და ვერაფრით მოვახერხე...
ეს ცხელი, ალისფერი წერტილი,
ერთხელ და სამუდამოდ!

ქალის სული ხომ როგორც ჭაა —
იდუმალი სიცივის ორთქლი
ჩაბუდებულ სიზმართა ექოდ
ამოქროლდება
და სხეული ცხელი მდელია,
სადღაც ბალახი იკბინება ავად
და ცოტა ხნით მაინც
უნდა გაყუჩდე,
ყური მიუგდო სიჩუმის
და სიცივის მოტივებს...

მარია

ჯერ ნოტიოა მინა
და დიდი ტერფების ღრმა ნაკვალევი
კიბესთან წყდება...
ვითომ ჩიტბივით მოჟღურტულე მეზობლები
იმასაც იტყვიან, რომ საცოდავს
ცალი ძუძუს ალაგი ჩაღრუებული აქვს,
როგორც დაცარიელებული ბუდე,
ისეთი დასანახია,
ზოგჯერ შიგ ნიავე თუ მოიკალათებს,
ეგ არის და ეგ...
ის კი, მეორე, თითქოს
ამოსახტომად გამზადებულ ძუძუზე
ხელს დაიდებს
და დაიხრება ძირს
ჩამოტეხილი ყვავილის ასაღებად —
ნარინჯისფრად მოკაშკაშე გვირგვინს
სახლში შეიტანს და წყლიან ჭიქაში ჩადებს...
ყოველთვის მასეველიანებს
მისი დიდი ნაკვალევი მისსავე ეზოში...

გაუთელავი იყო სიცოცხლე,
ჩემი სიცოცხლე — ჟღალი ბილიკი,
იკარგებოდა თვალსაწიერში,
გადადიოდა მათა წვეროებს,
უერთდებოდა ცას ან კვლავ მინას —

და არ ვიცოდი,
ბინადარი ვიყავ რომლისა...

ჩემს ორმოში ძალიან თბილა,
დგას ობისა და პურის სურნელი,
ორმო კი არა, თითქოს პურის კიდობანია...
მალლა ქარი სტვენს
გადამფრენი ჩიტივით თავზე:
„მოდი, აქ მოდი,
თორემ შენ მიღმა ისევ განვიმდა,
წვიმა ნაცრისფრად ჩამოიცვრა,
შენ მიღმა მზეა,
მიღმა, სულ მიღმა...“.

თითქოს ჩაირღვა სულის ნაპირი
და უცაბედად,
როცა იქ
ლურჯად მოკიაფე თვალი ჩავანთე,
გაუსაძლისი აირეკლა გუგამ ბნელეთი!..
და ვერაფერმა ამომივსო სულის ნარღვევი,
ჭრილობასავით პირდაბჩენილს თან დავატარებ,
მინდა, ხელები გავშალო და ცა ავაცეკვო,
არ შემიღია, რადგან თვალი იქით გამიბრის,
სადაც სიბნელეს შევარჩევ იგი და ვარჩევ,
თითქოს მიჩქმალულ და მკაფიოდ უცხო კონტურებს.

ლამეც დედაა
ნოტიო მკერდთან
უნევეს თავის მარადი ჩვილი
და უცნაურად ხმოვანებს იგი —
ხან ფოთლის შრიალს მომაგონებს,
ხან თითქოს სადღაც ჩამოტყდება
ტკაცვანი ტოტი,
ან ძალღი დაჰყვებს,
ხან ვილაც ტირის,
სადაც, წყვილიადს დერეფნებში,
ნიავის ხემი შეეხება
შიშის ცივ სიმებს...
გაიყინება ძარღვებში სისხლი,
ნითელი, ბასრი სტალაქტიდებით
გადივსება ჩემი წიაღი...

დილა თენდება
და სასწორი მძიმედ ჭრიალებს,
ლითონის თევზზე ვსხედვართ ყველანი,
ჩემი შვილები თავ-თავიანთ გზებს ადგებიან,
ცივია თევზის ზედაპირი,
ერთმანეთს ვათბობთ,
ხან ხელსაც ვკრავთ და მეშინია,
არ გადავჩეხო რომელიმე,
სულ მეშინია, რადგანაც ბუდე,
რომელსაც ჰქონდა ჩემი კედლები,
დულაბად სისხლი და ფიჩხად კიდე
ჩემივე ძვლები —
თევზით შევცვალეთ,
რომელიც მხოლოდ რკინისაა
და ჯებირებიც აღარა აქვს
ჩემი სხეულის...

წყვილია თითქოს
თავ-პირზე მანვეს
და სულს მიხუთავს
და უხილავი, მესამე ხელი
ისევ ზეცამდე მიგრძელდება
და ვარსკვლავებით,
ისე, როგორც ბრაილის შრიფტით,
ხელისცეცებით მივიწყებულ
სიტყვებს დავეძებ...

ამ გაზაფხულებს არ ჰქონდათ ენა —
გამხმარ ფოთლებად ეკიდათ იგი
აყვავებულ ბაგის კუთხესთან,
ამ გაზაფხულებს —
ურუმრად ჩავლით,
შორ ჩიტებად აფარფატებულთ
ჭრელ ჰორიზონტთან...
რაღაც უცნაურ და მდუმარე
ქარავანს ჰგავდნენ,
თვალის მიმტაც და უსიტყვო
დეკორაციას...
და ერთ დღეს ჩემი გაზაფხული
ალაპარაკდა,
როგორც პატარამ,
ამოიდგა უეცრად ენა!



დალილა
ბედიანიძე

ღვთისმშობელს

აჰა, გადავინერე პირჯვარი
და შენდამი ლოცვა აღვავლინე.
მიცანი, მარიამ? ტანჯვისგან ისე შევიცვალე,
ძნელი საცნობი ვარ.

მე მარიამის შვილი ვარ,
დედაჩემსაც მარიამი ერქვა.
აღარ არის დედაჩემი
და როცა ტკივილისგან „ვაი დედა“ აღმომხდებდა,
შენს წმინდა ხატს და
დედის გადიდებულ სურათს მივაპყრობ თვალს,
როგორც ტიხარს საიქიოსა და სააქაოს შორის
და შევებას ვგრძნობ.
დედაჩემი წელს, თოხმეტ აპრილს, გარდაიცვალა
განთიადზე, ასე აღნიშნა ჩემი დაბადების დღე,
ასე მომილოცა, მწარედ დამამახსოვრა.
დავინახე მისი ბოლო მზერა:
შენს ხატს ისე უყურებდა, თითქოს სარკეში იყურებო.
„ღირს არს ჭეშმარიტად,
რათა გიგალობდეთ შენ, ღვთისმშობელო,
რომელი მარადის სანატრელ იქმენ!“ —
ასე გიგალობ და, ღვთისმშობელო, ხომ იცანი ჩემი ხმა?
შენ რომ გიყურებ, დედაჩემი მიცოცხლდება.
აჰა, სანთელი დავინთე,
რომ სანთლის შუქზე უკეთესად დამინახო
და შენი მაღლი გადმომაფინო,
როგორც დიდმა დედამ ყველა შეჭირვებულისა.
მეუბნებიან, დედას ჰგავხარო, და მიხარია.
დედაჩემი კი ისეთი ლამაზი იყო,
სულ შენ გგავდა, მარიამ!
სახელიც ხომ შენი ერქვა!
შენ და დედაჩემის სული მიფარავთ
და ცხოვრებისა აღარ მეშინია.
როცა დედაჩემი გარდაიცვალა,
ველური სიკვდილი ისე ახლოს ვნახე, რომ
მოვიშინაურე
და იმ წამში ყველაფერმა ფასი დაკარგა
გამარჯვებული სიკვდილის ფონზე.
მიცანი, მარიამ?
დედა მომიკვდა და შენ შეგეხიზნე
დედინაცვალის ცხოვრებისგან დაჩაგრული.
გამინიე დელობა, შეგთხოვ!
ვერ დავიჭირე ოქროს თევზი,
ვერ მოვიპოვე ნატვრისთვალის,
რომ დედას გაცოცხლება ვინატრო,
ისე მთავრდება სიციცხლის ზღაპარი.
აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის გავიცინე,
როდის ვაჯობე დარდს.
აღარც ის მახსოვს, ბოლოს როდის ვიტყრე —
სად დავტოვე გაქვავებული ცრემლების კენჭები,
რომლებითაც ალბათ სხვები ერთობიან.
მშვიდი ვარ, რადგან „ამაოება ამაოებათა
და ყოველივე ამაოა!“

დაისის ჟამს ვუცქერი მკვდრისმზეს —
შენც ხომ ცაში ხარ და დედაჩემიც,
იქიდან მხედავთ, იქიდან მეხმარებით.
ცას ორი თვალი აქვს: მზე და მთვარე.
და დღისით მზე აქვს გახელილი,
ღამით კი — მთვარე, როგორც შენ
და მჯერა, მჯერა, რომ ორივე თვალით მხედავ
და ჩემზე გული შეგტკივა.
ნახე, რა პატარა ვარ ამ უზარმაზარ სამყაროში,
ალბათ წერტილზე უფრო პატარა,
შენ მაინც მამჩნევ, მაინც მწყალობ
და დედაჩემის საფლავის ლოდი
ბოლო წერტილია ჩემი უდარდელი ცხოვრებისა.
ძნელია უდელობა,
მაგრამ შენ ცდილობ, უდელობა არ მაგრძნობინო.
სასთუმალთან მიდევს შენი ხატი
და შენ ჩემს ლამაზ და ფერად სიზმრებს
მიერეკები ასახდენად,
ამღვრულ სიზმრებს კი დაიფრენ ხოლმე.
დედის სიკვდილი ყველაზე ცუდი სიზმარია.
მინდა, გავიღვიძო, მაგრამ არ მეღვიძება,
თან არ მჯერა, რომ დედა მოკვდა, მართლა მოკვდა.
ასე მგონია, სხვაგანაა წასული
და ერთხელაც შინ დაბრუნდება.
სანამ ის დაბრუნდება, ან მე წავალ მის სანახავად,
რადგან ძალიან მენატრება,
შენ შეგეფარები, წმინდაო მარიამ! შენთან მოვალ!
შენიანი ვარ, მიცანი? ხომ მიცანი!
დედაჩემმა შენს იმედად დამტოვა ქვეყნად და
დამიფარე! ამინ!

სული მიინევს მალლა და მალლა,
უფრო და უფრო მსუბუქდება
და იოლად სატარებელი ხდება
და დაჭიმული ნერვები ისე ჭრიალებენ,
როგორც საპყრობილეს კარი,
საიდანაც ეს-ესაა პატიმარი გათავისუფლდა.
აქედან ცოდვილი დედამინა წერტილივით მოჩანს
და მე უფრო კეთილი ვხდები
და მე უფრო ლამაზი ვხდები
და ბახის ფუგა რე-მინორში
ისე შევდივარ, როგორც შინ
და თვალებს ვხუჭავ, როგორც ჭიშკარს,
რომ ვერ შემოაღნიოს
ყოველდღიურმა ამაოებამ
და მეცხრე ციდან არ ჩამომადოს
და სასიკვდილოდ არ დავიმსხვრე.
მადლობა ბახს, რომელიც მარადიულია.

შუალამეა.
მძინარე ზღვაში ფრთხილად შევდივარ,
რომ არ გავაღვიძო.
ზღვა მშვიდად ფშვინავს
და რაღაცას ბოდავს ძილში.
როგორც ბავშვს,
შუბლზე ხელი გადავუსვი და მოვეფერე.
ნეტავ, ახლა რა ესიზმრება?
გავენექი ზურგზე, ცას მივარჩედი.
იქ ვარ, სადაც ზღვა ცას უერთდება
და ნელ-ნელა დამეხუჭა თვალები და
მეც ჩამეძინა.
ზღვა იყო ირგვლივ,
ზღვა იყო ჩემში,
ზღვაში ვიყავი, როგორც შინ.
ზღვის მკერდზე მედო თავი,
როგორც ბეჭედი ნიშნად დიდი
და ნამდვილი სიყვარულისა.
რომანი მაქვს ზღვასთან — ერთად გვძინავს.
შუალამეა.

ამ ცხოვრების დედა კი ვატირე!
ისედაც ერთი თვალის დახამხამება
ჩვენი სიციცხლე
და რამდენი სიკვდილი გადავიტანე,
რამდენი რამე გადამხდა...
ამ ცხოვრების დედა კი ვატირე!
კარგის მქნელის დედა რატომ არის ატირებული?
გული ცუდს რატომ მიგრძნობს ხოლმე
და რად მართლდება ავი წინათგრძნობა,
კარგი კი გვერდს ამივლის.
რა დავაშავე, რომ უნებლიე ცელქობისთვის დასჯილ
მონაფსავით სულ კუთხეში ვდგავარ
და მახრჩობელა ცრემლებს ვყლაპავ?
ამ ცხოვრების დედა კი ვატირე!
ფეხებზე უნდა დავიკიდოთ,
ვისაც რა გვაქვს ბედით მოსჯილი
და ჩვენსას ვეცადოთ —
ცდა ხომ ბედის მონახევრეა —
იქნებ ვაჯობოთ ცხოვრებას და
ერთხელ ჩვენთვისაც გამოიდაროს!

ბავშვი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს ადამიანს საუკეთესო გუნებაზე ყოფნისათვის. აი, ფანტასტიკურ ხასიათზე ვარ, მაგრამ ვერაფრით მიხვდებით, რატომ. გეტყვით — დღეს 31 მაისია, კვირა დღე. უჩვეულოდ ადრე, 8 საათზე, გამეღვიძა, არადა მალევიძარა ცხრის ნახევარზე მქონდა დაყენებული. ავეღვიძე, პირი დავიბანე, წვერიც გავიპარსე და ჩავიცვი; სუნამოც ვიპკურე. სადღეინფექციო ხსნარი, პირბადე, რეზინის ხელთათმანაც მაქვს, ტელეფონი და მანქანის გასაღებიც ჯიბეშია. ლიფტის ლილაკს საჩვენებელ თითს ვაჭერ, შევდივარ კაბინაში და ამჯერად პირველი სართულის ლილაკს ვაწვევ. გამოვყენებ ხელთათმანს საგულდაგულოდ ვეცავ და ნაგვის პარკში ვინახავ, მერე რომ გადავადგო. ვქოქავ მანქანას და ათ წუთში ეკლესიაში ვარ. ყველა იცავს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. დისტანცია და პირბადე აუცილებელია. ბევრჯერ მიმიღია ზიარება, მაგრამ დღეს სულ სხვა შეგნებით ვიღებ უფლის წმინდა ნაწილებს. ბედნიერი ვარ — ბევრად მსუბუქად და მშვიდად. მე ეს მჭირდება, უფრო ლაღად რომ ვიგრძნო თავი. მერე სახლში ვბრუნდები. მაცივარში მეგობრის მიერ ნაჩუქარი საუკეთესო ღვინო მეგულება. ვასხამ ბოკალში მადლიან სითხეს და ვერანდაზე გავდივარ. ვნრუპავ, რა თქმა უნდა. მზიანი ამინდია. ამ დროს ვერანდაზე ჩრდილია და სასიამოვნო, გრილი ნიაგი უბერავს. აქ „შეზღონ-გი“ მეგულება. ყურსამინებს ტელეფონთან ვაკავშირებ და ვწვები. საყვარელი მელოდის ხმაც მესმის. არაჩვეულებრივად სუფთა, ლურჯი ცა გადმოწყურებს. ღრუბლის ნასახი არ მოჩანს. სილურჯეში მერცხლები დაქრიან. უამრავი მერცხალი. ძალიან მალა ასულან და ვარჩევა ჭირს. ეს იმის მანიშნებელია, რომ წვიმა მოსალოდნელი არ არის. სილურჯეს მხოლოდ მთვარე არღვევს — ნახევარზე მეტი თეთრად მოჩანს, ალაგ-ალაგ მუქი ჩრდილებით. ბახუსიც თავისებურად მილიტინებს...

— როგორ ხარ? — მესინჯერში მომდის მესიჯი. მეგობარი გოგონაა, რომელიც ლამის ერთი წელია, არ მინახავს.

— ფანტასტიკურად, ცაცო, შენ როგორ ხარ?

- შეიძლება, ვაგივო, რა არის ასეთ კარგ ხასიათზე ყოფნის მიზეზი?
 - ვეზიარე და კარგად ვააარ.
 - გილოცავ.
 - მადლობა, პატარავ.
- პაუზის შემდეგ ისევ მოდის შეტყობინება:

- ორი სურათი უნდა გამოგიგზავნო, ოღონდ არ აცუნდრუკდე.
 - ვეცდები. რას მიგზავნი ასეთს, რაც არ მინახავს?
- სულ ცოტა ხანში მივიღე ორი ფოტო. წელზევით შიშველი ორ ულამაზეს ძუძუს უშვერს ობიექტივს, თან დაბერილი ტურქებით კოცნას მიგზავნის, ქერა თმები მხრებზე აქვს ჩამოყრილი.
- აბა, როგორ არ აცუნდრუკდე? — ესეც განსაცდელი, რომელიც მსუბუქად მიცაცუნებს...

ტალღა უნდა შეეცვალო. მეორე ბოკალიც გამოვცალე. ვასხამ მესამეს და ვვადებ ლეპტოპთან, რაღაც მანუხებს და უნდა მოგიყვით — ძველი ამბავია — ოცდახუთი ოდე წლის წინანდელი...

რკინიგზის სადგურზე ვართ მე და ვახო. ბათუმში მივდივართ მატარებლით. დიდი ხანია, ეს ტრანსპორტი არ გამოიყენებია. ადრე არ მიყვარდა ასე მგზავრობა. არაკომფორტული ვაგონები იყო, ზაფხულში ცხელი და გაუთბავი, ზამთარში ციოდა — თან ვინრო ლოგინები და უსუფთაობა. სკოლა რომ დავამთავრე, ერთმა ნაცნობმა მომიყვა ისტორია — „კუპეში“ ულამაზესი გოგო გაიცნო და საოცარი სექსი ჰქონდა. შემთხვევითი ნაცნობი იყო, არც სახელები, არც ტელეფონის ნომრები (რა თქმა უნდა სახლის, სად იყო მობილურები) და არც მისამართები გაგვიცვლიაო. ნამბაძველობით ერთი-ორჯერ შეგნებულად ვიმგზავრე ორკაციანი „კუპეში“. იქნებ ვინმე შემხვედროდა — ყოველი შემთხვევისთვის, ჩაცემული შამპანური და შოკოლადი მქონდა ჩანთაში. ამოად ვოცნებობდი. პირველად კოსტიუმში გამოწყობილი ასაკიანი კაცი შემხვდა, მთელი დამეხრინავდა, მე კი სტვენას ვაყოლებდი. მეორეჯერ ასაკიანი ქალბატონი დამემგზავრა. უქვეყელი ფანტაზიის ნაყოფი იყო ის სექსუალური გოგო. მე კი

დავიჯერე და დამქონდა ჩანთით ბოთლი და შოკოლადის ფილა.

დავუბრუნდეთ რეალობას. ჩქაროსნული მატარებლით უნდა ვიმგზავროთ, დღეს კონტინენტი უნდა გაიხსნას პორტში, სანატრული ავტო ჩამომივიდა. ერთი სული მაქვს შევხედო პიპიას — დიდი თანხა გადავიხადე, მაგრამ ღირდა ამად, ისეთია, როგორც მომონს, BMW-530 უძლიერესი ძრავით. ძმაცკი მომეყვება — მარტო მეზარება. უსაშველოდ მაღალია ვახო და თან მოხეული. საშიში შესახედაობისაა. ერთხელ სხვა მეგობარმა მითხრა, ეს ბიჭი შარს გამოდგისო. შესახედაობა აქვს ისეთი, რომ ადამიანები დასაკვირვებელია და ეს ეტყვის — რას მიყურებ, შენი დედაც. ეგაა და შარში ხარო. ჯერ ასეთი შემთხვევა არ გექონია. პირიქით უფროა, ყველა გვერიდება.

ვაგონი მომონს, სისუფთავეა, კომფორტული სავარძლებია და, რაც მთავარია, არ ცხელა, კონდიციონერია ჩართულია. მივ-



აგენით ჩვენს ადგილებს, მოვკალათდით. როგორც წესი, ტრანსპორტში ფეხების გამართვა მიჭირს — ვახოს უფრო მეტად (ჩემზე გრძელი ფეხები აქვს), მაგრამ აქ დიდი ადგილია. საეჭვოდ მომონს ყველაფერი. ასეთი იდეალური სიტუაცია იშვიათად არ არსებობს. იდილიაა. კმაყოფილები ვართ. მალე დაიძრა მატარებელი, სამ საათ-ნახევარში დანიშნულების ადგილას უნდა ვიყოთ. დაძვრიდან მალევე მყარალი სუნის ნაწილაკმა გააღიზიანა ჩემი ყნოსვის ორგანო. მინდა, რომ მეჩვენებოდეს. ამ იდეალური სიტუაციის გაფუჭება არ მსურს. გადავხედე ვახოს დაეჭვებულმა.

- ცუდი სუნია თუ მეჩვენება?
- არ გეჩვენება და, მგონი, გვნამლავს ეს დედამ...ლი!

სიმყარედ გაძლიერდა. ფეხზე წამოვდექი და ჯერ წინ მსხდომთ დავაკვირდი, შემდეგ იმათ გავხედე, უკან ვინც იყო მოთავსებული.

ყველა გატრუნულია. იქნებ ვინმემ ფეხსაცმელი გაიხადა? არადა, რა კარგად დაინყო მგზავრობა.

- რა სუნია? — ხმამალა ვამბობ.
- ვილაცას დიდი ხანია, არ დაუბანია! — ამწვავებს ვახო.

ვერც ხმამალა და პირდაპირმა კითხვებმა სიტუაციის გამოსწორებას ხელი ვერ შეუწყო. ვახო პირდაპირ გინებაზე გადავიდა, მაგრამ ამამად. უსაიმოვნების წყაროს ვერ მივაგენით. ვილაც ან უთავმოყვარეობა ან იმდენად შეჩვეულია საკუთარ სიმყარეს, რომ ვერ გრძნობს და საკუთარ თავზე არ იღებს დედის გინებას. ან სულაც, შეიძლება, ვახოსი შევიწინა. ფანჯრის გაღების საშუალებაც არ არის. სხვა რა გზაა, უნდა გავეცალო. გავდივარ ვაგონიდან და ტამბურში ვდგები, ვახოც მომეყვება.

ორივეს ქუსლიანი ფეხსაცმელი გვეცვა და მყარ იატაკზე გაბრაზებულნი ბრაგაბრუვით გავედით ისე, რომ ამ ხმაურისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. რამდენი ხანი უნდა იდგე ფეხზე? დაახლოებით თხუთმეტ წუთში ორივე ისევ ქუსლების ხმაურით დავბრუნდით ჩვენს ადგილებზე. ვითომ „შანელ-5“-ის სუნი დაგვხვდება. დავსხედით, უარესი მდგომარეობაა. გუდის ყველი მონაგონია. ერთი-ორი ვახტანგური

შეგინება და ისევ ფეხზე ვარ, იქნებ მოშორებით თავისუფალი ადგილი ვიპოვო. არა! ჯიბრზე ვაგონი გადაჭედულია, ცემაცეკვითაც ვერ გაცვლი ადგილს. ისევ მწყობრში ქუსლების გრუხუნით გავდივართ ვაგონიდან. ისე, ბოტასები რატომ არ ჩავიცვი? უფრო კომფორტულად ხომ ვიქნებოდი მგზავრობისას? ტამბურში დავსახლდით. ვახოს მონევა უნდა — აღმოჩნდა, რომ არ შეიძლება. გვიკვირდა, რომ სულ რაღაც ნახევარი საათის წინ ყველაფერი მოგვწონდა. გავიფიქრე განწყობა. მარტო ჩვენ არ ვწუხდებით სიმყარისგან. მათე ერთი ახალგაზრდა შემოგვიერთდა. საშუალოზე მაღალია, გამხდარი, ცოტა „ბუმბუკა“ ცხვირი აქვს და მანერებით მინიმუმ საბურთალოელია, შეიძლება — ვაკელიც. კობტად აცვია. გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. ვაგინეთ ბინძურს ვახტანგურად. საბურთალოელი აღმოჩნდა. ეტყობა, მოძველებიჭო ტიპია. ვახოსთან ბევრი თანხვედრა აქვს. ორივე ყოფილი პატიმარია.

საერთო ახლობლებიც აღმოჩნდა. მოთელვის მერე საქმიანი საუბარი წავიდა.

- სად იჯექი? — ეკითხება საბურთალოელი ძველი ბიჭი ვახოს.
- წელიწადნახევარი კრიტში ვიყავი გამოკეტილი, მერე ავჭალაში. შენ?
- მე ძირითადად რეზბალნიცაზე.
- რამე საინტერესო თუ ხდებოდა შენს დროს?
- რამდენიც გინდა, — იცინის.
- მაინც?
- მგონი, სავარძელში ჯდომას აქ დგომა გვირჩევია, ხო? სუფთა ჰაერს მაინც ჩავისუნთქავთ და პირს არ ავიმყარებთ გინებით. თქვენი ქუსლიანი ფეხსაცმლის ბრაზუნით გასვლა-შემოსვლაზე გენიალური ისტორია გამახსენდა და თუ ადგილებზე არ მიგვიქარებთ, მოგიყვებით.
- გისმენთ...

მოდი, პირველ პირში მოვყვები იმ ოცდახუთი წლის წინანდელ ამბავს, უფრო მარტივად რომ გამოვივიდეს. ვითომ ის ბიჭი ჰყვება:

ჩაკეტილ სისტემაში რეზბალნიცა არის ოაზისი ყველა გავებით. ერთადერთი ადგილია, სადაც შეიძლება, ყველა კოლონიდან და ციხიდან პატიმრები შეიკრიბონ. თავისუფლებიდანაც შეუძლიათ, შევიდნენ ამ დანესებულებაში — ანუ, ფულს და გავლენას თუ გამოიყენებ, აღმოჩნდები იქ. ქურდული შეხვედრა, იგივე „სხოდაკა“, ამ ტერიტორიაზე ყველაზე მოსახერხებელია. არ აქვს მნიშვნელობა, გასამართლებული არის თუ არა პატიმარი. ქურდული „საერთოდან“ დიდი თანხა იხარჯება იქაური, ასე ვთქვათ, რბილი რეჟიმისთვის. ხელმძღვანელობა მთლიანად კორუმპირებულია და ფულით ყველაფრის მიღება შეიძლება, მათ შორის, ბევრი სხვაგან აკრძალული „ხილისაც“. ქალები, სასმელი, სხვადასხვა ნარკოტიკი, აქ ყველაფერი ხელმისაწვდომია. ოღონდ სათანადო კომპეტენცია, ანუ რეგალია უნდა გქონდეს. ჩვეულებრივ პატიმარს, რომელსაც ფული აქვს, სასმლისა და ქალის შემოყვანის ორგანიზება ადვილად შეუძლია. ტელეფონზეც შეგიძლია, დარეკო. ოღონდ ოთახში ზის რეჟიმის უფროსი „ფარხატა“ და გისმენს, რა თემაზე ლაპარაკობ (მობილურები ჯერ არ გამოუგონიათ, ამიტომ ჩვეულებრივი დისკანია

ტელეფონით ვრეკავთ). ქურდებს და მათეურებს, რომლებსაც უფროსობასთან ჩახუტებული და თბილი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ, ნარკოტიკების პრობლემაც არ აქვთ. ანუ ვისაც როგორ შეუძლია, გულაობს. ერთი განსაკუთრებული წესი არსებობს ამ სივრცეში. აქ ჩვეულებრივ პატიმრებს, ეს აღსანიშნავია, ჩხუბი, ხელის აწვევა ეკრძალებათ, რათა სიტუაცია ყოველთვის კონტროლს ექვემდებარებოდეს. ადმინისტრაციის უპირობო მოთხოვნაა. დამრღვევებს თვითონ „მაყურებლები“ სჯიან სხვადასხვანაირად. ციხის საავადმყოფოში ძირითადად ფულთან ან პატიმრის პატიმრები იხდიან სასჯელს. „საერთო“ ანუ „ობშიაკი“ ქურდული ყულაბა რომ სავსე იყოს, პატიმრებმა უნდა ითამაშონ ერთმანეთში — მისაღება ნებისმიერი მეთოდი: ბანქო, ნარდი, კამათელი, თუნდაც სიგრძეში ხტომა. თამაშის შედეგად თანხის ოცი პროცენტი იწვეება და შემდეგ მიდის „საერთოში“. ნაგებულმა რომც ვერ ჩააბაროს ფული (რისთვისაც იგი კაი ბიჭობასთან ერთად ძალიან ბევრ რამეს კარგავს და შეიძლება, „ქათმებთან“ ანუ ჩაშვებულებთანაც კი აღმოჩნდეს), საერთოსთვის განკუთვნილი თანხა თუნდაც მოგებულმა უნდა გადაიხადოს. ეს დაუნერული კანონია. სახელმწიფოს აქვს დამატებითი ღირებულების გადასახადი (დ.ღ.გ), რომელიც სასაქონლო ოპერაციების დროს უნდა იყოს გადახდილი აუცილებლად, ეს კანონია. ქურდულშიც იგივე, ოღონდ უფრო მკაცრი და დასჯადი კანონი ავალდებულებს ყველას, გადასახადი უპირობოდ მივიდეს დანიშნულების ადგილას. ამისთვის სისტემაში მიმდინარეობს პატიმრების იძულება, რათა ითამაშონ და ქურდული ჯიბე შეავსონ. გენერლები კი ამ თანხით რეჟიმის სირობილეს და სხვა მრავალ საიამეს იღებენ. თითქმის ყოველდღე მაყურებლები დადიან კორპუსში და ეძახიან კაი ბიჭებს სათამაშოდ. ოთახში ვერ დაიმალები. თუ თავს ამ სამყაროს წევრად თვლი, ვალდებული ხარ, ვინმეს გამოუცხადო თამაში, რომ ეცალო, მოუგო. თუმცა ისეთებიც არიან, რომლებთანაც თამაშის სურვილი თითქმის არავის აქვს, ეშინიათ და ერიდებიან. ზოგიერთი ისეთი განაფულია თამაშში, რომ სჯობს, მათთან საქმე არ დაიჭირო. ჭკვიანმა იცის, მოგებით ვერ მოიგებს, ამიტომ თამაშობს შედარებით პატარა თანხაზე, ნააგებს და ამით საწვერო შეაქვს ყულაბაში. ზოგი ნაგებას ვერ ეგუება, ჰგონია, რომ ფულს დაიბრუნებს და კიდევ უფრო ბევრს აგებს. სამწუხაროდ, ტრაგედიები ხშირია, ბევრმა გააყიდვინა ოჯახს ქონება, იმისთვის რომ ნაგებული ჩაებარებინა დროზე და ღირსება შეენარჩუნებინა. არადა, როგორია, უტვიზობის და უწესიყოფობის გამო ბინა გააყიდვინო შენიანებს, ვილაცას მიუთვალო სიმწრით ნამოწონი ფული, იმან ყულაბა გაამდიდროს და გაანიაგოს ათასები შენს თვალწინ და იმისთვის, რომ მაგარი ბიჭი გერქვას. არ მესმის ასეთების. მეგობრის შექენა ყველგან შეიძლება, მათ შორის აქაც, მაგრამ ძალიან დაკვირვებული უნდა იყო. ბოლომდე არავის ნდობა შეიძლება, რადგან ყველა საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს. ჩემი უბნელები მოვქებნი, ისეთები, რომლებთანაც საერთო ძმაცვები და ღირებულებები აღმოჩნდა. ძირითადად ერთად ვმძორაობთ და თამაშის საწინააღმდეგოდ ეშმაკობა მოვიფიქრეთ. გამოვუცხადეთ ერთმანეთს თამაში, ოფიციალურად. საერთოს ანუ ტყავის მფლობელი აქ სუპერმენია. ის ყველასგან ხელმეუხეხელია, რამე რომ დაემუქროს, ყველა კაი ბიჭი ვალდებულია, თუნდაც სიცოცხლის ფასად, დაიცვას. ქურდები აქ იმპერატორები არიან, ყულაბის მფლობელი კი — პრინცი. რაც უნდა მოხდეს, მათი შეურაცხყოფა, მითუმეტეს ხელის აწვევა (თვითონ ქურდების გარდა) ლამის სიკვდილით ისჯება. მივიდით საერთოს მფლობელთან, ჩავანერინეთ, რომ ვთამაშობთ ერთმანეთთან ნარდს — ნაგებულის ჩაბარების თარიღი ერთი თვის თავზე. დავსხედით პირისპირ და დავინყეთ პატარა თანხაზე (სიტყვაზე, ერთი პარტია ხუთი ლარი) თამაში. ორი რომ თამაშობს, მინიმუმ ერთმა უნდა უყუროს მიმდინარეობას, საკამათო სიტუაციის შემთხვევაში დამკვირვებელი მიუკერძოებლად წყვეტს, ვინ არის მართალი. ორი საათის შემდეგ ვიგებ სიტყვაზე ას ლარს, დავილალეთ და შევწყვიტეთ. დავაფიქსირეთ ნაგება, მაგრამ შევთანხმდით გაგრძელებაზე. ანუ პროცესი დავინყეთ. ყოველდღე ვთა-

მაშობთ, მეორე დღეს „ნავაგე“ ასორმოცდაათი ლარი, ანუ ორმოცდაათი ლარით ნავაგეში ვარ. რამდენიმე დღე ვთამაშობთ, ყველას დასანახად ერთმანეთის მტრები ვართ. ვისაც შენთვის ფულის მოგება უნდა, შენი მტერია, ოღონდ ამას ხმამაღლა ვერ იტყვი, რადგან ამაზე დგას სისტემა, ანუ ზოგიერთი პატიმრის უბედურებას შეუძლია, უფრო პრივილეგირებულთა კომფორტი უზრუნველყოს. ვთამაშობთ, პროცესი მიმდინარეობს, ესე იგი, „ქურდულად“ ვცხოვრობთ. კვირობით გრძელდება თვალთმაქცობა. ნავაგე-მოგებას ვაკონტროლებთ და საბოლოოდ დაგზავდით, ანუ არავინ დარჩა ნავაგეში. ამით ტვინის მზურღლები მოვიშორეთ ცოტა ხნით. მერე თავისუფლებიდან ცოტა ფული შემოვავაზებინეთ და საჩუქრებით მოვქრთამეთ, ვინც საჭიროა, ორი თვე ასე გადავავაგორეთ, პრობლემების გარეშე. კუთხურობა ჩაკეტილ სივრცეში განსაკუთრებით ყვავის. ამის მიხედვით პატიმრები სამოებად არიან დაყოფილი. თბილისელები, ქუთაისელები, მეგრელები, სვანები და ასე შემდეგ. მეტ-ნაკლებად იტანენ ერთმანეთს. აღნიშვნის ღირსია ქუთაისელებისა და თბილისელების ურთიერთობა. პირდაპირ მტრობას ვერ დავარქმევ, მაგრამ არც ბევრი აკლია. თუ ქურდი თბილისელია, ჩვენ ფავორში ვართ, ხოლო თუ ქუთაისელია, მისი კუთხის ხალხი დადის „თავანუელი“. თუ ორივე ადგილზე, ვინც უფრო ძლიერი პიროვნებაა და შესაბამისად წონა აქვს, იმას მიჰყავს აღლუმი.

ქუთაისელების გრიალი მიდის. იმპერატორი ვასილიჩა, ყველაფერთან ერთად სერიოზული ავტორიტეტია ყველასთვის. ნამალზე ზის და ტროსტით შენელებულ კადრში მოძრაობს. პროფესორის შესახედაობას სათვალე უმყარებს. ჩვენი მოძრაობის მანერაც კი აღიზიანებს. სულ კაიფშია, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა, შენიშვნებით გვაკომპლექსებს. რა თემაზე გაჭედავს, პროგნოზი არ არსებობს.

დღეს მე და თემო ოჯახის წევრებს ველოდებით პაემანზე. შესაბამისად, თავს ვინერვივებთ. საუკეთესო რაც გვაქვს, იმას ვიცვამთ. ფესხაცემელი ყველასთვის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. ცოტა ხნის წინ ჩემებმა „ინსპექტორები“ შემომიგზავნეს, სულ რამდენჯერმე მეცვა თავისუფლებაზე. მაგრამ მომწონს. ყოველთვის მოსვენებას ვკარგავ, მშობლებს რომ ველოდები. ყოველ მეორე პარასკევს მოდიან სანახავად და, რა თქმა უნდა, რამეს ახალს ველოდები. გავემზადე, შევუარე თემოს, ისიც ჩაცმული დამხვდა. ახალი კაზაჩოკები აცვია. ნავედით სასაიეროდ ეზოში. გზად იმპერატორის ოთახს უნდა ჩავუაროთ. ორივეს ქუსლებიანი გვაცვია და ერთნაირი „თბილისური“ მანერი თხაურთანად ვმოძრაობთ დერეფანში. კარს გავცდით თუ არა, გამოდის იმპერატორი ტროსტით ხელში, ცხვირზე დოქტორის სათვალე.

- რაია, სიმონ, რა დღეში ხართ აქანა?
- მოხდა რამე, ვასილიჩ?
- მოხდა, აბა, არ მოხდა? რანაირად დეიარებით? აქანა ავადმყოფები წვანან, ბიძია, და პატივცემული ხალხი ისვენებს. სიარულიც მე უნდა გასწავლოთ აქოურებს? პანა ქურდულად ვერ გეიარო?

— კაზაჩოკებით და ინსპექტორებით ქურდულად ვერ დავდივართ და რა ვქნათ? — ეკითხება თემო.

— მერე რას დადიხართ, მაი რაცხა ჯანდაბათი, რას ეძახი მაგას?

- კაზაჩოკები.
- მერე სირცხვილია მაი, გეიხადეთ აგი ინსპექტორები, მილიციელები ხომ არ ხართ? თავმოყვარეობა არ გაქვთ თქვენ აქოურებს, ფუი... ჩეიცვით, სიმონ, ბოტასები და გეიართ ქურდულად.

რა უნდა გვეთქვა. გავეცალეთ შეძლებისდაგვარად უხმაუროდ. თავი ძლივს შევიკავეთ ორივემ, რომ არ გაგვცინებოდა. ანი მოვერიდებით მის სიახლოვეს ბრაგუნით ჯლიგინს. შეხვედრამ მშობლებთან, როგორც ყოველთვის, თბილად ჩაიარა, ბევრი დაპირება მოისმინეს ორი კვირის განმავლობაში, შედეგი ვერ არ ჩანს. ნასვლისას მამაჩემმა ფული ჩამიკუჭა ჯიბეში, გამოგადგებო. ჩახუტება და ისევ დავრჩი „ჯუნგლებში“, ქუთაისელი იმპერატორის ხელში. არ ავსულვარ ოთახში, ეზოში დავსაიერნობ. ამ დროს შემოსასვლელი რკინის კარი გაიღო და უმაღლეს დონეზე მოდურად ჩაცმული თბილისელი ქურდი კოია შემოვიდა. რა ეცვა ფეხზე გამოიცანით — კაზაჩოკები. სალამოს შემომხმების მერე საცხოვრებელ კორპუსს გარედან კეტავენ და ეზოში არავის უშვებენ იმპერატორების გარდა — მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჰაერზე გასვლა. სალამოს ოთახში შემოდის თემო, თან „ულვაშებში ეცინება“.

- იცი, ახლა საიდან მოვდივარ?
- საიდან უნდა ვიცოდე?!
- იმპერატორმა დამიბარა და რაღაც მთხოვა... რაო?

— კაზაჩოკები მაჩუქეო. თან გაიზომა და მოერგო. ვაჩუქე, მაგის დედაც (ეს უკვე ჩუმად თქვა).

ცოტა გვიან საავადმყოფოს ეზოში თემოს ფეხსაცმლის ბრაგუნის ისმოდა, შიგადაშიგ ქურდული გინებაც:

- რაფერ დადიან აი დედ...ლები ამფერ ქუსლებზე?.. ამ ბიჭის მონაყოლზე კარგად ვიცინეთ. ამასობაში დანიშნულების ადგილსაც მივუახლოვდით, შევედით ვაკონში, უარესი სუნი ტრიალებს. ვახო სიტყვით გამოდის:

— გსიამოვნებთ ხომ, სასიამოვნოდ მგზავრობთ, თქვე ჩაჩნებო? მთელი ცხოვრება ამ სუნში რომ გაცხოვროთ ვინმემ, ხმასაც არ ამოიღებთ... ამის მერე რამდენჯერაც ქუსლიანს ჩავიცვამ, სულ მახსენდება ოცდახუთი წლის წინათ საავადმყოფოს ეზოში თემოს ნაქონი ფეხსაცმლით მოსიარულე ვასილიჩას ბურ-დღუნი...



დალილა ბედიანიძე

დავდექ. დავდუღდი. დამიღდა აკმე. და მომეძალა ათასი საქმე.

მელის გახსნილი ცა და ზესკნელი, იქამდე მისვლა ძნელია, ძნელი.

კართან დავტოვე წლები განვლილი, ვით ტვირთი, მე ამ ჯადოსნურ დილით.

წინ მელოდება განსანმენდელი მუსიკის ფონზე — აჰა, ჰენდელი...

და სიტყვებს ვარჩევ, როგორც რომ ხორბალს და თვალთ ვზომავ მზის ოქროს ბორბალს.

ვით ხეზე ლეღვი, ხელზე მწიფს ლექსი. მე ლექსებს ვკერავ კალმით, ვით ნემსით.

ერთი ამდენიც მაცოცხლე, ღმერთო, რომ საყვარელი საქმე ვაკეთო.

დავდექ. დავდუღდი. ნაპერკლებს ვისვრი. ცეცხლის ხმა, როგორც ლექსები, ისმის.

მე ახლა შორს ვარ დედამინიდან და დედამინის ენაზე ვთარგმნი ქარის ქვითინს და მზის საგალობელს, ვარსკვლავების და მთვარის სიმღერებს და ღრუბლების ჯახანს და ჭექას და წვიმის ჩქეფას და თოვლის ჩურჩულს.

მე ახლა შორს ვარ დედამინიდან და ცის ენაზე ვთარგმნი ბალახის, ხეების შრიალს, ზღვათა ბორგვასა და მდინარეთა რაკრაკს და ქუხილს, ჩიტების ჟიჟივს, თევზების ბუტბუტს, ირმების ბლავილს, მგლების ყმუილს...

სიტყვას სიტყვაში ვაჯენ და ვცდილობ, ვიყო მარჯვე თარგმანი. ყველაფერს ვთარგმნი ლექსების გარდა — კარგი ლექსები არასოდეს არ ითარგმნება.

იუღამ უკვე მაკოცა, ახლა სატანა მკოცნის. და ეწირება გამოცდას ჩემი სისხლი და ხორცი.

სული — ცას, ძვლები — შავ მინას, ო, მე ფერს ვიცვლი მალე. მზე უკულმა დგა, დაირწა. წყლის ნაცვლად ძმარსაც დავლევე.

სიცოცხლის შემდეგ ახალი სიცოცხლე მელოდება და ჩუმი ჯვარი მაღალი თვით მეცხრე ზეცას სწვდება.

ალარ არსებობს სიკვდილი, რადგან არსებობს სული. და განსაცდელთან ჭიდილი მთავრდება ღვანლით სრულით.

იუღამ უკვე მაკოცა, სადღაც ჩხრიალებს ვერცხლი. თვით მამა-ღმერთი გაოცდა, ისე ანთია ცეცხლი.

წვიმამ დაჭორფლა მინა, ნაძვს ჩამოვარდა წინვი, მზე ღრუბლის მიღმა მინვა, ამ ცხელ წვიმაში ვინვი.

გალმა მოჩანან მთები, გამოღმა კი მე ვცხოვრობ. წვიმის სურნელით ვთვრები, გალობს წვეთების ქორო.

გულში ზაფხული მძლავრობს, შუა ზაფხული მიდგას. წვიმავ, შენ ჩემო ქმარო, ცის ნებამ შეგვარიგა!

ცას ვთხოვე შენი მოსვლა, ძალიან მომენატრე. თეთრი სამოსი მმოსავს, დარდის ბორკილებს ვამტვრევ.

იოაკიმ და ანაო, მოვიმკე ცრემლთა ყანაო და სინანულში ჩავვარდი და ბენვის ხიდზე ვქანაობ.

იოაკიმ და ანაო, უცოდველი ვარ განაო და მომიტყვეთ ცოდვები, ისმინეთ „სულთა თანაო“...

იოაკიმ და ანაო, გზამ თქვენთან მომიყვანაო, თქვენს იქით გზა აღარ მიდის, მთავრდება ეს ქვეყანაო.

იოაკიმ და ანაო, უმღერეთ „იავ-ნანაო“ — ამქვეყნად არვინ შობილა მაგ თქვენი შვილისთანაო.

ამოდ ვნატრობ წვიმას, ცაზე ღრუბელიც არ ჩანს. ივლისი გაიჭიმა. გახუნდა ხეთა ფარჩა.

ყვავილებს თავდახრილებს სიცხისგან უწუხთ გული. სიცხე ვერ მოვიცილეთ, ვართ სიცხით დაჩაგრული.

ლამის ზღვა დაშრეს სიცხით, მღვრიე ტალღებმა იკლეს და რა ვქნათ, აღარ ვიცით, ჩიტიც კი არ ჭიკჭიკებს.


მზეო, დაგვინდე, მზეო, ნუ დაგვწვავ სიყვარულით. შენ მაღლა ხარ და ზეობ, ჩვენ — დაბლა, დასიცხული.

და უფალს ვევედრებით, რომ გაგვახაროს წვიმით და ღრუბლის შავი ფრთები დაქარგოს ელვის სიმით.

თითქოს შეიფრთხილეს თეთრმა მტრედებმა და ბუმბულები დედამინას გადმოაყარეს — ასეა თოვლი, ბუმბულებივით ცვივა და ცვივა, თანაც არ ცვივა, რადგან თოვლი საბანია მინდვრებისა და ტყეებისათვის, რადგან თოვლი საბანია საფლავებისთვის, რადგან თოვლის ცხელი ჩურჩული უერთდება მიძინებულთა მშვიდად ფშვინვას. დათოვლილ ეზოებში სიმშვიდის დარაჯად დგანან თოვლის ბაბუები და მოთმინებით ელოდებიან ბავშვების გამოძინებას. თოვლი ბავშვების მოხუცი მეგობარია და ასწავლის მათ ნაირნაირ თამაშს და სიყვარულის გაკვეთილებიც ტარდება ხელში თოვლის გუნდებით. აფრენილი მტრედების ბუმბულებივით ცვივა ფიფქები — ლულუნებს თოვლი — მონატრებული სტუმარი და ყველაფერი ისე წმინდაა, როგორც სამყაროს შექმნის პირველ დღეს.

გვანცა გუბელაძე

გამოქარნილი სინამდვილა



ნანა აპულაძე

რა ბახსენდებათ, როდესაც ვინმე ჭიამაიას ახსენებს?! მე ბალის ზეიმისთვის შეკერილი ნივთი კაბა შავი ნიწკლებით და კიდევ... კიდევ თავისუფლება, სურვილების ასრულება და პოვნა ყველაზე ძვირფასი, დედის, ანუ, თუ კარგად ჩავუფიქრებთ, შეიძლება ითქვას, საკუთარი ნიწკლისა, იმის, რაც დასაწყისია, საიდანაც სამყაროს ვევილინებით. ამ დასაწყისშია მოქცეული ყველაფერი, ხელს გვკრავს და პოპულა, მინაზე ვართ შეკრ. ჩვენ უნიკალური ვართ, რადგან თქვენი ჩვენსაირი არ არსებობს, თუმცა, შეგვიძლია კი, ჩვენი უნიკალურობა, საკუთარი სურვილები, პიროვნება გამოვხატოთ? რა გვშლის ხელს? ან ვის ვეძებთ ასე თავგამოდებით, იქნებ საკუთარ თავებს, ყოველი ფეხის გადადგმისას რომ ვკარგავთ?

სწორედ ჭიამაიების არსა და ზემოთ დასმულ შეკითხვებზე დაფიქრებით მიიწვინა დავეინყო საუბარი თანამედროვე ქართველი ავტორის, ნანა აპულაძის ნიგნზე.

როდესაც „აკუმი“ მთავარი პერსონაჟი, ანო, იგივე აკუმ მინდელი იბადება, სახლის მებაღე, ზაქარია, მოლოდინულად გამოჩენილ ჭიამაიებს ნაწყვეტ ბაღში. ჭიამაიებს მთავარი პერსონაჟების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ და თუ იმ ლეგენდის რეალობას დაეუშვებო, რომ თითქოსდა ჭიამაია ხალხს ღმერთის ნებას ამცნობს, საინტერესო თავგადასავალში ამოვყოფთ თავს, სადაც ავტორის ჩანაფიქრამდე სწორედ ამ შავნიწკლებიან და ნივთიკაბიან მწერებს მივყავართ. ზოგადად, ჭიამაია სიმბოლური მწერია და სხვადასხვა ხალხის ფოლკლორში განსხვავებული აქცენტებით აიხსნება მისი სტუმრობა ვინმესთან. უმეტესწილად, ჭიამაიას გამოჩენა დადებით კონტექსტში განიხილება და ზოგჯერ ფერტილორობასთან, განახლებასთან და დაბადებასთან კავშირშიც ვლინდება. ბევრ კულტურაში და მათ შორის ქართულშიც, ჭიამაიას მოკვლა არ შეიძლება, რადგან სიკვდილი ბუმერანგის მსგავსად დაუბრუნდეს მკვლელს და დიდი უბედურების სათავეც გახდეს. ამ ყველაფრის ფონზე კი, როდესაც აკაკი პატარა ანო მინდელს მოიყვანს სახლში, მომრავლებული ჭიამაიების შემჩნევისას, მებაღე ზაქარიას მათ შენამეგლას უბრძანებს. ავინყდება, რომ ოდესღაც, ბავშვობაში, როდესაც ყველაფერი ნრფელია და ნამდვილი, აქ ჭიამაიები თავადაც ნახა. ამგვარი ფაქტით ავტორი რაღაცისთვის გვამზადებს, გვაძლევს მინიშნებებს, რომელთაც უნდა მივყვეთ (უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი სტილი მთელს ნანარმოებში ნარჩუნდება და არამხოლოდ ჭიამაიებთან დაკავშირებით ვლინდება).

ანოს ფიგურას ტექსტში ცენტრალური ადგილი უჭირავს და ნანარმოების სათაურიც ამაზე მიუთითებს. „აკუმი — ეს არს არც მამალი, არც დედალი, გინა ქალი ბუნებით ქმრისგან გა(ნ)უხრნელი“ — სქესის, ანუ ბიოლოგიური მახასიათებლების გარეშე დაბადებული ანო მინდელი ლექსიკონში ამოიკითხავს განმარტებას და მიხვდება, რომ მას აკუმი უნდა ერქვას. ეს უფრო სწორია, ეს უფრო შეშვენიის და არა

ის, რაც მისმა მშობლებმა დაიჩემეს, რომ თითქოსდა, აუცილებლად გოგო უნდა იყოს და ანოს უნდა ეძახდნენ.

მებაღე, უცნაური სახლი, სახლსა და ჭიამაიას შუა გაშენებული იდუმალი ბალი — ავტორი გასაოცარი ოსტატობით, სიმბოლურ ქარგაში აქცევს მინდელის ყოფას და ერთდროულად გვამოგზავნებს რეალურსა და არარეალურ სამყაროში. ერთი მხრივ ახლოდან გვაქვეყნებს ისტორიული პერიპეტეიბსა და თანამედროვე ყოფას და, მეორე მხრივ სრულიად მსუბუქად და, ამავდროულად, დიდი დაკვირვებით შემოაქვს მითოლოგიური და ბიბლიური სიმბოლოები. ნანარმოების ბოლოს გაიღვებს ვეფხვის (გინდაც ჯიქი ვუნოდოთ) ფიგურა, რომელსაც საკუთარი დატვირთვა აქვს — მებრძოლი მოყმის სახესთან მივყავართ, ხოლო მინდელის ბალი თავისუფლად შეგვიძლია გაავივივოთ ედემის ბალთან, საიდანაც ერთ დროს პირველი ადამიანები გამოაძევეს. რისთვის? აქაც სურვილების ხელი ურევია — მათ აკრძალული ხის ნაყოფი მიირთვეს.

„ჩემი სურვილები ღმერთის სურვილებით ადვილად არ სრულდება. ალბათ, იმიტომ, რომ ვერ გამირკვევია, რა მინდა,“ — ამბობს აკუმი. იგი თავისუფლებისთვის იბადება, ისე, როგორც ყოველი ჩვენგანი და როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, მის ცხოვრებასაც ატყვია კვალი დათრგუნული სურვილებისა. მსგავსი კვალი ემჩნევა სხვა პერსონაჟების ცხოვრებასაც. ლიტერატურა ხომ საკუთარ სარკეში ასახავს სინამდვილეს. სინამდვილეს, რომელსაც საზოგადოება ძერწავს, მერე გარკვეულ ყალიბში აქცევს და ბოჭავს. ამ საზოგადოების წევრები კი ჩვენ ვართ, ადამიანები.

1960-იანი, 90-იანი წლები და დღევანდელი ყოფა — კადრებად ენაცვლება ერთმანეთს ტექსტში. ყოფის მიღმა კი იკითხება სტერეოტიპები და დრომოჭმული ტრადიციები, გულისხმიერად რომ აქსოვს ავტორი ნანარმოებში. აქ ნარმოჩენილია სქესის, გენდერის, იდენტობის საკითხები. მკითხველი აკუმთან ერთად იზრდება და იზრებას ამ ყველაფრის მნიშვნელობას. ნანარმის ეტყობა ავტორის ყოველსიმომცველი ცოდნისა და განათლების კვალი. იგი მეცნიერული სიზუსტითა და სიფრთხილით ხსნის ყოველ მოვლენას, უდიდესი პროფესიონალიზმით განმარტავს ყოველ ტერმინს.

მწერალი თითოეულ პერსონაჟს სათქმელის გადმოცემის საკუთარ ფორმას უძებნის — განსხვავებულია მათი სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა და სტილი. ყველაფერი ეს ნანარმოებს უფრო მეტად აახლოებს რეალობასთან, იმდენად, რომ ჩვენს გონებაში პერსონაჟების განსხვავებულ ხატებს ექმნით. სტრუქტურულად ტექსტი მთავარი პერსონაჟის დაბადებით იწყება, შემდგომ დაბადებამდე, დაბადების შემდეგ და დასასრულზე გვიამბობს ავტორი, პროლოგამდე და ეპილოგამდე წასაკითხ ეპიგრაფთა ნუსხა გვიბიძგებს სრულყოფილად ჩავენდეთ მწერლის განზრახვას.

„აკუმი“ ბევრ კითხვაზე დაგაფიქრებთ, აქ შეხვდებით გაორებულ პერსონაჟებს, დალილ ადამიანებს, მათ, ვინც სულ ძიებაშია და მათ, ვინც დინებას უბრალოდ მიჰყვება.

როგორია „განსხვავებული“ ადამიანის ცხოვრება და საზოგადოების დამოკიდებულება მისადმი? იქნებ უბრალოდ ვალია, რომ ყველანი განსხვავებულები ვართ? რა ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში ჩვენს სურვილებს, ისინი მართავენ ადამიანის არსებას, თუ შეუძლიათ ადამიანებს მისი მართვა? როგორია ნამდვილი სიკეთე, ან, ნეტაც, ნამდვილი ადამიანი როგორია უნდა იყოს?

ლიტერატურა გვზრდის, უკეთესობისკენ გვაბრუნებს, თუკი ნანარმოების წაკითხვისას გაჩენილ შეკითხვებს პასუხებს მოვუძებნით. ასეა „აკუმის“ შემთხვევაშიც, ერთდროულად აფუსფუსებულ კითხვების კორიანტელს დაფიქრებული მკითხველი შესაბამის პასუხებს აუცილებლად გასცემს და მერე იქნებ ჭიამაიებიც გამოჩნდნენ — ჭიამაიები, რომლებიც საკუთარი თავისაკენ წარგვიძღვებიან.

ნანა აპულაძე

ხმათა იდუმალება



რომორი უნდა იყოს ნამდვილი საყმა-

წვილო რომანი? უპირველესად, აზრიანი, ღრმა — სინამდვილემ, თინეიჯერებს სულ არ იტაცებთ პრიმიტიული მონათხრობი თავიანთ თანატოლებზე, როგორ ლაღად და გულწრფელადაც უნდა იყოს დაწერილი. თინეიჯერობა ხომ სწორედ ის ასაკია, როცა ყველაფერ „დიდურს“ ეტანები, მათ შორის, „დიდურ“ საკითხავსაც — თინეიჯერობისას ეხები პირველად რეალისტ და მოდერნისტ კლასიკოსებს, რომელთა ნიგნებიც საყმაწვილო ლიტერატურა სულ არაა (დოსტოევსკი, ტოლსტოი, თომას მანი, პერმან ჰეი...). მეორე მხრივ, იქ ამბოხი და თავგადასავალი უნდა იყოს, პერსონაჟმა მშობლიური გარემო უკან უნდა მოიტყოს (როგორც დომენიკო — სახლი ან პოლდენ კოლფილდმა — სკოლა). ამ ყველაფერს თუ ხალისი და იუმორიც მიემატა, აი, მაშინ კი ნაღდი საყმაწვილო რომანი გამოვა, ისეთი, შვილებზე მეტად მშობლებმა რომ უნდა იკითხონ და დაუკვირდნენ.

ნინო სადლოვლავის „დაბადების დღე“ სწორედ ამგვარი ნიგნია. აქაც ყველაფერი შინიდან გაქცევით იწყება, გაქცევის მოტივი კი ცოტა უჩვეულოა — ტყუპმა ძმებმა, ალემ და სანწომ, გადანყვიტეს, მეთხუთმეტე დაბადების დღე ზღვაზე აღმინონ. გარბიან კიდევ ზღვისკენ, თანაც — ზამთარში (აბა, საზოგადოებში ხომ ზღვაზე ისედაც მიდის ყველა). ეგაა, რომ მაინც პირველი გაქცევაა და რაღაც-რაღაცები კარგად ვერ დაგვემეს: სანწომ, მაგალითად, ხუმრავლად ნაილო საგზაოდ, რაზეც ალემ ბრაზობს (ხუმრა აიზილა). ალემ, ამ გიჟური იდეის ავტორი, ბრაზობს სანწომს გონივრულ ეჭვზეც იდეის ჩაფლავებასთან დაკავშირებით: „რას ითარსები. ჩვენც ეხლა მარსზე არ მიფრინავდეთ. ამ ერთიბენო ქვეყანაში ზღვამდე ვერ მიგვიღწევია?“

მართალია. მაგრამ „ამ ერთიბენო ქვეყანაშიც“ გზა გზაა; ამ გზაზე კი ძმები ვის აღარ გადაეყრებიან, ერთმანეთზე ცოცხალ და დასამახსოვრებელ პერსონაჟებს: ტურისტების ჯგუფს, სანწომ რომ

თარჯიმნობს, რაკი ალემ ინგლისური არ იცის, მარტოსულ დარაჯს, ძია ვანოს, მეგობარი რომ „სიყვარულოვიჩს“ ეძახის, ქალ-მუსტანგსა და იმის ქმარს, ალეს რომ არც მოუხმენენ, არათუ დაეხმარებიან, მაგან მწერალს, სანწომს პირობას რომ არ შეუსრულებს და, რაც მთავარია, მოხუცთა თავშესაფარ „შემოდგომის ყვავილების“ ბინადრებს, მათ შორის კი, თავად აკაკი წერეთელს, რომელიც თავის სახელგვარზე ხალხის რეაქციას შეჩვეულია და ალესაც ამას ეუბნება: „არ ატეხო ეხლა ხარხარი, მართლა ეგრე მქვია, მთელი ცხოვრებაა ჯაჭვივით დავატრევ ამ ჩემ სახელს და გვარს.“

ასეთია „დაბადების დღის“ სიუჟეტი. ალბათ ხვდებით, რომ ეს ამბავი ასე, უბრალოდ, რომ ყოფილიყო მოთხრობილი, მაინც ჩამთრევი და საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ავტორმა ფორმაც შესაფერისი მოუძებნა: ყველა პერსონაჟი მთხრობელია. ძირითადი მთხრობელი მაინც სანწომ და ალემ არიან, თუმცა მათ მონათხრობში სხვა პერსონაჟების ხმებიც ისმის. სანწომსა და ალეს მშობლები, კლასელები და მეზობლები კი რომანში მათივე საგამოძიებო ჩვენებებით შემოდიან — აკი ტყუპები დაიკარგნენ და პოლიცია ეძებს. ხმები შემთხვევით არ მისხენება — რომანში აბსოლუტურად ყველა პერსონაჟს ინდივიდუალური სამეტყველო სტილი შეუქმნა ავტორმა (ციტატებს არ მოვიყვან, ნაიკითხეთ ნიგნი და თავად დარწმუნდებით). ცხადია, სხვადასხვა პერსპექტივიდან მოყოლილი ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვაგვარად ჩანს. ავტორმა ეს მოცემულობაც ოსტატურად გამოიყენა ტექსტში დაძაბულობის შესაქმნელად — ერთ ადგილას ძმები გაიყრებიან, მკითხველები ალეს ავედევნებით, რომელმაც ძმას უნდა უშველოს, ბოლოს კი სულ სხვანაირად შემოტრიალდება ამბავი...

კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც „დაბადების დღე“ განსაკუთრებით თინეიჯერებს მოეწონებათ, თემაა: ესაა ტექსტი იმის შესახებ, რას ნიშნავს, იყო ბავშვი ჩვენს საზოგადოებაში; რომ ბავშვი მარგინალია, რომელსაც არავინ უდგები ყურს, რადგან პიროვნებად, სრულფასოვანი ადამიანად არავის მიაჩნია. ამიტომაც, თუ თხუთმეტი წლის ბიჭი ითხოვს, ან დამეხმარეთ ძმის მოძებნაში, ან კარი გამოიღეთ, გადავალ მანქანიდანო, უფროსის პასუხი მხოლოდ ეს შეიძლება, იყოს: „ლა უნდა გაგილოთ, სე ქვეშაფსია სენ, ხო შეგნაზე ტულემა?“ და თუ ბავშვები დაიკარგნენ ან გაიქცნენ, არც ეს დაკარგვა აღიქმება სერიოზულად; საგამოძიებო პატაკსაც, საქმის აღძვრის შესახებ, შეგიძლია, ასეთი შენიშვნა მიანერო: „პ.ს. რამდენჯერ გითხარით, ყავა გამოცვალებო, რა გასმევეთ ამ ციანიდს, რა?!“ ეს რეპლიკა ნიგნის პირველსავე გვერდზეა და ჯერ მისი შეუსაბამობის გამო გელიძება, მერე კი მის სიმწარეს უფიქრდები: რა დროს ყავაა?! ბავშვები დაიკარგნენ...

და, სწორედ ამიტომ, ერთადერთი, ვისთანაც ძმები საერთო იპოვიან, მათსავით გარიყული ხალხია: მეზობელი ვ.ზ., დარაჯი (რომელიც სულ მარტოა) და მოხუცეები.



ამასობაში, შევიტყობთ, რომ თურმე ალექსანდრე დე ვინილითა დასახლებამი ცხოვრობენ, ხოლო იქ ზამთარი, გაჭირვება და დარდი გამეფებულა. ტექსტში ისიც ჩანს, საზოგადოების ელიტარულ ნაწილს საერთოდ რომ არ ესმის ამ ხალხის გასაჭირი:

მაგალითად არასამთავრობოს წარმომადგენლის ჩვენებაც იკმარებდა (სათანადო სტილით დაწერილი) და, აგრეთვე, ის მწერალი, სანჩო რომ ასხენებს — „ისეთი სიტყვებით ლაპარაკობდა, ვერაფერი ვერ გავიგე. მგონი, ვერც სხვებმა ვერ გაიგეს.“ შესაბამისად, მულტიპერსპექტიული თხრობა ტექსტში ისეც შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც საზოგადოების დანაწევრებაზე მინიშნება...

გარდა ამ ყველაფრისა, სანჩოსა და ალექს ამბავი ინიციატივის ამბავიცაა. ეს განსაკუთრებით იმ პასაჟში იგრძნობა, სანჩოს პირველ სექსუალურ გამოცდილებაზე რომ მოგვითხრობს. ავტორმა აქ ბუნების ხედვით გაიარა — ეს მონაკვეთი სრულიად დაცლილია იმ ყალბი იდეოლოგიისაგან, ძალადობისა და კომიკური უტყუარებისაგან, რაც ხშირად ნაცდებთ ხოლმე მწერლებს, როცა ბიჭის პირველ სექსუალურ გამოცდილებას აღწერენ. სანჩოსთვის ყველაფერი მარტივი და სასიამოვნოა, მისი პარტნიორი გოგო კი, „დიდძულებიანი ნათია“, ერთი უბრალო გოგოა, კარგი მუსიკა რომ უყვარს, არც ანგელოზია და არც დემონი. სწორედ ასეთივე ზომიერებითა და სიზუსტით არის მოყოლილი ბიჭების ოჯახის ამბავიც. ბევრი რამ კი მოყოლილი კი არა, მხოლოდ მინიშნებულა, პერსპექტივაც სწორად არის შერჩეული — ტყუპების მამა გარედან რომ დაგვეჩვენა, ერთი ლოთი კაცი იქნებოდა, სულ რომ ჯავრობს, მაგრამ ავტორმა ის თავისივე მონოლოგით შემოიყვანა ტექსტში და ასე, შიგნიდან გავაცნო. დედაზე გადაკვრით არის ნათქვამი ჩვენებაში, ნერვული დაძაბულობის გამო საუბარი უჭირსო და ჩვენც იმნამსვე ვხვდებით, რა მდგომარეობაშიცაა იგი.

როცა ტექსტი ასეა დაწერილი, არის საფრთხე, ამბის მდინარეებზე წავივლით და სხვა აღარაფერს მივაქცივთ ყურადღებას, თუმცა ავტორი ახერხებს, ეს საფრთხე აგვაცილოს — ის უჩვეულო ინტერტექსტუალურ მინიშნებებს გვახვედრებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, სრულიად ამოვარდნილია კონტექსტიდან. მაგალითად, ბიჭების მეზობელი ვ.ზ. კომბლეს სიტყვებს გადაათამაშებს თავის ჩვენებაში: „მე რას ვსაქმიანობ და ხეებს ვთლი, ჭერში ვაწყობ და როცა დარდი მოდის, თავში ჩაწვებ.“ „დიდძულებიანი ნათია“ კი, სანჩოს თქმით, რომ ჰკითხა, ხომ კარგად ხარო, „ცხვრებს რო დაკარგავს მწყემსი და დაეძებს და უყვირის, ეგეთი შემფოთებული ხმა ჰქონდა“, რაც სახარებისეულ სიტყვებს გვახსენებს დაკარგულ ცხვარზე (მათე, 12:11, ლუკა, 15:4-5). ამასობაში, ლიტერატურის რაობაზეც გვხვდება მსჯელობა და ნიშანდობილი ივია, რომ მას სწორედ აკაკი წერეთელი წარმოთქვამს: „მწერალს საკუთარი ისტორიის მეტი თუ არაფერი აქვს, ძალიან გაუჭირდება.“ გირჩევთ, გაჰყვეთ ამგვარ გადახილვებს — ისინი ტექსტის სრულიად სხვა მნიშვნელობებს გაგიხსნიან...

და ბოლოს, ვისაც წინა სადღობელაშვილის სხვა რომანები წაუკითხავს, უთუოდ შენიშნავს, რომ „დაბადების დღე“ მათგან განსხვავდება: „ორსულში“, რომანში „ნამი აქა, ნამი — იქა“, არ იყო ხმების ეს მრავალფეროვნება. „ორსულში“ სიუჟეტის დინამიკურობასაც პოეტური ნაკადი სჭარბობდა (რაც მისწრებაა სიტყვით ტკბობის მოყვარული მკითხველისთვის), თუმცა ავტორს „დაბადების დღეშიც“ იცნობთ. მაგალითად, შეუძლებელია, არ გავახსენდეს „გვირილებივით დაწყობილი ხინკალი“ „ორსულიდან“, როცა „დაბადების დღეში“ აჭარულ ხაჭაპურზე ამას ამოიკითხავ: „ეგეთ ხაჭაპურს მარტო იქ მოიგონებდნენ, სადაც გემები და ნავებია, აბა, მინის ხალხი ლობიანზეც გადაივლის და მთისამ კიდე ხინკალში უნდა ჩაახვიოს მთის ნაოჭები“. „ორსულის“ მსგავსად, აქაც გვხვდება მეტაფორის ლიტერალიზაცია, გაპირდაპირება-განამდვილება: აქაცაა პერსონაჟი, გულთან რაღაც რომ გასჩხერია — სულიერი სატიკვარი ფიზიკურში გადაუზარდა ომბა...

ერთი სიტყვით, „დაბადების დღე“ ნამდვილად ისეთი წიგნია, ნაკითხვა რომ არ უნდა დაახანოთ.

ვალერი ოთხოზორია

კატარზის მენყერი



2020 წელს „ინტელექტმა“ გამოსცა პატარა რომანი, რომელსაც შეიძლება „რომანში გადაზრდილი ფილოსოფიური ტრაქტატი“ ან „პოსტ-საბჭოთა ყოფის სოციოლოგია“ ეწოდოს; „ბუნკერი“ — ასე ჰქვია ას სამოცდაათ გვერდიან (A5 ფორმატის) წიგნს ახალგაზრდა ავტორისაგან, რომლის სახელი და გვარია ივა ფეზუაშვილი და ნამდვილად იმსახურებს ერქვას „მწერალი“, ანუ ენის მწყემსი, ენის პატრონი.

მწერალი, უპირველეს ყოვლისა, ენაა. ლიტერატურული ნაწარმოების დაგეგმვა ახალი ენისა და ყველაფერ იმის გასინჯვაა, რაც ამ ენაში ხდება. მამარდაშვილი ამბობს, მე ვიბრძვი არა ენისთვის, არამედ — რისი თქმაც ამ ენაზე შესაძლებელიაო. იგივე თქმის „ბუნკერზეც“: ივა იბრძვის იმისთვის, რისი გამოთქმაც მის ენაზე შესაძლებელია. პირველივე გვერდიდან გითრევს ერთგვერდიანი არამდინი-მეგვერდიანი წინადადებები, თბილისურ ფოლკლორთან მიახლოებული მოზაიკურიობით, რაც კულტურულად ასე ქართულია (პასტერნაკის აზრით, ქართული კულტურის თავისებურება მოზაიკურობაშია). კითხვისას ტექსტი ემსგავსება მორევს, რომელსაც სულ უფრო ღრმად ჩაჰყავხარ იმ ბუნკერში, რომელიც არა მხოლოდ წარსული და აწმყო, არამედ მომავალიც საშინლად ყარს. ეს კომპლექსური სიმყრალე, სიდაძლე, ანუ კორუფცია — ამ სიტყვის ფართო გაგებით, რომელმაც ყველა თაობაში, ყველა უბანში, ყველა დაწესებულებაში და ადამიანში შეაღწია და თითოეული მათგანი საკუთარი არსის, მონო-დების შესაბამისად გარყვნა, იმდენად ტოტალური, ანუ ყოვლადია, რომ, ერთი შეხედვით, თითქოს დაუძლეველია, მაგრამ ასე რომ იყოს, მაშინ რომანს ფინალი არ ექნებოდა და მწერლისა და მისი ენის საბედისწერო მარცხის წინაშე აღმოჩნდებოდა. მიუხედავად ნამდვილი ჯოჯოხეთისა, რომელსაც „ბუნკერი“ აღწერს, მე ვიტყვით — ატრიალებს, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს გამოსავალი, ნებისმიერი რეცეპტი მცდარია და ნებისმიერი მცდელობა ამაოა, რასაც შესაძურნი სიზუსტითა და დამაჯერებლობით გვაჩვენებს მწერალი, შუაგულ ცეცხლსა და ჭაობში მანაც არსებობს ხსნა, არსებობს სინამდვილე, რომელსაც ზოგიერთი ადამიანი ემსახურება. ეს რომანიც, საბოლოოდ, ეძღვნება სინამდვილის ერთგულ ადამიანებსა და ამოცანას, ახალ თაობაში სინამდვილის, ანუ სიყვარულისათვის თავგანწირვის მოთხოვნილებაში გაიღვიძოს. მხოლოდ ზოგიერთებმა შეძლეს მძიმე, მაგრამ სწორი არჩევანის გაკეთება, დანარჩენებმა კი შესცოდეს, კერძოებს დაემოწნენ („ფეტიშიზმის“ კრიტიკას რომანში საკმაოდ გვიხილავს): ფურვილს, ძალადობას. როგორც მთავარი პერსონაჟი — გენა — ამბობს, „ადამიანს მისი არჩევანი განსაზღვრავს და არა არადაწვე სინანული.“

რომანი სომხურ ოჯახზეა, რომელიც ძალადობას თბილისში გამოექცა, რათა ამ

ქალაქში მშვიდობა ეპოვა, მაგრამ აქაური გარემო, რომელიც მწერალმა ერთი სიტყვით აღწერა — „ბუნკერი“ — გაცილებით მზაკვრული და არანაკლებ აუტანელი აღმოჩნდა. ოჯახი ყველანაირი გაგებით განადგურების პირასაა, იმავე მდგომარეობაში ინსტიტუტები და მთელი ქვეყანა, რადგან ყოველივე ეს ემყარება ადამიანთა მენტალობას, მათ სურვილებს, შიშებს, „იმპულსებს“ (ამ ცნებას რომანში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება), მათ აგრესიასა და ეთიკას. ზნეობა/მორალი დავინყებულა, ადამიანი განადგურებულია. და ეს ხდება აქ, ჩვენი ქალაქში, ჩვენში, ეს ვართ ჩვენ ახლა, ვიყავით გუშინ და რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ვიქნებით ხვალაც; ამ რეალობას ავტორი ისე დამაჯერებლად აჩვენებს, იმდენად დეტალურად და ავთენტურად აღწერს, რომ ბოლოში მკითხველს კატარზის მენყერი ნაღვეს.

„ბუნკერი“ მრავალი მიზეზის გამო იმსახურებს შექებას. უპირველეს ყოვლისა, ეს არის წიგნი ჩვენი ცხოვრების შესახებ. პატარა რომანი უტრიალებს იმდენ თემას (ძალაუფლება, ფსევდო-პატრიოტიზმი, კონფორმულობა, მასკულიზმი და სხვა), იმდენ ასპექტს ამ თემებისა, მათს ურთიერთგადაჯახულობას, კომპლექსურობას; ისე რენტგენულად ამჟღავნებს მოვლენათა ჩონჩხს — თავად მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, მკითხველის „ძველი „მე““ გადაამოზიარებს“ ახდენს, რაც მხოლოდ ძლიერ ნაწარმოებთა ხვედრია. რომანის პერსონაჟები კარგადაა გამოკვეთილი — ხასიათისა და ქცევითა თავისებურების, ჩაცმის, მეტყველების, ფიქრისა და მოქმედების კუთხით. ავთენტურია პერსონაჟთა მიზნები და მათ მიერ გამოყენებული საშუალებები მიზნების მისაღწევად, მათი შინაგანი კონფლიქტები ღრმად და არ ინვესტ ხედაპირულობის განცდას. მოქმედების გარემო ზუსტია, სწორადაა დეტალიზებული. თხრობის ენა დინამიკური, მძლავრი და ხალასია, ამასთან კომპლექსურია და გაბმული, რაც მკითხველს ცნობიერების ნაკადში ცურვის საშუალებას აძლევს. რომანი მკითხველს ჭერტასთან ერთად აზროვნების ფუფუნებასაც სთავაზობს. ბევრია სულისშემძვრელი სცენა ან პასაჟი: „დესნა დვას“ სცენა დასაწყისში, გენა და მისი ცოლი; ფინალი გენასა და „ტახიონისსკამიან“ დესნა დვასზე ამხედრებული“, ბავშვობის მეგობრის შეხვედრა; პრეზიდენტის გადამრჩენელი გენასა და მილას სექსი სამზარეულოში და პატარა ლაზარეს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქვია ეს სახელი, ლამის დახრჩობა აბაზნარში; მამუკასთან პაემანზე, იხვთან საკუთარი თავის გაიგივების მომენტი მილას მხრიდან, 157-ე გვერდზე; კობას დედის სიმყრალე, 66-ე გვერდზე, მკითხველის თავში ჩარტყმული ემოციური უროა მწერლის მხრიდან; მოპედის დაბრუნების ისტორია 137-145 გვერდებზე, შეიძლება ცალკე, სრულფასოვან მოთხრობად განვიხილოთ; და ჩემი ფავორიტი, ამ რომანის კულმინაცია, გამორჩეული ფსიქოლოგიური სიღრმით ნაგრძნობი და დანახული ქალი — მილა, მისი შინაგანი მონოლოგი და განცდები, წიგნის 151-157 გვერდებზე. აფორიზმები, დასკვნები, ფრაზები, რომლებიც ამ ტექსტში უხვად გვხვდება, შეგვიძლია ჩვენი ყოფის კრისტალიზებულ სიმართლედ ჩავთვალოთ: „პოლიციელი გირჩევს, პოლიციაში არ წახვიდე“; „რაზე უნდა იოცნებო, როცა სისასტიკით საუბრობ“; „სანოლი ხომ მხოლოდ ლაღატის დასასრულია“; „გადარჩენაზე არ ოცნებობდნენ, გადარჩენაზე ლოცულობდნენ“; „ჩვენს დროში ხომ სიცოცხლეს აზრი მიეცა და შესაბამისად აზრი მიეცა სიცოცხლის გამარებას“...

მიუხედავად ღირსებებისა, რომანს აქვს სუსტი მხარეებიც. „ბუნკერი“ იწყება მხატვრულად და დინამიკურად, მაგრამ თანდათან დინამიზმი კლებულობს მოვლენათა გადაჭარბებული ანალიზის ფონზე, რომელსაც მკითხველს ავტორის ხმა სთავაზობს და არა — თავად პერსონაჟები. ჩემი აზრით, გაცილებით ეფექტური იქნებოდა ავტორის ხმა საერთოდ არ უღერდეს,

ან მინიმალურად უღერდეს და მეტი ასპარეზი ეთმობოდა პერსონაჟების შეფასებასა და მათ შინაგან მონოლოგს; ამ შემთხვევაში, ტექსტი დრამატურგიულად და მხატვრული ზემოქმედების კუთხით გაცილებით ქმედითი გამოვიდოდა, განსაკუთრებით რომანის პირველ ნახევარში. შუიდან რომანს მეორე სუბთქვა ეძლევა, სასპენსი ძლიერდება, რაც აძლიერებს კულმინაციას და ღირსეულ ფინალამდე მივყავართ.

მეჩვენება, რომ რომანი საჭიროზე ოდნავ სწრაფადაა დაწერილი; ავტორი, როგორც ჩანს, უფრო მეტად ვნებით წერდა და ნაკლები ყურადღება დაუთმო ალწერის ფორმას, სიფაქიზეს (ხშირად, თხრობა უხემ ანალიზს ემსგავსება, ზოგან კარგად დაჭერილი ფსიქოლოგიური დეტალი შემდგომ განვითარებას ვეღარ პოუვებს); რამდენიმე ისტორია, სცენა თუ პასაჟი იძლევა საშუალებას რომანის ბევრი თავი გაცილებით დახვეწილი და მაღალმხატვრული იყოს. ამ კუთხით, მასხენდება ჯოისის „დუბლინელები“, რომელშიც ყოველი მოთხრობა საკუთარ თავში დასრულებული შედევრია. „დუბლინელებთან“ „ბუნკერის“ ნათესაობა არა მხოლოდ მძაფრ სცენებშია, არამედ — სათქმელშიც. როგორც ჯოისი აღწერს „ჭუჭყიან დუბლინს“ და კორუმპირებულ დუბლინელებს, ასევე ივა ფეზუაშვილი ამხელს მყრალ თბილისსა და გადაგვარებულ თბილისელებს. „ბუნკერის“ შემთხვევაში, პოსტ-საბჭოთა გამოცდილებას ცალკე, ტკივილიანი ეგზოტიკა შემოაქვს. მიუხედავად საერთო ნესტრით დანესტრილობისა, „დუბლინელები“ გაცილებით დახვეწილია, ვიდრე ივა ფეზუაშვილის რომანი, რაც ამ უკანასკნელის ღირსებებს არ ამცირებს. ვფიქრობ, შეიძლება მეტი ფსიქოლოგიური სიღრმისა და მხატვრობის მიღწევა ტექსტში, რაც არ გამოვიდა იმის გამო, რომ თავად ავტორი ცდილობს სოციალურ დამოკიდებულებათა და ნორმათა კრიტიკას და ტექსტი ალაგალაგ ემსგავსება ესეს, რაც რომანის ნაკლად უნდა ჩათვალოს.

მწერლის სიჩქარეს უნდა მიენეროს ისიც, რომ ზოგიერთი პერსონაჟი ზედმეტ ინტელექტუალიზმს ავლენს, რითაც ჰაბიტუსიდან ვარდება. მაგალითად, კობას მონოლოგი არ გვიჩვენს მოლოდინს, რომ მან შეიძლება იოანე ზოსიმეს „ქებაი...“-დან საკმაოდ რთულად დასამახსოვრებელი ციტატა ზეპირად იცოდეს. ზედმეტად აკადემიურად გამოიყურება რეპერის მონოლოგიც. ასევე, საგამოძიებო მოქმედების ოქში არავინ წერს თუ-მამინ კონსტრუქციის წინადადებით: „თუ გამოიკვეთა გ.გ.მ ბრალულობა, ჩვენი მზად ვიქნებით შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად.“ მწერალი მეტად უნდა ჩაღრმავებოდა ზოგიერთი პროფესიის ნიუანსებს. თუმცა, მის ნაკლებს რომანის ძლიერი მხარეები გადამაინის.

საბოლოოდ, ვფიქრობ, „ბუნკერი“ მნიშვნელოვანი, თანამედროვე, ქართული რომანია, როგორც ფაბულითა და სიუჟეტით, ასევე სათქმელით, სტილითა და ენით. ეს რომანი უნდა ნაკითხოს რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ. ივა ფეზუაშვილი ნიჭიერი მწერალია, რომელიც განვითარების შესაშურ გზას ადგას.



— იცოდა, კარგად ისაუბრე, თორემ როგორც მძიერ ძალს არ გავიყოლებს სანადიროდ, ისე არც შენ ნაგვიან სკოლაში! — სიმკაცრეგარეული ხმით მმოძღვრავდა ბაბუა და ცდილობდა, ღიმილი ტუჩის კუთხეში მოემწყვდია, მაგრამ მე რას გამომაპარებდა?!
დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო და ნადირობა უყვარდა — ფეხბურთიც და კიდევ ტკბილეულობა. დილით, უთენია, მის სამალავში მიგნებული მოკლადით რომ ჩავიკოკლოზინებდი ყელს, მერე საუბრისათვის ვის სცხელოდა, მაგრამ ამას ხმამაღლა ხომ ვერ ვიტყვოდი?

ვიჯექი მაგიდასთან ხმაგასუსული, დაეყურებდი ვეებერთელა მათლაფაზე დასხმულ, ოხშივარავარდნილ მანანის ფაფას, მის ზედაპირზე მოცურავე ყვითლად ალაპლაპებულ, ნახევრად გამოღვალ კარაქს და მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რა მომემოქმედა, რომ ამ მსუყე საშინელებას ავრიდებოდი, თან ისე, რომ არც ბებო გამენაწყენებინა, არც — ბაბუა.

გაკვეთილის დაწყებამდე ორმოცი წუთი იყო დარჩენილი. აქედან, ოცი წუთი გზას დასჭირდებოდა. მეორე ოცი წუთი როგორმე ჩემს სასარგებლოდ უნდა გამოემყენებინა.

ყველაზე ძალიან მანანის ფაფა მეზიზღებოდა. ბაბუა შემძულეს ამხანაგებმა, როცა ხან თმაში გვაზღვდნენ ამ ტკბილ, ნებოვან მასას, ხანაც ფანჯრის ფარდებს უსვამდნენ კოვზით, თითოთ, ცხვირითაც კი.

მასხოვს, ჩემს ჯგუფულ გეგას, რომელსაც ჭამა ჩემსავით ეზარებოდა, ძიძა ასაუზმებდა ხოლმე და ერთხელაც, როცა დიდ-დიდ ლუკმებს აყლაპებდა (ალბათ სხვა საქმეც ჰქონდა და ეჩქარებოდა), გეგას ლუკმა გადასცდა, აუვარდა ხველებსა და ფაფის სქელი, გრძელი ნაკადი ჭიაყელასავით გამოუნელა ცხვირიდან. აი, მაშინ ისე ამერია გული, რომ ვერაფრით დამანყნარეს. კარგა ხანს ვისხედით მე და მეორე ძიძა ბალის უკან გაშენებულ წინწარში. წყალს ყლუპებით ვსვამდი ფაიფურის კოპლებიანი ჭიქიდან და ოდნავ დამშვიდებულ ძიძის სახელზე ვფიქრობდი.

ამ თბილ, ალერსიან ქალს ლამზირა ერქვა და ჩემში მუდამ გაოცებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ბალის გამეგ, როხროხანშიანი და ჭალარა კულულებიანი ქალი, როცა ლამზირას თავისთან უხმობდა, „ლასს“ მეტისმეტად არბილებდა, მაშინ, როცა ამავე თანხმობას მეტისმეტად მყარად და მედიდურად წარმოთქვამდა სიტყვა „ლამაზში“.

ვერ შემაჭამეს ფაფა. იმაზე თავნება გამოვდექი, ვიდრე ჩემს ტკბილ მოხუცებს ეგონათ.

— ნაიღე ეს კარაქიანი პური და გზაში დაიყოლიო იქნებ როგორმე, — უჩურჩულა ბებომ ბაბუას. ცარიელი კუჭით მინიდან გასვლა, უფროსების აზრით, პირდაპირ კავშირში იყო უხილავად ჩასაფრებულ მაქციებთან, ჭინკებთან, ავ სულუბთან. მათ იოლად შეეძლოთ მძიერად ადამიანის გათვალვა. პერგამენტის ჭრაჭუნა ქალაღში გახვეული კარაქიანი პურისა და ყველის ბუტერბროდი ბაბუამ ჩანთის გარეთა ჯიბეში ჩამიდო და მამა დამაფიცა, რომ ბოტანიკური ბაღის ბილიკიდან სკოლის ჭიშკრამდე ჩემს ულუფას ბოლომდე შევჭამდი. დამაფიცა მამა, რომელსაც არ ვიცნობდი და მაინც ძალიან მიყვარდა. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ მეზღვარული იყო და ერთ-ერთი შტორმის დროს ღმერთმა ჯერ გემთან ერთად დაუშვა მლაშე წყლის ფსკერზე, მერე კი ცაში თავისთან წაიყვანა; რომ იქ უფრო კარგად იყო მამა და არასდროს მოკვდებოდა.

ვერ ვხვდებოდი, რატომ იყო მამა კარგად უჩემოდ, მაგრამ რადგან არასდროს მოკვდებოდა, ესე იგი, მართლაც კარგი უნდა ყოფილიყო იქ ყოფნა, სადაც ახლა იყო. საითაც, ძალიანაც რომ მომენდომებინა, არავინ გამიშვებდა.

რადგან ბაბუამ მთხოვა, არ ვაწყენინე, დავიფიცე მამა, მაგრამ ისე, რომ ზურგს უკან ნაღებული ხელის საჩვენებელი და შუა თითები გადაჯვარედინებული მქონდა.



ორი-სამი ლუკმა ძლივს გავლექე და ძალისძალათი ჩავყლაპე, დანარჩენი დავაქუცმაცე და გზის გაყოლებაზე ჩარგულ ბზის ბურქებს შორის მიმოვფანტე იმ იმედით, რომ თავუნიები, ფისოები, ან ცუგრიკოები გემრიელად მიირთმევდნენ და მერე, ბედნიერები, მადლიერების უსაყვარლეს ხმებს გამოსცემდნენ იმის ნიშნად, რომ ადამიანებს ჯერაც უყვარდათ და ახსოვდათ თავიანთი ოთხფეხა მტერ-მეგობრები (სულაც არაა თავუნი მტერი, როგორც ამას მშობარა მეტყირები ამტკიცებენ, მაგრამ მაინც დავნერე).

სკოლის ჭიშკართან დირექტორი იდგას ქელლინზიანი შავი სათვალით, შუაზე გადაყოფილი შავი თმითა და ნანვეტებული ჯოხით ხელში. ეს უკვე მეორედ ვხვდებოდი მას ასე პირისპირ და ისეთ შინაგან ძრწოლას განვიცდიდი, მეგონა, მუხლები მომეკვეთებოდა და ნავიქცოდი. ბაბუას ხელი მაგრად მოვუჭირე, თვალები დავხუჭე და ასე თავდახრილი ვაპირებდი ჭიშკარში შეღწევას, როცა დირექტორმა ბაბუას თავისთან უხმო. სხვა რა დამრჩენოდა, მართო უნდა გავყოლოდი გზას კიბემდე. იქიდან კი უკვე სამშვიდობოს დავიგულვებდი თავს.

ქალბატონ დირექტორს (ასე უწოდებდნენ კოლეგები) შარშან ზამთარში შევხვდი პირველად. იმ დღეს საშინელი თოვლ-ჭყაპი იყო, ქარიც ხმამაღლა წუოდა და ბებოს ფორებიან, უჯრულა თავშალში გახვეულს სახე და ყურები კი მქონდა თბილად, მაგრამ ხელებზე მციოდა.

წინა საღამოს მამიდამ ხელთათმანები გამირეცხა და გასაშრობად ღუმელის სიახლოვეს პატარა სკამის საზურგეზე გადაკიდა, მაგრამ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო ავარვარებულმა ღუმელმა ჩემი ლამაზი, ჭრელი ხელთათმანები ჯერ დაანთოლა, მერე გააშავა. დამწვრის სუნი რომ



ვიგრძენით, უკვე გვიანი იყო. ბებო ახალი ხელთათმანების მოქსოვას შემპირდა, მაშინ — ყიდვას. მე კი არც ერთი მინდოდა, არც — მეორე. ავდექი ტირილით, ნავიდე ჩემი გასაცოდავებული, დახრუკული, ფორმადაკარგული ორი სიყვარული და ლეიზის ქვეშ ამოვდე იმ იმედით, რომ ღამით აუცილებლად დამესიზმრებოდა ის ნამდვილი პრინცესა, რომელმაც მდოგვის მარცვალზე ძილი გააპროტესტა. მხოლოდ მის რჩევას გავითვალისწინებდი, როგორ გამეგრძელებინა ცხოვრება ალუბლებიანი ხელთათმანების გარეშე...

ერთი სიტყვით, ხელეგაყინული შევეყვი ბაბუას სკოლის ვესტიბიულში. ეს ის დრო იყო, როცა პირველკლასელმა ჯერაც არ ვიცოდი სასკოლო დისციპლინის ავან-ჩავანი, ამიტომაც ბაბუას ხელი გავუშვი და კუნტრუშით დავაპირე დერეფნისკენ გზის გაგრძელება, როცა, მოულოდნელად, დაიგრგვინა ხმა:

— ამ ბავშვს რა უნდა აქ? ნუთუ არავინ ასწავლა, რომ მხოლოდ მოსწავლეთა შესასვლელით უნდა ისარგებლოს?!

მინდა, გითხრათ, რომ ძალიან მშობარა და მტირალა ბავშვი ვიყავი. ბებია-ბაბუების ნალოლიავები, ზღაპრულ სამყაროს შეკედლებული და უჩინარ ელფთან დამეგობრებული, სწორედ ისე, როგორც საყვარელი ნიგინის პერსონაჟი, პატარა რასიალე. ამიტომ სიმკაცრე, თან მოულოდნელი, იმდენად განვიცადე, რომ მერეც, როცა ჩემი უთბილესი ლელა მასწავლებელი მეფერებოდა, ხელებს მითბობდა და ჩემს კლასელებთან ერთად ცდილობდა, გავემხიარულებინე, ნიკაპი დიდხანს, დიდხანს მიკანკალედა.

ლელა მასწავლებლის კლასში იქნებო, რომ მითხრა ბაბუამ, ვთხოვე, მისი სურათი ეჩვენებინა. დიდ ალბომში იმდენი ფოტო იყო ჩაკრული, თვალები ამიჭრელდა.

— აბა, როგორ ფიქრობ, რომელი იქნება ამ მასწავლებლებიდან შენი ლელა მასწავლებელი? — ბაბუას კითხვაზე გამეცინა და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, ახალგაზრდა, პომადიან, თმაანულ, ჭრელკაბიან მასწავლებელს დავადე თითი.

— არა, შეგეშალა. აი, ესაა ლელა, შენი დამრიგებელი. ბაბუას თითს თვალი რომ გავაყოლე, ხელში შემრჩა შუახნის შავგვრემანი ქალი, სადა ვარცხნილობითა და სევდიანი ღიმილით. მინდოდა, მეკითხა, რატომ იყო მოწყენილი, მაგრამ გავჩუმდი და იმაზე დავინყე ფიქრი, როგორ გამემხიარულებინა ჩემი მასწავლებელი. ასეთი მოწყენილი, აბა, როგორ ეყვარებოდათ ბავშვებს?!

პირველ გაკვეთილზე, თავის გამოჩენის მიზნით, საბავშვო ჟურნალი ნავილე სკოლაში და მასწავლებელს ვთხოვე, ლექსებს ნაგვიანავთ-მეთქი. გაელიმა და ნება დამართო, მერე შემაქო და დღიურში ასე ჩამინერა: „ყოჩაღ!“

გალიმებული რომ ვნახე ლელა მასწავლებელი, გავთამამდი და სანამ ჩემს მერსს მივუჯდებოდი, ახალგაჯნობილ კლასელს, დაბუმტულლოყებიან, ქერა, ღიმილიან ნანას ლოყაზე ვაკოცე.

შინ მისულს ბაბუამ მისაყვედურა: მეგობრები ყველას გვიყვარს, მაგრამ გაკვეთილზე მხოლოდ სწავლა, ნიგნები და რეკულები უნდა გახსოვდესო.

პირველად მაშინ მივხვდი ლელა მასწავლებლის მოწყენის მიზეზს: მას მეგობრების მოფერება არ შეეძლო მაშინ, როცა გაუხარდებოდა. რა ცუდი ყოფილა დიდობა — გავიფიქრე და გული მეტკინა.

ლელა მასწავლებელს შვილები არ ჰყავდა და ჩვენ ძალიან ვუყვარდით. არ სიამოვნებდა, როცა მის მოსწავლეებზე ვინმეს საყვედური დასცდებოდა. თვალეში უფრო დიდ ნაღვლს მიუჩენდა ბინას და ჩვენს მამაგებელს ზრდილობიანად შეახსენებდა, რომ ისიც ბავშვი იყო ოდესღაც.

სკოლის ბუფეტში კატლეტის ჭამისას ყელში თხილისოდენა ძვალი რომ გამეჩხინრა, ლელა მასწავლებელმა თავისი ყვავილებიანი თავშალით შემიხვია ყელი, გაცეციბული იქნები და გეჩვენა, რომ გფხაჭხინს და გტკივაო. მერე კი, როცა ოტორინოლარინგოლოგმა ენის ქვეშ ჩაჭედილი ძვლისგან გამათავისუფლა, ფერდაკარგული დიდხანს იმეორებდა, რომ დიდ საშიშროებას გადავურჩით; რომ თურმე ძალიან ვყვარებივართ ღმერთს.

მე კი ღმერთის ხსენებაზე მამასთან ნაკვედი ფიქრით და ვიგრძენი, რომ სულაც არ იქნებოდა საშუაში იქ მისვლა, სადაც მამა დაასახლა ღმერთმა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ იქარც ფაფის ჭამა იქნებოდა სავალდებულო და დასაძალბებელი. არც ბავშვებისთვის მკაცრად აკრძალული ადგილები იარსებებდა, საშიშხიან დირექტორებთან ერთად, რომლებიც სითბოსა და სინათლეში ძლივს შეიღწეულეს ისევე უკან, ცივ და უფშურ ამინდში გავგებრუნებდნენ. არც მეგობრის მოფერებისთვის გისაყვედურებდა ვინმე, არც თავუნიების დაპურებისათვის და, რაც მთავარია, მამას გავიცნობდი. ჩემს მამიკოს, რომელიც მხოლოდ სიზმარში მოდიოდა მეზღვარის ფორმით, ზღვის ხმაურითა და სურნელით; რომელსაც, თუკი მეზობლებს დაეუჯერებ, თურმე ისე ძალიან ვგავდი, როგორც შუაზე გადაჭრილი ვაშლის ორი ნახევარი ჰგავს ერთმანეთს.

მაგრამ ჯერ აქ ვიყავი, დედამინაზე. და ეს „აქ“ ნიშნავდა ბებოსა და ბაბუას სიცოცხლის გახანგრძლივებას, მათ სიხარულსა და ბედნიერებას.

ჩემს ბედნიერებასაც, ალბათ, რადგან ჩემი ყველა ჩანაფიქრი ჯერ აქ უნდა ამესრულებინა. უპირველესად, ლელა მასწავლებლის თვალეში უნდა შემეკრიბა და ამეციმციმებინა სხვების დაუფიქრებლობის მიზეზით გავანტული, შემკრთალი მზის სხივები. და ეს იმიტომ, რომ ბავშვებს ჰყვარებოდათ.

ბავშვებს ღიმილიანი ადამიანები უყვართ. ფერადხილვებიანი და ღიმილიანი, შიშს გარიდებული თბილი ადამიანები...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის,
საორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის სამსახური
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004